

ს ა მ რ ე წ ვ ე ლ ო ს ა კ უ თ რ ე ბ ა

საპატენტო სამართალი

ქართული სასამართლო პრაქტიკა

გამომცემლობა
„სტამბა ქართული ფილმი“

თბილისი
2007

შემდგენელი – სანდრო ჯორბენაძე

© სანდრო ჯორბენაძე, 2007

ISBN 99940-67-14-1

შემდგენელისაგან 6

გ. ხოშტარია – სს „დამბლერ-კრაიზლერის“ წინააღმდეგ – პატენტით დაკეულ სასარგებლო მოდელზე – „ექტომანქანის უკუხედვის სარკე, ხინათლის წყაროთი“ – განსაკუთრებული უფლებების დარღვევის თაობაზე

- ა. თბილისის საოლქო სასამართლოს 2000 წლის 10 ივლისის განჩინება 7
- ბ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 2 თებერვლის განჩინება 9
- გ. ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2001 წლის 12 მარტის განჩინება 11
- დ. თბილისის საოლქო სასამართლოს 2002 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება 13
- ე. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 17 ივლისის განჩინება 18

ზ. ბაბუნაშვილი – სს „ინგირის ჩაის ფაბრიკის“ წინააღმდეგ – პატენტით დაკეული გამოგონების უნებართვოდ გამოყენებისათვის თანხის დაკისრების თაობაზე

- ა. ქუთაისის საოლქო სასამართლოს 2000 წლის 27 ნოემბრის განჩინება 23
- ბ. ქუთაისის საოლქო სასამართლოს 2001 წლის 30 იანვრის განჩინება 24
- გ. ქუთაისის საოლქო სასამართლოს 2002 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილება 26
- დ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 13 ნოემბრის განჩინება 28

ი. ზერიღონაშვილი – სს „საქტრანსგაზმრეწვის“ წინააღმდეგ – რაციონალიზატორული წინადადების გამოყენებისათვის ანაზღაურების გადახდის თაობაზე

- ა. თბილისის საოლქო სასამართლოს 2002 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილება 32
- ბ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 28 მაისის განჩინება 35

ზ. ბაბუნაშვილი – სს „საამოს“ წინააღმდეგ – პატენტით დაკეული გამოგონების უნებართვოდ გამოყენებისათვის თანხის დაკისრების თაობაზე

- ა. ქუთაისის საოლქო სასამართლოს 1999 წლის 26 ნოემბრის განჩინება 41
- ბ. ქუთაისის საოლქო სასამართლოს 1999 წლის 16 დეკემბრის განჩინება 46
- გ. ქუთაისის საოლქო სასამართლოს 2000 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება 48
- დ. ქუთაისის საოლქო სასამართლოს 2000 წლის 20 ივლისის განჩინება 50
- ე. ქუთაისის საოლქო სასამართლოს 2001 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილება 54
- ვ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 11 იანვრის განჩინება 70
- ზ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 11 იანვრის განჩინება 72
- თ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 21 ივნისის განჩინება 74
- ი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 29 ნოემბრის განჩინება 76
- კ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 30 დეკემბრის განჩინება 78
- ლ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 22 მაისის განჩინება 81
- მ. ქუთაისის საოლქო სასამართლოს 2003 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება 83
- ნ. ქუთაისის საოლქო სასამართლოს 2003 წლის 8 თებერვლის განჩინება 86
- ო. ქუთაისის საოლქო სასამართლოს 2003 წლის 8 თებერვლის განჩინება 88
- პ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 24 მარტის განჩინება 89

შპს „მეტეხი-93“ – სსიპ „საქპატენტის“, სს „ელექტროავტომატიკის“ და ფიზიკური პირების წინააღმდეგ – პატენტით დაცულ სასარგებლო მოდელზე განსაკუთრებული უფლების დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე

- ა. თბილისის საოლქო სასამართლოს 2000 წლის 22 მარტის განჩინება 93
- ბ. ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2001 წლის 3 აპრილის განჩინება . . . 95
- გ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 5 აპრილის განჩინება 96

ზ. ბაბუნაშვილი – შპს „მარტინ ბაუერი თბილისის“ წინააღმდეგ – პატენტით დაცული გამოგონების გამოყენებისათვის თანხის დაკისრების თაობაზე

- ა. თბილისის საოლქო სასამართლოს 2002 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილება 100
- ბ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 7 თებერვლის განჩინება 102

დანერგვის სამეცნიერო ცენტრი – სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს წინააღმდეგ – საავტორო პონორარის ანაზღაურება

- ა. თბილისის საოლქო სასამართლოს 2001 წლის 20 თებერვლის განჩინება 107
- ბ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 30 მარტის განჩინება 109

ზ. ბაბუნაშვილი – შპს „ოზურგეთის სმკ“-ის წინააღმდეგ – პატენტით დაცული გამოგონების გამოყენებისათვის ჯარიმის დაკისრებისა და გამოგონების გამოყენების აკრძალვის თაობაზე

- ა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 22 აპრილის განჩინება 111
- ბ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 4 დეკემბრის განჩინება 113

თ. შარაშენიძე – ო. არსენიძისა და ნ. აბელაშვილის წინააღმდეგ – სასარგებლო მოდელით უკანონო სარგებლობის აკრძალვისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე

- ა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 18 ნოემბრის განჩინება 116
- ბ. თბილისის საოლქო სასამართლოს 2003 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილება 120
- გ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 27 ნოემბრის განჩინება 122

სასარჩელო განცხადების წარმოებაში მიღება

- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 29 მაისის განჩინება 125

6. სადაღაშვილი – სსიპ „საქპატენტის“ და უ. თამარაშვილის წინააღმდეგ – სამრეწველო ნიმუშის პატენტების გაუქმების თაობაზე

- ა. თბილისის საოლქო სასამართლოს 2000 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება 129
- ბ. თბილისის საოლქო სასამართლოს 2000 წლის 2 ოქტომბრის განჩინება 130
- გ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2000 წლის 19 დეკემბრის განჩინება 132

ა. თავართქილაძე – სსიპ „საქპატენტის“ წინააღმდეგ –

გამოგონებაზე პატენტის გაცემის თაობაზე

- ა. თბილისის საოლქო სასამართლოს 1999 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილება . . .134
- ბ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2000 წლის 20 მარტის გადაწყვეტილება .136

შპს „კომუნყოფსერვისცენტრის“ კერძო საჩივარი –

პატენტის გამოყენებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე

- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2000 წლის 19 ოქტომბრის განჩინება '42

სს „ლალიძე“ – სსიპ „საქპატენტის“ წინააღმდეგ –

სამრეწველო ნიმუშზე გაცემული პატენტის ბათილობის თაობაზე

- ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2003 წლის
22 სექტემბრის გადაწყვეტილება144

**ზ. ბაბუნაშვილი – საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის
სამინისტროსა და სსიპ „საქპატენტის“ წინააღმდეგ – გამოგონებაზე პატენტის**

გაცემისა და მასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების თაობაზე

- ა. თბილისის საოლქო სასამართლოს 2000 წლის 14 ნოემბრის განჩინება147
- ბ. თბილისის საოლქო სასამართლოს 2001 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება . .148
- გ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილება .151
- დ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 2 აპრილის განჩინება158
- ე. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 12 თებერვლის განჩინება161
- ვ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 28 ნოემბრის განჩინება164

**სსიპ „საქპატენტი“ – საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს
წინააღმდეგ – „საქპატენტის“ საქმიანობის იურიდიულ მომსახურებად და**

დღგ-ით განკუთვნილ დაუბეგრავ ოპერაციად მიჩნევის თაობაზე

- ა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2000 წლის 24 ოქტომბრის განჩინება . . .171
- ბ. თბილისის საოლქო სასამართლოს 2001 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილება176
- გ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 10 აგვისტოს გადაწყვეტილება 183

საქართველოს საპატენტო კანონი :95

შემდგენილობა

წინააღმდეგარე კრებული მესამე წიგნია ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ქართული სასამართლოების მიერ განხილული საქმეებისა.

პირველ წიგნში თავმოყრილი იყო სასამართლო დაეები საავტორო სამართლის სფეროში (2005წ.).

მეორეში (2006 წ.) – დაეები დაკავშირებული სასაქონლო ნიშნებთან, არაკეთილსინდისიერ კონკურენციასთან და საფირმო სახელწოდებებთან.

მესამე წიგნი ბოლიანად საპატენტო სამართლის დაეებს ეძღვნება.

სასამართლო პრაქტიკა ძირითადად 1999-2003 წლებს მოიცავს.

მსოფლიოში ერთ-ერთ რთულ საკითხად აღიარებულია ინტელექტუალური სამართლის კატეგორიის დაეების კანონიერ და სამართლიან გადაწყვეტაში ქართულმა სასამართლომ თავისი წვლილი შეიტანა.

მე შეგნებულად ავარიდე თავი სასამართლო გადაწყვეტილებების სამართლებრივ ანალიზს, რადგან საშუალება მიმეცა იურისტებისათვის, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის არ ყოფილიყვნენ შეზღუდული და დამოუკიდებლად ემსჯელათ და შეეფასებინათ მართლმსაჯულების საქმიანობა.

ინტელექტუალური საკუთრების სფეროში საქმეთა დეტალური შესწავლისას, ნათლად ჩანს ესა თუ ის ხარკეზი, ერთეულ მოსამართლეთა დაბალი განსწავლულობა, რაც პირდაპირ აისახება სასამართლო გადაწყვეტილებებზე, რომლის გამოსწორება შემდგომში ზედა ინსტანციის სასამართლოებს უწევს.

სასამართლო პრაქტიკამ გამოაჩინა ადვოკატთა უკოდინრობაც ამ სფეროში. თუ ზოგიერთი მოსამართლე აშკარად ცდილობს საპროცესო კანონმდებლობით დაამთავროს საქმე, ადვოკატთა ნაწილის მიერ ისეთი მოთხოვნებია წაყენებული, რომლის დაკმაყოფილება შეუძლებელია, თუმცა არსებობდა სხვა მოთხოვნების წაყენების საშუალება, რომლითაც მისი დაცვის ქვეშ მყოფ პირს საქმის მოგების შანსი გაეზრდებოდა.

აქვე უნდა ითქვას იმის შესახებ, რომ 1999 წლიდან 2004 წლამდე აშკარად ამაღლდა მოსამართლეთა დონე, რაც შემდგომი წლების სასამართლო გადაწყვეტილებებშიც აისახა.

ვიმედოვნებ, რომ მათი გამოქვეყნების საშუალება მომავალშიც მომეცება.

სანდრო (წ) ჯორბენაძე

პატენტით დაცულ სასარგებლო მოდელზე — „ავტომატური უკუხედავ
სარკე, სინათლის შუქრობით“ — განსაკუთრებული უზღვევების დარღვევა



გ ა ნ რ ი ნ ე ბ ა
ს ა ქ ა რ ე ლ ო ს ს ა ხ ე ლ ი თ

№02/51

10 ივლისი, 2000 წ. ქ თბილისი

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეჯია
მებრძვი შემადგენლობით: მ. ჩანტლაძე (თავმჯდომარე),
მ. ჯიყაშვილი,
დ. თოდრაძე

მკველას მდივნობით

განიხილა საქმე გ.ზომბარაიას სარჩელის გამო მოასხუზე ს/ს „დაიმლერ-კრაისლერი“-
მოსართ საპატენტო უფლებების დაცვისა და მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურე-
ბის შესახებ. სასამართლო კოლეჯიამ

გ ა მ ო ა რ კ ე ი ა :

1997 წლის 15 მაისს მოსარჩელის გ.ზომბარაიას სახელზე „საქატენტის“ მიერ რეგ-
ისტრირებული იქნა პატენტი №253 სასარგებლო მოდელზე „ავტომატური უკუხედავის სარკე
სინათლის წყაროთი“. როგორც მოსარჩელისათვის გახდა ცნობილი, „მერსედეს-ბენც-ავ“-ის
უკანასკნელი მოდლების (E და S კლასის ავტომობილებზე, ძირითადი საბაზო აღჭურვილო-
ბის სახით უკუხედავის სარკის კონსტრუქციაში ინტეგრირებულია მოხვევის მარჯვენა
შუქყარი, სარკის აღნიშნული კონსტრუქცია გ.ზომბარაიას განმარტებით, მთლიანად იმორჩებს
მის სახელზე რეგისტრირებულ პატენტს, რომლის სამართლებრივი დაცვის ფარგლებს გან-
საზღვრავს სასარგებლო მოდელის იჯარბულა. აღნიშნული ავტომობილების რეალიზაციას
საქართველოში ახორციელებს ს/ს „დაიმლერ-კრაისლერი“.

მოსარჩელეს ბიძისა, რომ მოასხუის მიერ „მერსედეს-ბენც-ავ“-ს ავტომობილების სამო-
ქალაქო ბრუნვაში ჩართით, ირაცეა მისი პატენტით მინიჭებული განსაკუთრებული უფლე-
ბები სასარგებლო მოდელზე და მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის საქართველოს „სა-
პატენტო კანონის“ 48-ე მუხლის შესაბამისად, მოასხუეს უნდა აეკრძალოს აღნიშნული ტი-
პის ავტომობილების ჩართვა სამოქალაქო ბრუნვაში და სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხ-
ლის თანხმად, მასვე უნდა დაეკისროს მოსარჩელისათვის მართლსაწინააღმდეგო ქმედებდან
გამომდინარე მატერიალური ზიანის ანაზღაურება 35000 ლარის ოდენობით.

აღნიშნულ სამოქალაქო დავაში ს/ს „დაიმლერ-კრაისლერი“ მოასხუედ ჩვეთი 2000
წლის 10 ივლისის განჩინებით. მანამდე მოსარჩელის თავდაპირველ მოასხუეს წარმოადგენ-
და შპს „აკა“, რომელსაც მოსარჩელე მიიჩნევდა ს/ს „დაიმლერ-კრაისლერის“ გენერალურ
წარმომადგენლად საქართველოში თავდაპირველმა მოასხუემ არასათანადო მოასხუედ ცნო-
ბის საკითხი შესახებების წარმოდგენისთანავე დააყენა, მაგრამ 2000 წლის 24 მაისს მო-
სამზადებელ სხდომაზე სასამართლომ არ დააკუთფილა შპს „აკა“ შუამდგომლობა იმ ეტა-
ზე საქმარის მტკიცებულებათა წარმოდგენლობის გამო და თავდაპირველ მოასხუეს და-
ვულა დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენა.

2000 წლის 10 ივლისს სასამართლოს მთავარ სხდომაზე კოლეგია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მას „აქა“ არ წარმოადგენს სათანადო მოპასუხეს და სსკ-ს 85-ე მუხლის შესაბამისად, თავდაპირველი, არასთანადო მოპასუხე შეცვალა სათანადო მოპასუხით, კერძოდ სს „ლაიბლერ-კრაისლერით“.

საქმეში არსებული მტკიცებულებების შესწავლისა და მხარეთა ზეპირი ახსნა-განმარტებების მოსმენის შემდეგ სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხე სს „ლაიბლერ-კრაისლერს“ საქართველოში არ გააჩნია რეზიდენცია ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი „საერთაშორისო კრძოლ სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად. საქართველოს სასამართლოებს აქვთ საერთაშორისო კომპეტენცია, თუ მოპასუხეს საქართველოში აქვს საცხოვრებელი ადგილი, რეზიდენცია ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო კოლეგიას მიანია, რომ რამდენადაც სს „ლაიბლერ-კრაისლერს“ საქართველოში არ გააჩნია რეზიდენცია ან ადგილსამყოფელი, სასამართლოს არ გააჩნია მოცემულ საქმეზე საერთაშორისო კომპეტენცია.

სასამართლო კოლეგია თვლის, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით კონკრეტულად არ არის განსაზღვრული ის საპროცესო მოქმედება, რომელიც უნდა შეასრულოს სასამართლომ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი დაადგენს, რომ მის წარმოებაში არსებულ საქმეზე არ გააჩნია საერთაშორისო კომპეტენცია.

კოლეგიას მიანია, რომ ამ შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნეს სსკ-ს მე-7 მუხლი, რომლის თანახმად: თუ არ არსებობს სადავო ურთიერთობის მომწესრიგებელი კანონი, სასამართლო იყენებს კანონს, რომელიც აწესრიგებს მსგავს ურთიერთობებს (კანონის ანალოგია).

ამ შემთხვევაში სასამართლოს მიანია, რომ გამოყენებული უნდა იქნეს სსკ-ს 272-ე მუხლის „ა“ პუნქტი, რომლის მიხედვით „საქმე არ უნდა იქნეს განხილული სასამართლოში იმის გამო, რომ კანონის თანახმად, მისი განხილვა სხვა უწყების კომპეტენციაში შედის“.

სასამართლო კოლეგიამ იმსჯელა ზემოთაღნიშნულის შესახებ და ჩათვალა, რომ მოცემული სამოქალაქო საქმე არ უნდა იქნეს განხილული სასამართლოში იმის გამო, რომ „საერთაშორისო კრძოლ სამართლის შესახებ“ კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, მას ამ საქმეზე საერთაშორისო კომპეტენცია არ გააჩნია.

ამდენად, კოლეგიამ მიიჩნია, რომ სსკ-ს 272-ე მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად საქმის წარმოება უნდა შეწყდეს.

სასამართლომ იხელმძღვანელა რა „საერთაშორისო კრძოლ სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლით, სსკ-ს მე-7, 272-ე მუხლის „ა“ პუნქტით, 284-ე, 285-ე, 274-ე, 414-ე, 416-ე მუხლებით.

და ა დ გ ი ნ ა :

შეწყდეს საქმის წარმოება სამოქალაქო საქმეზე გივი ზომტარიას სარჩელისა გამო მოპასუხე სს „ლაიბლერ-კრაისლერის“ მძიმართ სასატენტო უფლებების დაცვისა და მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ.

განმარტება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის სოლქო სასამართლოში მხარეებისათვის მისი გადაცემიდან 12 დღის განმავლობაში კრძოლ საჩივრით.



გ ა ნ რ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელთო

№ 3/კ629

2 თებერვალი, 2001 წ., ქობოლისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტების საქმეთა პალატა

შემაღვრელობა: მ. წიჭაძე (თავმჯდომარე),
რ. ნალიჩანი (მომხსენებელი),
მ. გოგიშვილი

სხდომის მდიანი: ე. ხაჩიძე

საკასაციო სარჩურის შემომტანი პირი: გ. ხომტარია

გასაჩივრებული განჩინება: ობოლისის სოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტების საქმეთა პალატის 2000 წლის 10 ივლისის განჩინებები.

შპარყები: მისარჩელე – გივი ხომტარია; წარმომადგენელი – ა. ჯერანაძე, დ. ბიძოლური.

მომასუხე – შპს „აკა“ ღირეკტორი – დ. მკლავიშვილი; წარმომადგენელი – დ. ჯერეხელიძე

ღვთის საგანი: სასატენტო უფლების დაცვა და ზიანის ანაზღაურება.

ა დ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი :

1997 წლის 15 მაისს „სატატენტის“ მიერ გივი ხომტარიას სახელზე რეგისტრირებული იქნა პატენტი №253 სასარგებლო მოდელზე „აეტრომანქანის უკუხელის სარკე სინათლის წყაროთი“.

2000 წლის 23 მარტს გივი ხომტარიამ სარჩელი აღძრა სასამართლოში მომასუხე შპს „აკა“-ს მიმართ და მოითხოვა სასატენტო უფლების დაცვა და ზიანის ანაზღაურება გ. ხომტარიას სარჩელის საფუძველად მოუთხოვდა, რომ სს „აიპლერ-კრაისლერის“ მიერ წარმოებული „მერსედეს-ბენციის“ ავტომობილებზე გამოყენებული სარკე იმეორებს მის სახელზე რეგისტრირებულ სასარგებლო მოდელის №253 პატენტის ფორმულას. შპს „აკა“ არის „აიპლერ-კრაისლერის“ წარმომადგენელი საქართველოში და მათ მიერ ხლებულა ამ ავტომობილების ჩართვა სამოქალაქო ბრუნვაში, რის გამოც ირდებოდა მისი სასატენტო უფლებები.

მომასუხე შპს „აკა“-ს ღირეკტორმა თავი არ ცნო სათანადო მომასუხედ, ამხიანა. შესასუხეში და მოსამზადებელ სხლამზე დაადასტურა, რომ შპს „აკა“ არის სს „აიპლერ-კრაისლერის“ გენერალური წარმომადგენელი და მათ მიერ წარმოებული ავტომობილების რეალიზატორი. სასამართლოს მთავარ სხლამზე საქმის განხილვისას მომასუხემ მოუთხოვა „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 11.1. მუხლზე და განმარტა, რომ შპს „აკა“ წარმოადგენს საავტოო წარმომადგენელს, იგი არ ეწევა სადავო ავტომობილების სამოქალაქო ბრუნვამ ჩართვას, გაყიდვას, გასაყიდად შეთავაზებას, იმპორტირებას და შენახვას. იგი ეწევა მხოლოდ საშუამავლო საქმიანობას, ხელს უწყობს კლიენტების მიხილვის გზით გარეგნობის დადგენას, სარეკლამო საქმიანობას. მომასუხემ მოითხოვა შპს „აკას“ ცნობა არასათანადო მომასუხედ.

ობოლისის სოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეჯამ 2000 წლის 10 ივლისის საიქო ფორმით მიღებული განჩინებით შპს „აკა“ ცნო არასათანადო მომასუხედ, იმავე დღეს მიღებული განჩინებებით სს „აიპლერ-კრაისლერი“ ჩართო მომასუხედ და შეწყვიტა საქმის წარმოება იმ საფუძველით, რომ სასამართლოს არ გააჩნდა

მოცემულ საქმეზე საერთაშორისო კომპეტენცია.

სასამართლომ გამოიყენა საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის მეორე მუხლი და დადგინდა, რომ სს „დაიმლერ-კრაისლერს“ საქართველოში არ გააჩნია რეზიდენცია ან ადგილსამყოფელი.

სასამართლომ გამოიყენა „მეწარმეთა შესახებ“ კანონის III.1. მუხლი და მიუთითა, რომ შს „აია“ არ არის სს „დაიმლერ-კრაისლერის“ სავაჭრო წარმომადგენელი, რადგან შს „აია“ არ ღებს გარიგებებს სს „დაიმლერ-კრაისლერის“ სახელითა და ხარჯით. შს „აია“ ახორციელებს მხოლოდ საშუაშელო საქმიანობას, კლიენტურის მიზიდვისა და ინფორმაციის შეგროვებისას გასამრეჯლოს იღებს საშუაშელო საქმიანობისათვის მხოლოდ გარიგების სრული განხორციელების შემდეგ.

სასამართლომ ასევე, „აია“ არ მიიჩნია დამოუკიდებელ მოვაჭრედ და არც კომისიონერად. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ დაასტურებულად არ ცნო შს „აიას“ მიერ სამოქალაქო ბრუნვაში პატენტით დატული ობიექტის ჩართვის ფაქტი და მიუთითა, რომ სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა უფლებამოსილი განეხილა საქმე, თუ მოსარჩელე საქმეში მოახსუბედ ჩართა კონკრეტულ მყიდველს, რომელმაც განახორციელა პატენტით დატული ობიექტით აღჭურვილი ავტომანქანების იმპორტირება საქართველოში და შესაბამისად, ჩართვა სამოქალაქო ბრუნვაში საქართველოს ტერიტორიაზე.

გივი ხოშტარია კერძო საჩივრით მიმართა საოლქო სასამართლოს და მიითხოვა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2000 წლის 10 ივლისის განჩინებების გაუქმება.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით სასამართლომ არასწორად განმარტა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლი; სასამართლომ, ასევე, არასწორად განმარტა ტერმინი „სამოქალაქო ბრუნვაში ჩართვა“ და სასამართლომ არ გამოიყენა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ინტელექტუალურ საკუთრებაზე ვაჭრობის თანამხედველი უფლებების შესახებ ხელშეკრულების 28-ე მუხლი.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიამ გ. ხოშტარიას კერძო საჩივარი არ დააკმაყოფილა და კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად გადმოუგზავნა უზენაეს სასამართლოს.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ი ო ნ ა წ ი ლ ი :

პალატა გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა აჩხნა-განმარტებანი და თვლის, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2000 წლის 10 ივლისის განჩინებები ამ საქმეზე უნდა გაუქმდეს და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა იზიარებს საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სასამართლომ არასწორად განმარტა „მეწარმეთა შესახებ“ კანონის III.1. მუხლი, რომლის თანახმად, სავაჭრო წარმომადგენლად ან კანონის მიხედვით მიიჩნევა პირი, რომელიც საქონლის, უფლებებისა და მომსახურების რეალური უფლებების მუშაგელობის ან ღებს გარიგებებს სხვა საწარმოს სახელითა და ხარჯით ისე, რომ თვითონ არ არის დასაქმებული ამ საწარმოში.

აღნიშნული მუხლის თანახმად, სავაჭრო წარმომადგენელი არა მხოლოდ ღებს გარიგებებს სხვა საწარმოს სახელითა და ხარჯით, როგორც ეს განმარტა სასამართლომ, არამედ სავაჭრო წარმომადგენლის საქმიანობის სავანს, ასევე, შეადგენს საქონლის რეალური უფლებების მუშაგელობა კლიენტსა და საწარმოს შორის, უფრო ზუსტად ხელს უწყობს კლიენტსა და საწარმოს შორის საქმიან ურთიერთობების დამყარებას, რისთვისაც იღებს პროცენტს.

მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ დადგინდა, რომ შს „აია“ მუშაგელობის, იზიდავს კლიენტურას, აგროვებს ინფორმაციას, იღებს გასამრეჯლოს გარიგების განხორციელების შემდეგ და რადგან, უშუალოდ არ ღებს გარიგებას მყიდველთან, შს „აია“ არ ჩაივლია სს „დაიმლერ-კრაისლერის“ სავაჭრო წარმომადგენლად.

საქართველოს სასამართლო კანონის 48-ე მუხლის თანახმად, პატენტებზე და აქვს განსა-

ეთარებულ უფლება თავისი შეხედულებისამებრ გამოიყენოს გამოვიწესა, სასარგებლო მოდელი, სამრეწველო ნიმუში, დაამზადოს პატენტით დაყული პროფექტი, წართოს ობიექტი სამოქალაქო ბრუნვაში, მისი გამოყენებით მიიღოს შემოსავალი, ან არსაღოს აღნიშნული ქველებები.

ვაქრობის მსოფლიო ორგანიზაციის (რომლის წევრიც არის საქართველო 1999 წლის ოქტომბრიდან) ინტელექტუალურ საკუთრებაზე ვაქრობის თანმსიკედრი უწყობების შესახებ ხელშეკრულების 28-ე მუხლის თანახმად, პატენტმფლობელს აქვს განსაკუთრებული უფლება აუკრძალოს შესახებ პირებს, რომელთაც მფლობელის ნებართვა არ გააჩნიათ, განახორციელონ შემდეგი ქმედებები: ა) პროდუქტის შექმნა, გამოყენება, გასაყვად შეთავაზება, ან გაყვად ან იმპორტი ამ მიზნებისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაყვად შეთავაზება, რაც გულისხმობს რეკლამას, ითვლება განსაკუთრებული უფლების დარღვევად.

მოცულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დადგერილია და შპს „აქა“-ს წარმომადგენელი ადვანტურებს, რომ შპს „აქა“ ეწყვა სარეკლამო საქმიანობას, შპს „აქას“ სალონიში ავტომანქანა დგას საილუსტრაციოდ და თუ ერთი წლის განსივლოასში არ მოხდება შეთავაზება იგზავნება სხვა ქვეყანაში.

ამდენად, პალატა თვლის, რომ შპს „აქა“ ახორციელებს სადყო ობიექტით აღკუერილი ავტომანქანების გასაყვად შეთავაზებას საქართველოში, რის გამოც პალატას მიაჩნია, რომ შპს „აქა“ არის სათანადო მოპასუხე.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

პალატამ იხილმბღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ ვ ა ნ ა :

გაუქმდეს ამ საქმეზე თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2000 წლის 10 ივლისის სხდომაზე საოქმო ფორმით მიღებული განჩინება შპს „აქას“ არასათანადო მოპასუხედ ცნობის შესახებ; 2000 წლის 10 ივლისის განჩინებები საქმეში სათანადო მოპასუხედ სს „დიომლერ-კრასილერის“ ჩამბის და საქმის წარმოებით შეწყვეტის შესახებ, ასევე, 2000 წლის 4 აგვისტოს განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შესაბამის კოდექსის.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.



განჩინება
საქართველოს სახელით

№2/321

12 მარტი, 2001წ., ქობილისი

ვაქ. საბურთალოს რაიონული სასამართლოს მოსამართლე ა. კახნიკიამ
გულენტის მღვიანობით

განვიხილე მოსამზადებელ სხდომაზე სს „დიომლერ-კრასილერის“ წარმომადგენლის გ. კაციტვილის სარჩელი მოპასუხის ვივი ხომტარიას მომართ შესამე პირთან „საქსატენტთან“ სასარგებლო მოდელზე „ავტომანქანის უკუხედვის სარკე სინათლის წყაროთ“ „საქსატენ-

ტის" მიერ 1997 წელს გაცემული №253 სასაქონლო სიგელის გაუქმების შესახებ.

გ ა მ ო ე ა რ კ ე ი ე :

1997 წელს „საქსატენტის“ მიერ გაცემული იქნა სასატენტო სიგელი სასარგებლო მოდელზე „ავტომანქანის უკუხედვის სარკე სინათლის წყაროთი“ პატენტი №253. პრიორიტეტი 19.09.1995წ. პატენტი გამოქვეყნდა 15.05.97წ. ბიულეტენში №7. პატენტმფლობელია - გივი ხოსტარია სს „დაიბლერკრისლერის“ მიერ წარმოებული მანქანა „მერსედეს-ბენცი“ შემოტანილია საქართველოში და როგორც ირკვევა, მათ წარმოებულ გაყიდვას ექნება და შეიძლება შეექმნას დაბრკოლება მომავალში, რადგან ეს ავტომანქანები აღჭურვილია უკუხედვის სარკით, რომელიც ანალოგიურია სასარგებლო მოდელის პატენტით დაცული უკუხედვის სარკისა. აღნიშნული პატენტი საქსატენტზე გასცა 1992 წელს დამტკიცებული გამოგონების შესახებ დებულების მიხედვით, რომელიც არ ითვალისწინებს საქსატენტის მიერ სიახლის ექსპერტიზის ჩატარებას. შესაბამისად ამისა შესაძლებელია, რომ გაცემულ პატენტს სიახლე არ გააჩნდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ „დაიბლერკრისლერს“ აქვს უფლება მოითხოვოს გაცემული პატენტის გაუქმება.

საქართველოს პატენტის არის საკუთრების ობიექტი და არა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ეს ფაქტი ცალსახად არის დაფიქსირებული დებულებით გამოგონების შესახებ მე-11 მუხლში. სამოქალაქო კოდექსის 1100-ე მუხლში, რომელია თანახმადაც მოქმედი პატენტი ყოველ-გაყიდვის ან სხვაგვარად განხილვის საგანია.

პატენტი სამოქალაქო კოდექსში პირდაპირ მოაქვთნა საკუთრებას, რადგან იგი მოათავსა IV წიგნის „ინტელექტუალური საკუთრება“ ნაწილში „სამრეწველო საკუთრება“. ამით კოდექსმა ხაზი გაუსვა იმას, რომ პატენტი საკუთრებაა და რომ ის ეკრძო სამართლის ურთიერთობათა ობიექტია.

სამოქალაქო კოდექსის არანაირად არ ეხება ადმინისტრაციული სამართლის ობიექტებს, რომლებიც სამოქალაქო ბრუნვის ობიექტების რიცხვს ვერაზიარად ვერ მიეკუთვნება. აღნიშნულის გამო ჩვენს შემთხვევაში ხაზზევა სამოქალაქო დავა, რომელიც ეხება ობიექტზე საკუთრების გაუქმება-გაბათილებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ნათელია, რომ საქმე გვაქვს ინტელექტუალური საკუთრებით ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებში საქართველოს სსკ-ს მე-14 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად საოლქო სასამართლოს პირველი ინსტანციით განჯადი საქმეები, ე.ი. ეს საქმე არის ქიბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა კოლეგიის განსჯადი და მისი რაიონული სასამართლოს მიერ განხილვა კანონით დაუშვებელია. ეს საქმე რაიონული სასამართლოს განსჯადი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ „საქსატენტის“ მიერ გაცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გაიცემოდა კანონით დადგენილი პრაიდურების დარღვევით.

„უკუხედვის სარკე სინათლის წყაროთი“ საქართველოს სამოქალაქო სასარკესო კოდექსის მე-14, მე-15, 284-ე და 285-ე მუხლებში.

დ ა ე ა დ მ ნ ე ე :

1. ხს. „დაიბლერკრისლერი“-ს წარმომადგენლის ვერნერ კრემერის სარჩელი მომასუხის გვი „ხოსტარიას მიმართ შესაძე პირთან „საქსატენტთან“ სასარგებლო მოდელზე ავტომანქანის უკუხედვის სარკე სინათლის წყაროთი“ „საქსატენტის“ მიერ 1997 წელს გაცემული №253 სასატენტო სიგელის გაუქმების შესახებ განსჯადობის მიხედვით განსახლველად გადავზავნოს ქიბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა კოლეგიას.

2. განჩინება გასაჩივრების არ ექვემდებარება.



გ ა ლ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა
საქართველოს სახელით

№2/ა-37-2002

25 თებერვალი, 2002 წ., თბილისი

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგია

შეზადგენლობა: შ. ჩანტლაძე (თავმჯდომარე),

ქ. დევლაძე (მომხსენებელი),

მ. ჯიყაშვილი

ხზომის მდივანი: ხ. სურამელაშვილი

მოსარჩელე: ს.ს. „დაიბლერკრაისლერი“; წარმომადგენელი - გ. ციციშვილი

მომასწავლებელი: გივი ხომტარია; წარმომადგენლები - ა. კერესაძე, დ. ლიბიჯიანი

შესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე: „საკატეტრო“; წარმო-

მადგენლები - დ. ძაქუაშვილი, ზ. ნუფარიძე, ი. ლიასაძე

დავის საგანი: საკატეტრო სიგელის გაუქმება.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი :

1997 წელს „საკატეტროს“ მიერ გაცემული იქნა სასატეტრო სიგელი №253 სასარგებლო მოდელზე „ავტომანქანის უკუხედვის სარკე, სინათლის წყაროთი“ პრიორიტეტი 19.09.1995 წლიდან; პატენტის გაუქმის შესახებ მოღებულ გადაწყვეტილება გამოქვეყნდა 15.05.97წ. ბიულეტენში №7, პატენტმოპოვებელი - გივი ხომტარია.

ს.ს. „დაიბლერკრაისლერის“ მიერ წარმოებული და საქართველოში გასაყიდად შეტანილი „მერსედეს-ბენცი“-ს მარკის ავტომანქანები აღჭურვილია ისეთი უკუხედვის სარკით, რომელიც ანალოგიურია №253 პატენტით დაცული უკუხედვის სარკისა. ეს გარემოება კი ხელს უშლის ს.ს. „დაიბლერკრაისლერის“ „მერსედეს-ბენცის“ მარკის ავტომანქანების წარმატებით გაყიდვას.

№253 პატენტით დაცული სასარგებლო მოდელის პატენტუნარიობა (სიახლის კრიტერიუმის არ ქონა) დასტურდება იმით, რომ სასარგებლო მოდელის პრიორიტეტამდე 1995 წ. 19 სექტემბრამდე უკვე დიდი ხნის წინ ცნობილი იყო №253 პატენტით დაცული სასარგებლო მოდელის იდენტური უკუხედვის სარკეები, კერძოდ, 1951 წელს გამოქვეყნებული იყო გერმანიის №816060 პატენტი „უკუხედვის სარკე გარეაღ დასამაგრებლად“; 1986 წელს გამოქვეყნებული იყო გაერთიანებული სამეფოს პატენტი №2161440A „კომბინირებული სარკე“; 1991 წელს გამოქვეყნებული იყო გერმანიის სასარგებლო მოდელი №691101029.2 „სატრანსპორტო საშუალების უკანახედვის სარკე სასინგალიზაციო მოწყობილობით“. სამივე ეს ინფორმაცია ცალ-ცალკე აღებული აბათილებს საქართველოს №253 პატენტით დაცული სასარგებლო მოდელის სიახლეს.

სიახლის დადგენა ან გაბათილება ხდება მხოლოდ ერთ ობიექტთან შედარებით; გაერთიანებული სამეფოს №2161440A პატენტით დაცული სასარგებლო მოდელის ფორმულის არსებითი ნიშნების და საქართველოს №253 პატენტით დაცული სასარგებლო მოდელის ფორმულის არსებითი ნიშნების შედარებისას დადგინდა, რომ ქართული სასარგებლო მოდელის ფორმულის ყველა არსებითი ნიშანი ცნობილია გაერთიანებული სამეფოს საკატეტრო განაცხადიდან; კერძოდ, გ. ხომტარიას სასარგებლო მოდელის ფორმულა: „ავტომანქანის უკუხედვის სარკე სინათლის წყაროთი, რომელიც შეიცავს კორპუსს, სამაგრ კვანძს, განსხვავდება იმით,

რამ სინათლის წყარო განლაგებულია კორპუსში სარკისაგან და დაკარულია ოპტიკურ-სელექტორული ხუფით". ამ ფორმულიდან გამომდინარე სასარგებლო მოდელის არსებითი ნიშნებია: 1. სარკე უკუხედვის, 2. სინათლის წყარო, განლაგებული კორპუსში სარკის უკან, 3. კორპუსი, 4. სამაგრა კვანძი, 5. ოპტიკურ-სელექტორული ხუფი, ყველა ეს არსებითი ნიშანი მოცემულია გაერთიანებული საბჭოეთის საპატენტო განცხადებაშიც, რაც იმას ნიშნავს, რომ ქართული სასარგებლო მოდელის სახელე არ აქვს არც არა არის პატენტუნარიანი.

მოსამრედე იახოვის გაუქმებული იქნეს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ქრთონული ცენტრის „საქპატენტი“-ს მიერ გაცემული №253 პატენტი, ამ პატენტზე განაცხადის შეტანის თარიღიდან.

მოსახუე ვიყო ხომტარამ წარმოდგენილ წერილებით შესავეებელმა ხარველი არ ცნო და განსრტა, რამ პატენტზე, როგორც ინტელექტუალური საკუთრების ობიექტზე დამკვი დოკუმენტის გაცემის ან გაუქმების შესახებ საკითხები განვიკუთრება ადმინისტრაციულ სასართლებრივ სერიის და იგი განხილული უნდა იქნეს ადმინისტრაციული სასრუესო კოდექსით დადგენილი წესების მიხევიით, ეინაიდან პატენტი არის საჯარო სამართლის ორნდოული პირის „საქპატენტის“ მიერ კანონის შესაბამისად გაცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც ადასტურებს ავტორობას ან ანივეტს პატენტის მფლობელს განსაკუთრებულ უფლებას.

საქმის არსებობად განხილვისას მოასახუემ აგრეთვე მოითხოვა მისი, როგორც არასათადგო მოსახუების შეკვლა სათანადო მასახუებით, ცერმოდ „საქპატენტო“.

მოასახუე მხარეე სასარგებლო მოდელის პატენტუნარიანობასთან დაკევირებით სასამართლოში წარმოდგინა შემდეგი ვანსარტებები: №253 პატენტით დაკული სასარგებლო მოდელი წარმოდგენს კონკრეტულად გაუბგროსებულ მრეწობლობას, სასარგებლო მოდელის ფორმულაში მოცემული ხუფი ელემენტის თუ კვანძის არსებობა არ არის საქმარის სახლის კრიტერიუმის არარსებობის შესახებ დასკვნისათვის, რადგან ამ ცნობილი ელემენტების კონკრეტული გამოყენების თავისებურება და მათ შარის კონსტრუქციული და ფუნქციონალური კევირების თავისებურება ქმნის №253 სასარგებლო მოდელის სახლეს, პატენტუნარიანობას, ცერმოდ: მას დასახული ამოცანის გადასაწყვეტად, გაერთიანებული საბჭოეთის საპატენტო განაცხადისაგან განსხეველებით არ სკირდება „საქეალური ვევირები“ /გაუქმტარი ზღულე და ღონხები, რათა მარჯვენი და მარცხნიე მობრუნების დროს მდლოს არ შეეშალოს ხელი თავისი ნათებით, №253 პატენტის სასარგებლო მოდელის კონსტრუქცია იმდენად ამარტივეს ადნიშნული მიზნის მოწვევას, რომ პრაქტიკულად არსებული სარკეების კონსტრუქციისა და დიზარის შეუცვლელად ყველა ავტომანქანის სარკის უკან ნაწილში შეიძლება ჩამატებელი იქნეს საკირო კონსტრუქციის სინათლის წყარო დამატებით გამართული ელემენტების გარეშე.

გრმანის ფედერაციული რესპუბლიკის გამოვანების №0816060 პატენტის და სასარგებლო მოდელის №09101029 პატენტის ანალიზის წარმოდგენისას მოასახუემ განმარტა, რომ №253 პატენტით დაკულია კონკრეტული კონსტრუქციული გადაწყვეტა.

გრმანის ფედერაციული რესპუბლიკის პატენტის №0816060 საპატენტო ფორმულიდან ირკვევა, რომ ამ პატენტის მიზანია ის, რომ მნათი სინათლის წყაროს გამოსხივება ნანდეს, როგორც სარკის წინა მხრიდან, ასევე სარკის უკან მხრიდან, №253 პატენტის ერთერთი კონსტრუქციული თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მნათი წყაროს გამოსხივება ერეცელდება მხოლოდ შემეხვედრი სტრანსპორტო საშუალების მიმარსულებით და არ ერეცელდება მოძრაობის მიმართულების საპირისპირო მხარეს, რაც მდლოლს აძლევს საშუალებას აღიქვას და შეაფასოს ის მოვლენები, რაც ხდება მის უკან.

გრმანის ფედერაციული რესპუბლიკის სასარგებლო მოდელის №09101029 პატენტით დაკული მოდელი აღქვრვილია სინათლისათვის „გამჭირვალე მოსახსნელი ხუფებით“. გ. ხომტარას სინათლისათვის გამოყენებული აქვს არა გამჭირვალე ხუფი, არამედ „ოპტიკურ-სელექტორული ხუფი“, რომელშიც არეკლისათვის გამოიყენება კატალოტი, რომელიც ინტეგრირებულია ნათურებთან და ერთიანობაში წარმოდგენს №253 პატენტის ფორმულაში აღნიშნულ სინათლის წყაროს.

მოასუხე მხარის განმარტებით, მხოლოდ №253 პატენტის კონსტრუქციული ვარიანტი იძლევა განსხვავებულ ეფექტს დაპირისპირებულ პატენტთან შედარებით, ოპტიკურ-სელექტორული ხუვის და სინათლის ისეთი წყაროს მეშვეობით, რომელიც ექტიური და პასიური გამოსხივების უზარაო შედეგად ხელს უწყობს საეკოლოგიურ სიტუაციის თავიდან აცილებას, ამის გამო გ. ხომტარიას მიღელი მინერული უნდა იქნეს კონსტრუქციულად ახალი მოდელი.

მოასუხე მხარემ აგრეთვე განმარტა, რომ №253 საპატენტო მოდელის ერთ-ერთი არსებითი ნიშანია კატაფორის, ანუ ოპტიკური რეფლექტორის არსებობა, რომელიც უზრუნველყოფს ახალი ტექნიკური შედეგის (ავტომატიზაციის მაქსიმალური უსაფრთხოების განზრახვას დასატენობით სიგნალიზაციით) მიღწევას 1995 წლის 19 სექტემბერს „საქსატენტში“ განაცხადთან ერთად წარდგენილ სასარგებლო მოდელის ფორმულის პირველ ვარიანტში გამოზომილების გ. ხომტარიას მიერ დასასკლებული იყო ოპტიკური რეფლექტორი, როგორც ერთ-ერთი არსებითი ნიშანი, ფორმალურ მთხოვნათა ექსპერტიზის დროს „საქსატენტ“-ს ექსპერტის მოთხოვნით პირვანდელი ფორმულა ავტორთან შეთანხმებით შეცვლილი იქნა ახალი რედაქციით, კერძოდ ოპტიკური რეფლექტორი შეცვლილი იქნა სინათლის წყაროთი, რითაც გაერთიანდა სასარგებლო მოდელის დაცვის ფარგლები.

მოასუხე განმარტავს, რომ დაპირისპირებული პატენტების აღწერილობის და ფორმულის ანალიზიდან არ ჩანს მათში ისეთი არსებითი ნიშნის არსებობა, როგორცაა ოპტიკური რეფლექტორია, ხოლო, თუ №253 სასარგებლო მოდელის ფორმულა დარღვივდა პირვანდელი რედაქციით ფორმულაში ოპტიკური რეფლექტორის, როგორც ერთ-ერთი არსებითი ნიშნის შემადგენლობით, მოსარჩელეს არანაირი საფუძველი არ ექნებოდა მოუთხოვა პატენტის გაუქმება, რადგან დაკმაყოფილებული ექნებოდა სასარგებლო მოდელის სახელის კრიტერიუმი.

შესაშვს კარის „საქსატენტ“-ის წარმომადგენელმა განმარტა, რომ გ. ხომტარიას „საქსატენტში“ წარდგენილი განაცხადი სასარგებლო მოდელზე პატენტის მოსაღებად განხილული და გადაწყვეტილი იყო საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 16 მარტის №302 დადგენილებით დამტკიცებული დებულებით „გამოიკრების შესახებ“, რომლის 76-ე მუხლის მიხედვით პატენტის ვაცემა სასარგებლო მოდელზე ხდება სახელისა და პრაქტიკული სარგებლობის ექსპერტიზის ჩატარებულად. გ. ხომტარიას განაცხადსაზე „საქსატენტის“ მიერ ჩატარდა ექსპერტიზის მოთხოვნების შესაბამისად. მხოლოდ ფორმალური ნიშნების მიხედვით, მხოლოდ „საქსატენტში“ შემოსული განაცხადების გათვალისწინებით. გ. ხომტარიას პატენტის დაპირისპირებულ პატენტთან შედარებით ანალიზის შედეგად თვლის, რომ წარმოდგენილი ინფორმაცია და პატენტით დაცული ობიექტი შეიცავს არსებითი ნიშნების ერთი და იგივე ერთობლიობას:

სასამართლოს მიერ დანიშნულმა ექსპერტებმა №253 პატენტით დაცული სასარგებლო მოდელის დაპირისპირებული საინფორმაციო წყაროებიდან: გერმანიის პატენტი №16060 1949 წლის, გერმანიის პატენტის №910102952 1991 წლის, გაერთიანებული სამეფოს პატენტი №2160440 1985 წლის, შედარების საუბუქებზე სასამართლოს მიხეცა დასცნა იმის შესახებ, რომ №253 პატენტით დაცული გ. ხომტარიას სასარგებლო მოდელის ფორმულაში წარმოდგენილი არსებითი ნიშნების ერთობლიობა არ აკმაყოფილებს სახელის კრიტერიუმს.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

სასამართლო კოლეგიამ შეისწავლა საქმეში არსებული მტკიცებულებები, მოისმინა მხარეთა ბეჭირი განმარტებები, შეათვალა წარმოდგენილი საჩივლის საბარტოლებრივი საფუძვლები, მიიჩნია, რომ ს.ს. „დაიბლმარკაისლერის“ საჩივლი საუბუქლირია და ის უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. დადგენილია, რომ 1997 წელს „საქსატენტის“ მიერ ვაცეული იქნა სასატენტო სიგელი №253, სასარგებლო მოდელზე „ავტომატიზაციის უწყვეტის სარკე სინათლის წყაროთი“, პატენტმფლობელი გივი ხომტარია, პრიორიტეტი 19.09.1995 წლიდან.

სასარგებლო მოდელზე პატენტის მიღებასთან დაკავშირებული უზიიერობები №253 პატენტის ვაცემის პერიოდისათვის რეგულირდებოდა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრ-

რთა „კინეტის 1992 წლის 16 მარტის №302 დადგენილებით დამტკიცებული დებულებით „გამოგონების შესახებ“ ამ დებულების 74-ე მუხლით დადგენილია, რომ „პატენტი გაცივს სასარგებლო მოდელზე, რომელიც განგეოვანება მოწყობილობათა, ნივთიერებათა და სერვისების გაუზიარებლად და რომელსაც ახასიათებს სიახლე და სარგებლობა გამოგონებისას“.

„სიახლე“ დაბულების მე-3 მუხლის მიხედვით ითვლება ის, რაც არ არის ცნობილი ტექნიკის არსებული ღრისათვის; ტექნიკის არსებულ დონეზე გეოგონების მე-5 მუხლი განმარტავს ყოველივე იმას, რაც ცნობილი გახდა ფართო წრისათვის წერილობითი ან ზეპირი აღწერის, ან საჯარო გამოცემის ან სხვა გზით, პატენტზე განაცხადის შეტანის თარიღამდე. დებულება „გამოგონების შესახებ“ არ ავალდებულებდა „საკატენტს“ სასარგებლო მოდელზე პატენტის გაყვებისა დაფიქრება სასარგებლო მოდელის პატენტუნარიანობა სიახლისა და სარგებლობის თვალსაზრისით. გამოდინარე იქიდან, რომ დებულების 76-ე მუხლით დადგენილია: პატენტის გაყვმა სასარგებლო მოდელზე ხდება სიახლისა და პრაქტიკული სარგებლობის კონსერვაციის ჩატარებლად.

სასამართლო კოლეგია თვლის, რომ „საკატენტის“ მიერ გ. ზომტარას სასარგებლო მოდელზე პატენტი №253 გაცემული იქნა „გამოგონების შესახებ“ დებულების მოთხოვნათა შესაბამისად: გ. ზომტარას განაცხადის ფორმალური ნიშნების შემოწმებისა და „საკატენტის“ შესული განცხადებების გათვალისწინებით.

სასამართლო კოლეგია თვლის, რომ „გამოგონების შესახებ“ დებულებიდან გამოდინარე №253 პატენტი დატული სასარგებლო მოდელის პატენტუნარიანობის თაობაზე ს.ხ. „დაიშლერკრაისლერის“ მიერ აღძრულ დავაში, მოელი მასუხისძებლობა სიდაყო პატენტით დატული სასარგებლო მოდელის სიახლეზე ეკისრება პატენტშულობელ გივი ზომტარას; მასზე გადადის მტკიცების ტვირთი იმ გარემოებისა, რომ მის სასარგებლო მოდელი არის პატენტუნარიანი, კერძოდ აქამოყოფილებს სიახლის კრიტერიუმს „გამოგონების შესახებ“ დებულების მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრული პირობების ფარგლებში.

„გამოგონების შესახებ“ დებულების 42-ე მუხლის მიხედვით გამოგონების საგანს განსაზღვრავს გამოგონების ფორმულა; „სასარგებლო მოდელზე განაცხადის გაფორმებისა და წარადგენის წესის“ 3.13 პუნქტის მიხედვით, „სასარგებლო მოდელის ფორმულაში მოცემული უნდა იყოს სასარგებლო მოდელის მოკლე დასახითება, რომელიც გამოხატავს მის არს და უმსაზურება ობიექტის საპატენტო დაცვის ფარგლებს დადგინას“. ამევი წესების 3.131 პუნქტით გამოგონების ფორმულაში მოცემული უნდა იყოს საეარაულო ტექნიკური შედეგის მისაღწევად საშაროსი არსებითი ნიშნების ერთობლიობა.

სასამართლო კოლეგია თვლის, რომ ვინაიდან №253 პატენტით დატული სასარგებლო მოდელის ფორმულა: „აგტომანქანის უკუნელების სარკე სინათლის წყაროთი, რომელიც შუიკავს კორპუსის, სამაგრი კეანძის, განსხვავდება იმით, რომ სინათლის წყარო განლაგებულია კორპუსში სარკის უკან და დაფარულია ოპტიკურ-ხელექტორული ხუფით“. №253 პატენტით დატული სასარგებლო მოდელის საპატენტო დაცვის ფარგლებში მოცემულია შემდეგი არსებითი ნიშნები: 1. სარკე უკანახედვის, 2. სინათლის წყარო, განლაგებული კორპუსში სარკის უკან, 3. კორპუსი, 4. სამაგრი კეანძი, 5. ოპტიკურ-ხელექტორული ხუფი და შესაბამისად, ამ სასარგებლო მოდელის სიახლე უნდა დადგინდეს მის ფორმულაში მოცემული არსებითი ნიშნების ერთობლიობის სახელით დაპირისპირებული საინფორმაციო წყაროს ფორმულის არსებითი ნიშნებთან მიმართებაში.

სასამართლო კოლეგია გ. ზომტარას სასარგებლო მოდელის ფორმულის არსებითი ნიშნების, დაპირისპირებული საინფორმაციო წყაროების ფორმულების არსებითი ნიშნებთან შედარებით, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ №253 პატენტით დატული გ. ზომტარას სასარგებლო მოდელი არ არის პატენტუნარიანი, კერძოდ არ აქამოყოფილებს სიახლის კრიტერიუმს, ვინაიდან ამ სასარგებლო მოდელის ფორმულის ყველა არსებითი ნიშნის ერთობლიობა ცნობილია დაპირისპირებული საინფორმაციო წყაროების ფორმულებიდან. გერმანიის პატენტი №816060-დან 1951 წლის, გერმანიის პატენტი №9101029-დან 1991 წლის, გაერთიანებული სამეფოს პატენტი №2161440-დან 1985 წლის.

სასამართლო კოლეგია ამ დასკვნამდე მივიდა საქმეში არსებული მტკიცებულების:

ექსპერტის დასკვნის, მესამე პირის, მოსარჩელე და მოასუსტე მხარეების წარმოდგენილს განმარტების ერთობლიობაში შეფასების შედეგად.

სასამართლო კოლეგია იზარებს მოასუსტე მხარის პოზიციას იმის შესახებ, რომ ცნობილი არსებითი ნიშნების კონსტრუქციულად ახალი ურთიერთკავშირით შეიძლება შეიქმნას პატენტუნარიანი ტექნიკური გაუმჯობესება. მაგრამ თვლის, რომ ცნობილი ნიშნების ახალი კონსტრუქციის სასატენტო დაცვის ფარგლებში მოქცევისათვის აუცილებელია სასარგებლო მოდელის ფორმულის განმარტებულ ნაწილში ცნობილი არსებითი ნიშნების იმ კონსტრუქციულად ახალ ურთიერთგანლაგებაზე მითითება, რომელიც იწვევს ახალ ტექნიკურად გაუმჯობესებულ შედეგს.

სასამართლო კოლეგია არ იზარებს მოასუსტე მხარის პოზიციას იმის თაობაზე, რომ გ. ხომტარიას სასარგებლო მოდელით ახალი, უცნობი ეფექტი მიიღწევა რა ცნობილი ნიშნების ახალი კონსტრუქციული და ფუნქციონალური კავშირების თავისებურების ხარჯზე, ის აქამოფილებს სიახლის კრიტერიუმს, ვინაიდან ამ სასარგებლო მოდელის სიახლე, ცნობილი არსებითი ნიშნების ახალი ურთიერთკავშირების ხარჯზე, არ გამოძინარეობს სასარგებლო მოდელის ფორმულიდან. პირიქით, მასში არსებითი ნიშნები წარმოდგენილია ზოგადი სახით. მათი კონსტრუქციულად სპეციფიკური ურთიერთკავშირის თავისებურების და ამ თავისებურებების ხარჯზე განსხვავებული ეფექტების მითითების გარეშე.

გ. ხომტარიას სასარგებლო მოდელის ფორმულის მიხედვით მოდელის განმარტებული ურთიერთკავშირის ნიშნება: სინათლის წყარო, განლაგებული კორპუსში, სარკის უკან, როგორც მოასუსტე მხარე განმარტავს სავარაუდო, ახალი ტექნიკური შედეგის მიღწევის უზრუნველყოფს არა ფორმულის განმარტებულ ნაწილში ჩამოყალიბებული ნიშნების ზემო აღნიშნული განსხვავებული ურთიერთკავშირი, არამედ სინათლის ისეთი წყარო, როგორც „კატაფორტი“ შემუშავებით აქვს, როგორც აქტიური, ისე პასიური გამოსხივების უნარი; მოასუსტისე განმარტებით სწორედ ეს ნიშანი „კატაფორტი“ განსხვავებს გ. ხომტარიას სასარგებლო მოდელს ყველა დაპირისპირებული მოდელისაგან და ამ ნიშნის გარეშე მის მოდელს სიახლე არ გააჩნია.

როგორც გ. ხომტარიას სასარგებლო მოდელის ფორმულიდან ჩანს განმარტების მიერ დასახული სავარაუდო ტექნიკური შედეგის მიღწევად საქმარის არსებითი ნიშანთა ერთობლიობაში „კატაფორტი“ შესული არ არის; განსხვავებული აქტიური და პასიური გამოსხივების უნარის მქონე სინათლის წყაროზე მითითებას სასარგებლო მოდელის ფორმულა არ შეიცავს, მასში ნიშანი, სინათლის წყარო, ზოგადად არის წარმოდგენილი, რის გამოც ამ ფორმულის სასატენტო დაცვის ფარგლებში მოქცეულია ნებისმიერი სინათლის წყარო, მათ შორის აქტიური და პასიური გამოსხივების უნარის არმქონეც; ასევე დაპირისპირებული საინფორმაციო წყაროების ფორმულებშიც არსებითი ნიშანი, სინათლის წყარო, მოქცეულია ზოგადად.

სასამართლო კოლეგიის აზრით, არსებითი ნიშანი: „სინათლის წყარო“, ასეთი ზოგადი ფორმულირებით სიახლის კრიტერიუმის განმარტებული ვერ იქნება. ვერც გ. ხომტარიას სასარგებლო მოდელისათვის და ვერც დაპირისპირებული საინფორმაციო წყაროებისათვის.

სასამართლო კოლეგია არ იზარებს მოასუსტე მხარის პოზიციას იმის შესახებ, რომ ვინაიდან გ. ხომტარიას სასარგებლო მოდელის აღწერილობაში მითითებულია იმ არსებითი ნიშნის, კატაფორტის შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს განსხვავებული ტექნიკური ეფექტის მიღწევას და განსხვავებს მას დაპირისპირებული მოდელისაგან, გ. ხომტარიას სასარგებლო მოდელი არის პატენტუნარიანი, ვინაიდან სასარგებლო მოდელის სიახლე დგინდება მხოლოდ სასარგებლო მოდელის ფორმულაში მოცემული იმ არსებითი ნიშნების ერთობლიობით, რომლებიც განმარტების აზრით საქმარისა სავარაუდო ტექნიკური შედეგის მიღწევად.

სასამართლო კოლეგია თვლის, რომ ვინაიდან ნიშანი „კატაფორტი“ გ. ხომტარიას სასარგებლო მოდელის ფორმულაში არსებითი ნიშნად შესული არ არის, ის არ არის მოქცეული ამ მოდელზე გაცემული №253 პატენტის სასატენტო დაცვის ფარგლებში და შესაბამისად, ვერ იქნება №253 პატენტით დაცული გ. ხომტარიას სასარგებლო მოდელის სიახლის კრიტერიუმის განმარტებული.

სასამართლო კოლეგია ზემოთ აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე დადგენილად

თელის, რომ №253 პატენტით დატული სასარგებლო მოდელი არ არის პატენტუნარიანი. ვინაიდან ის არ აკმაყოფილებს სიახლის კრიტერიუმს.

„გაზოფორების შესახებ“ დებულების 61-ე მუხლის მიხედვით, პატენტი უქმნება, თუკი დადგინდა, რომ პატენტის საგანი არ არის პატენტუნარიანი, 67-ე მუხლით კი პატენტის სრულ ან ნაწილობრივ ბათილობას უარსაკეთით ძალა აქვს პატენტზე განაცხადის შეტანის თარიღიდან.

სასამართლო კოლეგიამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 243-ე, 249-ე, 395-ე, 397-ე, 176-ე, 45-ე მუხლებით. გადაწყვიტა:

ხ ა რ ე ზ ი ლ უ ც ი თ ნ ა წ ი ლ ი :

1. ს.ს. „დაიმილერკრაისლერი“ სარჩელი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქსატენტი“ მიერ გაუქმული №253 საპატენტო სიგელი სასარგებლო მოდელზე „ავტომანქანის უკუხედვის სარკე სინათლის წყაროთი“. ამ პატენტზე განაცხადის შეტანის თარიღიდან;
3. დეკლარაციის ს.ს. „დაიმილერკრაისლერს“ ექსპერტის მიერ გაწეული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება, 500 ლარის ოდენობით, ექსპერტის ლისარა ამირეჯანიშვილის სასარგებლოდ;
4. გადაწყვეტილების გასაჩივრება შეიძლება საკასაციო წესით საქართველოს უზენაეს სასამართლოში თბილისის საოლქო სასამართლოს მეშვეობით ერთი თვის განმავლობაში. მხარეთა თვის დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩასარების დღიდან.



გ ა ნ წ ი ბ ე ბ ა
საქართველოს სახელით

№ 3/633-02

17 ივლისი, 2002 წ. ქობულისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაცოტრების საქმეთა პალატა

შესაღწერა: მუხან წიქვაძე (თავმჯდომარე),
ლალი გორელაშვილი (მომხსენებელი),
როზა ნადირიანი

კასატორი: გივი ხომტარია (მოსასუხე)

გასაჩივრებული გადაწყვეტილება: თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და საეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2002 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება

კასატორის თხოვნა: გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელზე უარის თქმა

მოწინააღმდეგე მხარე: სს „დაიმილერკრაისლერი“ (მოსარჩელე); წარმომადგენელი - გ. ციციშვილი

ხარჯელის საგანი: სასატენტო ხიჯელის გაუქმება.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი :

სს „დაიმილერკრაისლერის“ წარმომადგენელმა გურამ ციციშვილმა სარჩელი აღძრა გივი ხომტარიას და მესამე პირი - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქსატენტი“ წინააღმდეგ და მოითხოვა სასატენტო სიგელის გაუქმება მოხარვე-

ღემ სარჩელის საყურეღად მოუოათა, რომ 1997 წელს საქატენტის მერ, გაყეული იქა საატენტო სივლი სასარგებლო მოღელზე „აეტომანქანის უუხედვის სარკე, სინათლის წყაროთ“ აატენტო №253, პრიორიტეტი 19.09.1995წ. აატენტის გაყევის შესახებ მოღერული გაღაწეეტილება გამოქვეღდა 15.05.97წ. ბოღლერეში №7, აატენტრებულღდ არის გიო, ხოშტარია, მოსარჩელემ განმარტა, რომ ს.ს. „დიღმღერკრახისღერის“ მერ წარბოებულა მანქანა „მერსედეს ბენცი“ შებოტანბილი იქა საქართველიში და როგორც ირკვევა მბო წარმტებულ გაყოღას შეიღლება შეეჭწნას დაბრკოლება მომავღლში, ვინაღდან ეს აეტომანქანებო აღქუერვიღია უუხედვის სარკოთ, რომელიც სასარგებლო მოღელის აატენტბოთ დაყეული უუხედვის სარკის ანაღოვიერია. აღნიშნული აატენტო გაყეული იქა „საქატენტის“ მერ 1992 წელს დამტკიცებული „გამოგონების შესახებ“ დებულეღის მიხედვით, რომელიც არ ითვღლისწინანების საქატენტის მერ სიხღლის ექსპერტბის ჩატარებას. მოსარჩელის აბრბოთ გაყეულ აატენტს სიხღდ არ განნია, რაც მიუბოებს იბზე, რომ „დიღმღერკრახისღერის“ უღლება აქეს ბოთბოეოს სასამაროღოსგან გაყეული აატენტის გაყეუბს, რომლის საყოშეღლიცა „გამოგონების შესახებ“ დებულეღის 66-ე მუხღლის „ბ“ ქვეპუნტბო, 67-ე მუხღლი, 75-ე მუხღლი, აგრეევე საქართვეღოს საატენტო კანონის 57-ე მუხღლის ბირველი პუნტბის „ა“ ქვეპუნტბო და 58-ე მუხღლი.

მოსარჩელემ მიუბოთა, რომ №253 აატენტბოთ დაყეული სასარგებლო მოღელის სიხღდ არ დაბტერღება იბ ვიქბოთაც, რომ სასარგებლო მოღელის პრიორიტეტბღდ ანუ 19.09.95წ. ლიღი სბოთ აბრე დაატენტებული იყო სასარგებლო მოღელის დენერერი სარკეებო, კრბოღდ, 1951 წელს გამოქვეღებული იყო ვერბანბის №816060 აატენტო „უკანახედვის სარკე გარღდან დასამგარებღდ“, 1986 წელს გამოქვეღებული იყო გაერთბანბული სამეფოს საატენტო განაცხადი №2161440A „კომბინირებული სარკე“, 1991 წელს - ვერბანბის სასარგებლო მოღელი №691010292 „სატრანსპორტო საშუაღების უკანახედვის სარკე სასივღღლი-ბსაციო მოწყობბობბოთ.

მოსარჩელემ მიუბოთა, რომ აღნიშნული ინფორმაცია ცალ-ცალკე აბბოიღებს საქაროვეღოს სასარგებლო მოღელის სიხღდს, მაგრამ იბო საქბოროდ მიბრწევის სასარგებლო მოღელის სბოთ და დეტალურ ანღლის გაერთბანბული სამეფოს №2161440A განაცხადბან შედარებბოთ, რადგან სიხღლის დაღებნა ან გამბბოიღება ხღდება მბოღოდ ერთ ბბოექტბთან შედარებბოთ. სასარგებლო მოღელის ფორმულა: „აეტომანქანების უუხედვის სარკე სინათლის წყაროთ, რომელიც შეყოვეს კორპუსს, სამგარ კვანბს, განსხეუღება იბბოთ, რომ სინათლის წყარო განღღაღებულა კორპუსში სარკის უკან და დაფარულა ბბტიკურ-სელექტბორული ხუფბოთ“. ამ ფორმულიდან გამბბინბრე სასარგებლო მოღელის არსებბოთ ნიშნბია: 1) სარკე უკანახედვის; 2) სინათლის წყარო, განღღაღებული კორპუსში სარკის უკან; 3) კორპუსი; 4) სამგარი კვანბი; 5) ბბტიკურ-სელექტბორული ხუფი. გაერთბანბული სამეფოს საატენტო განაცხადბთან №2161440A შედარებბოთ დგინბდება, რომ სიხღბი 1 „უუხედვის სარკე“ ცნობიღია საატენტო ფორმულის ბარველი მუხღლის მე-2 წინაღღებბიდან და აღწერბობბიდან; სიხღბი 2 - „სინათლის წყარო განღღაღებულ კორპუსში სარკის უკან“ ცნობიღია საატენტო ფორმულის 1 მუხღლის მე-13, მე-10 წინაღღებბიდან, სღდაც აღწერბობბოთ როგორც სინათლის წყაროს განღღაღება კორპუსში, ისე მბბოთ დანიშნულება - მბბბბოიღების რევენება, ხუფბოსის გაფრბოხღება და სხვა. ეს ნიშანი, აგრეევე, ცნობიღია აღწერბობბიდან და ნახაზბიდან (ფგ. 3 პოზიცია 10); ნიშანი 3- „კორპუსი“ ცნობიღია საატენტო ფორმულის 1 პუნტბიდან, აღწერბობბიდან, ნახაზბიდან (ფგ. 1, 2, 3, პოზიცია 4); ნიშანი 5- „ბბტიკურ-სელექტბორული ხუფი“ ცნობიღია გამოგონების ფორმულის 1 პუნტბიდან, აღწერბობბიდან და ნახაზბიდან (ფგ. 2, პოზიციებ 5, 7, 8). მოსარჩელემ მიუბოთა, რომ ანღლიდან ნაბოღდ ჩანს, რომ ქართული სასარგებლო მოღელის ყვეღა არსებბოთ ნიშანი ცნობიღია გაერთბანბული სამეფოს საატენტო განაცხადბიდან, რაც იბს ნიშანეს, რომ ქართულ აატენტს სიხღდ არა აქეს, ანუ სასარგებლო მოღელი „გამოგონების შესახებ“ დებულეღის 66-ე მუხღლის „ბ“ ქვეპუნტბის, საქართვეღოს საატენტო კანონის 57-ე მუხღლის 1 პუნტბის „ა“ ქვეპუნტბის მიხედვით არ არის აატენტუნარბანი.

აღნიშნულიდან გამბბინბრე, მოსარჩელემ ბოთბბოვა საქართვეღოს ინტელექტუალური

საკუორების ეროვნული ცენტრის „საქსატენტის“ მიერ გაცემული №253 პატენტის გაუქმება ამ პატენტზე განაცხადის შეტანის დღიდან.

მაქსიმე მხარე - გივი ხომბარიაძე სარჩელი არ სცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

შესაძებ. პირს „საქსატენტის“ წარმომადგენელმა განმარტა, რომ გ. ხომბარიას „საქსატენტში“ წარმომადგენელი განაცხადი სასარგებლო მოდელზე პატენტის მისაღებად განხილული და გადაწყვეტილი იყო საქართველოს რესპუბლიკის მინისტროს კაბინეტის 1992 წლის 16 მარტის №302 დადგენილებით დამტკიცებული „გამოგონების შესახებ“ დებულების მიხედვით, რომლის 76-ე მუხლით პატენტის გაცემა სასარგებლო მოდელზე ხდება სახელისა და პრაქტიკული საკვლედიანობის ექსპერტიზის ჩატარებულად. გ. ხომბარიას განცხადებაზე „საქსატენტის“ მიერ ჩატარდა ექსპერტიზა დებულების მოთხოვნის შესაბამისად. მხოლოდ ფორმალური ნიშნების მიხედვით და „საქსატენტში“ შეოსული განცხადების გათვალისწინებით. შესაძებ პირს „საქსატენტის“ წარმომადგენელმა გ. ხომბარიას პატენტის დაპირისპირებულ პატენტთან შედარებით ანალიზის შედეგად მიუთითა, რომ წარმომადგენელი ინფორმაცია და პატენტით დაკლებული ობიექტი შეუცავს არსებითი ნიშნების ერთი და იგივე ერთობლიობას.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამწარმოო საქმეთა კოლეგიის 2002 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილებით ს.ს. „დაიმღერე, კრისტიანის“ სარჩელი დაკმაყოფილდა. გაუქმდა საქართველოს ინტელექტუალური საკუორების ეროვნული ცენტრის „საქსატენტის“ მიერ გაცემული №253 სასატენტო სიგელი სასარგებლო მოდელზე. „ავტომანქანის უკუსუდის სარკე სინაოლის წყაროთი“. ამ პატენტზე განაცხადის შეტანის თარიღიდან. სასამართლო კოლეგიამ საქმეში არსებული მტკიცებულებით, საქართველოს ინტელექტუალური საკუორების ეროვნული ცენტრის „საქსატენტის“ გამოგონებას და სამწარმოო ნიშნების დეპარტამენტის 2001 წლის 25 დეკემბრის ექსპერტის დასკვნის, შესაძებ პირის, მოსარჩელე და მოასუზე მხარეების წარმომადგენლების განმარტებების ერთობლიობაში შეუახების შედეგად, გ. ხომბარიას სასარგებლო მოდელის ფორმულის არსებითი ნიშნების დაპირისპირებული საინფორმაციო წყაროების ფორმულების არსებითი ნიშნებთან შედარების შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ №253 პატენტით დაკლებული გ. ხომბარიას სასარგებლო მოდელი არ არის პატენტუნარიანი, იქროდ არ აკმაყოფილებს სიახლის კრიტერიუმს, ვინაიდან ამ სასარგებლო მოდელის ფორმულის ყველა არსებითი ნიშნი ერთობლიობა, ცნობილია დაპირისპირებულ საინფორმაციო წყაროების ფორმულებიდან: 1951 წელს გერმანიაში გაცემული №816060 პატენტიდან, 1991 წლის გერმანიის №9101029 პატენტიდან და გაერთიანებულ სამეფოს 1985 წლის №2161440A პატენტიდან.

გააკეთა რომ 10.01.90წ. მოსარჩელე ფიზიკურმა პირმა მომართა ყოფილ სსრ კავშირის მეცნიერებათა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან არსებული გამოგონებათა და აღმოჩენათა სახელმწიფო კომიტეტს თხოვნით ეცნოთ განმეცხადებელი გამოკონების „ნაპირების დაცვის ნაგებობა“ ავტორად და გაეცათ დამკვეთი ლოკუმენტი – საეკთროო მოწმობა (განაცხადი №4779033). წარდგენილი ლოკუმენტაცია სრულიად აქმაყოფილებდა იმპანონდებული კანონდებლობის მოთხოვნებს და 15.08.91წ. სსრ კავშირის მეცნიერებათა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან არსებულმა გამოგონებათა და აღმოჩენათა სახელმწიფო კომიტეტმა გასცა მოსარჩელის სახელზე საეკთროო მოწმობა №1698319. გამოგონებაზე: „ნაპირების დაცვის ნაგებობა“.

30.07.91წ. მოსარჩელე ფიზიკურმა პირმა და მისმა მამ (ვლადიკარბოლადე) მომართეს ერთობლივი განაცხადით რუსეთის საპატენტო უწყებას თხოვნით ეცნოთ იხიროთ თანავეტორებულ გამოგონებაზე: „ნაპირების დამკვეთი ნაგებობა ცარიელი კვლით“ და გაეცათ მათ სახელზე დამკვეთი ლოკუმენტი – პატენტი. რუსეთის საპატენტო უწყების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სახელმწიფო საპატენტო ექსპერტიზის 06.08.92წ. გადაწყვეტილებით დღევინდა, რომ გამოგონება: „ნაპირების დამკვეთი ნაგებობა ცარიელი კვლით“ (საპატენტო ექსპერტიზის გადაწყვეტილებაში გამოგონების დასახელება მითითებულია შემოკლებით – ნაპირების დამკვეთი ნაგებობა) სრულიად ასუსობს გამოგონებათა კრიტერიუმებს და გადაწყვეტილება გაეცეს მითითებული განაცხადის საფუძველზე პატენტი.

ქვეყანაში შექმნილი ვითარების გამო (ივლისსმება სსრ კავშირის რღვევა. საქართველოში არსებული ვარშობებში) ავტორებს აღარ მიუძღრათეო არც სსრ კავშირის საპატენტო უწყებისათვის და არც რუსეთის საპატენტო უწყებისათვის. მოსარჩელემ მომართა „საქსატენტს“ 26.10.99წ. (განაცხადის საკანცელარიაო №2740/01-99) და მოითხოვა ორივე შემოაღნიშნულ გამოგონებაზე პატენტის გაცემა.

მომასუხემ დაუბრუნა მოსარჩელეს გამოგონებაზე განაცხადის მასალები შემდეგ ვარშობებათა გამო:

საქართველოს საპატენტო კანონის 77-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად 25.05.99წ. ძალადაკარგულია საქართველოს ყოფილი მინისტრთა კაბინეტის 16.03.92წ. №302 დადგენილება, რომლის მიხედვითაც იყო დაშვებული საქართველოს პატენტის გაცემა ყოფილი სსრ კავშირის საეკთროო მოწმობით ან პატენტით დაცულ გამოგონებაზე, რომელთაც ქვირდათ პრიორიტეტი 01.05.72წ. შემდეგ. ამასთან მოსარჩელის განაცხადი ვერ იქნებოდა განხილული როგორც განაცხადი შეტანილი „საქსატენტში“ პატენტის მისაღებად, ვინაიდან საქართველოს საპატენტო კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად შემოტანილი პატენტი გაცემა უცხოური პატენტის მეფლობეზე.

სასამართლო კოლეჯი მიიჩნევს, რომ მოსარჩელე ფიზიკურ პირს მილიანად უნდა ეთქვას უარი მის სასარჩელი მოთხოვნებზე შემდეგ ვარშობებათა გამო:

პირველი, მოსარჩელე მიიჩნევს თავის თავს ორი გამოგონების ავტორად: ა) გამოგონებაზე „ნაპირების დაცვის ნაგებობა“, რომლის განაცხადის შეტანის პრიორიტეტული თარიღია 1990 წლის 10 იანვარი. მითითებულ გამოგონებაზე მოსარჩელის აქვს აღებული დამკვეთი ლოკუმენტი – საეკთროო მოწმობა, რომლის მოქმედება ვრცელდებოდა სსრ კავშირის მთელ ტერი-

ტორიაზე. მათ შორის საქართველოზე. ბ) გამოვინებაზე (თანაეცხრად) „ნაპირების დამცავი ნაგებობა (ცარიელი კედლით“, რომელზეც იყო გაკეთებული მხოლოდ განაცხადი და არსებობს რუსეთის სასაბჭოო უწყების სასაბჭოო ექსპერტიზის დადებითი გადაწყვეტილება. ატტენტის გაკეთის თაობაზე. მაგრამ ატტენტა კერ გაიცა სსრ კავშირის რევევის შვედეთ (როგორც ამის მოსარჩელე ამტკიცებს).

აღსაყვრებული ურთიერთობები რველირდებოდა საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 16.03.92წ. №302 დადგინილების „გამოვინების შესახებ დებულების დამტკიცებისა და სამოქმედო შემოღების თაობაზე“ შესახებ. მეოთხე და მეხუთე პუნქტებით. მითითებული აქტი აღგენდა, რომ იყო დაშვებული საქართველოს ატტენტის გაკეთა ყოფილი სსრ კავშირის საყტტორო მოწმობით ან ატტენტით დაეულ გამოვინებაზე. რომელთაც ქეონდათ პრიორიტეტი 01.წ.72 წლის შემდეგ. ამასთან საქართველოს ატტენტის მოქმედების 20-წლიანი ვადა უნდა ყოფილიყო ათეული გამოვინების არსებული პრიორიტეტადან. იგივე წესი უნდა ყოფილიყო გაერკლებული ატტენტებზე, რომლებიც იყო გაკეთული უცხოეთის ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე.

უცხოეთის ფიზიკური და იურიდიული პირების სახელზე გაკეთული ყოფილი სსრ კავშირის ატტენტის მოქმედება უნდა გაერკლებულიყო საქართველოს ტერიტორიაზე. თუ ატტენტმოღობილებს წინასწარ, 1992წლის 1 იანვრამდე ქეონდათ გადახდილი მათ ატტენტის ძალიშ შენარჩუნებისათვის და იშ ვადით, რომელსაც ითვალისწინება ბოლა გადახდა. მითითებული მთარობის დადგინილების მე-5 პუნქტი პირდაპირ აღგენდა, რომ განაცხადები, რამლებიც ყოფილი სსრ კავშირის სასაბჭოო უწყებაში განხილვის სტადიაში იყო ან რომლებზეც იყო მიღებული დადებითი გადაწყვეტილება, მაგრამ არ იყო გაკეთული საყტტორო მოწმობები ან ატტენტები. შეიძლება ყოფილიყენ შეტანილი „საქატტენტში“, ამასთან მათ შეუნარჩუნდებოდათ ყოფილი სსრ კავშირის სასაბჭოო უწყების მიერ დადგინილი პრიორიტეტები.

05.02.99წ. საქართველოს სასაბჭოო კანონის 71-ე მუხლის მე-2 პუნქტის საყრეველზე ძალადაკარგულად ჩათვალა საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 16.03.92წ. №302 დადგინილება და მითითებული დადგინილების აღნიშნული ნორმები.

მეორე, ხარეტი კანონმდებლობაში არ არსებობდა. ნორმატიული აქტები აწესრიგებდენ ურთიერთობებს, რომლებსა თაობაზე მოსარჩელე მამართა მოასახეს, მოსარჩელეს რომ მიეშართა მოასახისათვის საქართველოს სასაბჭოო კანონის ამოქმედებამდე (აღნიშნულია, რომ კანონი ამოქმედდა მისი მიღებიდან სამი თვის შემდეგ) მხარეთა შორის წამოჭრილი ურთიერთობები მოწესრიგება სამართლებრივი აქტებით. შესაბამისად, კანონმდებელმა მოასახეგა სადაყო ურთიერთობები. ჩათვალა რომ ყელა დანტერესებულ პირს ქეონდა შესაძლებლობა მიეშართა თავისი უფლებებისა და კანონიერი ურთიერთობების დასაცავად ჯერ „საქატტენტისათვის“, ხოლო თუ პირი მინიშ მიიწვედა, რომ მისი უფლებები და ინტერესები დარჩა დაცვის გარეშე. შემდგომ პირს ქეონდა უფლება მიეშართა სასამართლო ორგანობისათვის. შესაბამისად, მოასახე საყსებით კანონიერად და მართებულად მოიქცა, რომესაც არ გასცა განაცხაუბზე დამცავი დოკუმენტი - ატტენტი. ატტენტის გაკეთის საშეღებრივი საყრეველი არ არსებობს.

შესახებ, სასამართლო ვერ მიიწვეს საყტტორო მოწმობას, რომელიც იყო გაკეთული ყოფილი სსრ კავშირის შეწიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან არსებული გამოვინებათა და აღმონებათა სახელმწიფო კომიტეტის მიერ, როგორც დამცავ დოკუმენტს, რომელიც იყო გაკეთული უცხო სახელმწიფოს მიერ. ჯერ ერთი, საყტტორო მოწმობა მოქმედება მიელ ტერიტორიაზე (იგულისხმება ყოფილი მთელი სსრ კავშირის ტერიტორია, ფარგლებში და შესაბამისად საქართველოს ფარგლებშიც). მეორე, მართალია რუსეთის ფედერაცია სცნობს, რომ სწორედ რუსეთის ფედერაცია არის ყოფილი სსრ კავშირის უფლებამუქედრე, მაგრამ დაუდგენილია ამჟამად დაეულია საყტტორო მოწმობით დასაცავი უფლებები, თუ არა. აღსანიშნავია, რომ მოსარჩელის განმარტებით მას აღარ მიეშართას რუსეთის ფედერაციის სასაბჭოო უწყებისათვის, ე.ი. მოსარჩელეს არა აქვს გადახდილი არც ბაი საყტტორო მოწმობის ძალიშ შენარჩუნებისათვის, შესაბამისად სასამართლო ვერ ჩათვლის

№1698349 სააგროპრო მოწმობას, როგორც უცხო ქვეყნის დამცვე ლოკუმენტს.

მეოთხე, რაც შეეხება მეორე გამოგონებასთან დაკავშირებით. პატენტის გაცემის მოთხოვნას, აღნიშნული მოთხოვნა უსაყუდელია. გამოგონებაზე „ნაპირების დამცვე ნაგებობა (არაიული კედლით“, რომლის განაცხადის შეტანის პრიორიტეტული თარიღია 30.07.91წ. დამცვეი ლოკუმენტი - პატენტი არ ყოფილა გაცემული. შესაბამისად ამჟამად „საქსატენტს“ არ გააჩნია არავითარი საძარბოეკრივი საფუძველი გასცეს პატენტი.

სასამართლო კოლეგიამ იხელმძღვანელა რა საქართველოს სამოქალაქო სასროცესო კოდექსის 243-ე, 244-ე, 247-ე, 250-ე, 255-ე მუხლებით

გ ა დ ა წ ვ ე ი ტ ა :

1. მოსარჩელე ფიზიკურ პირს აეთანდღე თვართქილამეს მის სასარგლო მოთხოვნებზე მოასხუბე ორგანიზაციის, საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქსატენტის“ მიმართ. მძლიანად ეთქვას უარი.

ა) ეთქვას უარი აეთანდღე თვართქილამეს მის მოთხოვნაზე დაედალოს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს „საქსატენტს“ გასცეს გამოგონებაზე „ნაპირების დამცვის ნაგებობა“, რომლის განაცხადის შეტანის პრიორიტეტული თარიღია 1990წ. 10 იანვარი, დამცვეი ლოკუმენტი - პატენტი (ანუ გადაფორმდეს).

ბ) ეთქვას უარი აეთანდღე თვართქილამეს მის მოთხოვნაზე დაედალოს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს „საქსატენტს“ გასცეს გამოგონებაზე „ნაპირების დამცვეი ნაგებობა ცარიული კედლით“, რომლის განაცხადის შეტანის პრიორიტეტული თარიღია 1991წ. 30 ივლისი, დამცვეი ლოკუმენტი - პატენტი.

2. ფიზიკურ პირს აეთანდღე თვართქილამეს გადახდეს სახელმწიფო ბიუჯეტის ხასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟი 30 ღარი ოდენობით.

საღისრულებო ფურცელი აღსასრულებლად გადაეგზავნოს აქარის ავტონომიური რესპუბლიკის საღისრულებო სამსახურის ქაბოების საღისრულებო ბიუროს.

გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატაში, ქაბილისის საოლქო სასამართლოში საკასაციო საჩივრის შეტანით, ერთი თვის ეადამი წინამდებარე გადაწყვეტილების გამოტანის მომენტიდან.



გ ა დ ა წ ვ ე ი ტ ი ლ ე ბ ა
საქართველოს სახელთ

№3გ/ად-15-კ

20 მარტი, 2000 წელი ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ

- შემდეგი შემადგენლობით:
- ა. ტაბუცაძე (თავმჯდომარე),
 - ბ. ვაჩაძე,
 - გ. ხიზიტიაძე

კასატორის: აეთანდღე თვართქილამის წარმომადგენლის, ცირა ჯავახიშვილის მოწინააღმდეგე შმარის: „საქსატენტის, წარმომადგენლის, დავით ძაბუკაშვილის მონაწილეობით

განხილავთ ავთანდილ თავართქილაძის საკასაციო საჩივარი თბილისის საოლქო სასამართლოს აღმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 1999 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქსატენტოსაგან..“ მისთვის გამოგონებაზე „ნაპირების დაცვის ნაგებობა..“ ხსრ კავშირის საავტორო მოწმობის, ხოლო გამოგონებაზე „ნაპირების დამკვეთი ნაგებობის ცარიელი კვლით..“ პატენტის გაცემაზე რუსეთის სასატენტო უწყების მიერ გამოტანილი დადებითი გადაწყვეტილების გადაფორმების, ან შემოტანილი პატენტების გაცემის თაობაზე.

საკასაციო პალატამ მოისინა რა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის მთა ენაძის მოხსენება.

გ ა მ ო ა რ კ ე ი ა :

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქსატენტის“, 1999 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ავთანდილ თავართქილაძეს უარი ეთქვა პატენტების მისაღებად განაცხადის განხილვის შესახებ იმ მოტივით, რომ „საქართველოს სასატენტო კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად შემოტანილი პატენტი გაიცემა უცხოური პატენტის მფლობელზე და არა ხსრ კავშირის საავტორო მოწმობასა და პატენტის გაცემაზე რუსეთის სასატენტო უწყების მიერ გამოტანილ დადებით გადაწყვეტილებაზე. ამასთან, ამ კანონის 77-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, 1999 წლის 25 მაისიდან ძალადაკარგულად ჩითულა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 16 მარტის №302 დადგენილება, რომლის მიხედვითაც დაშვებული იყო საქართველოს პატენტის გაცემა (გადაფორმება) ყოფილი ხსრ კავშირის საავტორო მოწმობით ან პატენტით დაიულ გამოგონებაზე, რომელთაც ქვირდათ პრიორიტეტი 1972 წლის 1 მაისის შემდეგ.

1999 წლის 4 ნოემბერს მოსარჩელე ავთანდილ თავართქილაძემ ხარველით მიმართა თბილისის საოლქო სასამართლოს აღმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა „საქსატენტის“, მიერ მისთვის გამოგონებაზე „ნაპირების დაცვის ნაგებობა..“ – ხსრ კავშირის საავტორო მოწმობის, ხოლო გამოგონებაზე „ნაპირების დამკვეთი ნაგებობის ცარიელი კვლით..“ – პატენტის გაცემაზე რუსეთის სასატენტო უწყების მიერ გამოტანილი დადებითი გადაწყვეტილების გადაფორმება, ან შემოტანილი პატენტების გაცემა შემდეგ გარემოებათა გამო:

ხსრ კავშირის გამოგონებათა და აღმოჩენათა სახელმწიფო კომიტეტის მიერ 1991 წლის 15 აგვისტოს ავთანდილ თავართქილაძეზე გაიცა საავტორო მოწმობა №1698349 გამოგონებისათვის „ნაპირების დაცვის ნაგებობა..“

რუსეთის სასატენტო უწყების მიერ 1992 წლის 6 აგვისტოს ავთანდილ თავართქილაძეზე გამოტანილ იქნა დადებითი გადაწყვეტილება პატენტის გაცემის თაობაზე გამოგონებისათვის „ნაპირების დამკვეთი ნაგებობის ცარიელი კვლით..“ მაგრამ პატენტის გაცემა ვერ მოხერხდა, რადგან დაიშალა სამქმთა კავშირი და ასეთ ურთიერთობებს არეგულირებს და საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 16 მარტის №302 დადგენილება.

ამ დადგენილების შესაბამისად, განაცხადზე, რომელზეც ყოფილი ხსრ კავშირის სასატენტო უწყებამ გაცემული იყო საავტორო მოწმობა ან პატენტი, დაშვებული იყო საქართველოს რესპუბლიკის დამკვეთი დოკუმენტის გაცემა.

მოქმედ „საქართველოს რესპუბლიკის სასატენტო კანონი..“ რომელიც ძალაში შევიდა 1999 წლის 25 მაისს, და რომლითაც გაუქმდა საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 16 მარტის №302 დადგენილება, მართალია არ არეგულირებს აღნიშნულ საკითხებს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ გამოგონებულმა თავის გამოგონებებზე ვერ მიიღოს პატენტის ფლობის უფლება, რომლის მოქმედების უდა კანონით დადგენილი წესით გასული არ არის.

მოასახებ, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქსატენტის“, წარმომადგენელმა არ ცნო სარჩელი შემდეგი საფუძვლებით:

„საქართველოს სასატენტო კანონის..“ (ძალაშია 1999 წლის 25 მაისიდან) 77-ე მუხლის

მე-2 პუნქტის შესაბამისად ძალადაკარგულად ჩაითვალია საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 16 მარტის №302 დადგენილება „გამოგონების შესახებ დებულების დამტკიცებისა და სამოქმედო შუიშოების თაობაზე... რომლის მე-3 პუნქტის თანახმად დაშუიშული იყო საქართველოს პატენტის გაცემა ყოფილი სსრ კავშირის საავტორო მოწმობით ან პატენტით დაკულ გამოგონებებზე, რომელთაც ქმნდნთ პრიორიტეტი 1972 წლის 1 მაისის შემდეგ (ე.წ. ვადაფორმბა...).

ამასთან, „საქართველოს საპატენტო კანონის... მე-4 მუხლის შესაბამისად: „გამოგონების უცხოური პატენტის შელობების სახელზე შეიძლება გაიცეს შემოტანილი პატენტო... მაგრამ მოსარჩელის სახელზე სსრ კავშირის საპატენტო უწყების მიერ გაკუიული საავტორო მოწმობის საფუძველზე არ შეიძლება გაიცეს შემოტანილი პატენტი, რადგან აღნიშნული საავტორო მოწმობა ურკულდებოდა საქართველოს ტერიტორიაზე (როგორც სსრ კავშირის შემადგენელ ნაწილზე) და იგი არ შეიძლება ჩაითვალოს უცხოურ დამკაცე ლიკუიზრად.

ამდენად, „საქპატენტს... აღარ აქვს ნორმატიული საფუძველი ერთი მხარე. გასცეს პატენტი სსრ კავშირის საავტორო მოწმობით ან პატენტით დაკულ გამოგონებებზე და შორე მხრივ, გასცეს შემოტანილი პატენტი, ამასთან, „საქპატენტო... შზადა სასამართლოს რეპს-მერი გადაწყვეტილება განიხილოს როგორც პრეკლუზიტი და შემდგომში მიიღოს სახელმძღვანელო.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგდასახლო საქმეთა კოლეგიამ 1999 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილებით უარი უთხრა მოსარჩელე ავთანდილ თავართილადეს ხარჯლის დამყოფილებზე და მოითთა:

1999 წლის 5 თებერვლის „საქართველოს საპატენტო კანონის... 77-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ძალადაკარგულად ჩაითვალია საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 16 მარტის №302 დადგენილება და შესაბამისად ამ დადგენილების ის ნორმბა, რომლებიც აწესრიგებდნენ ყოფილი სსრ კავშირის საავტორო მოწმობის ან პატენტის საფუძველზე საქართველოს პატენტის გაცემის, ე.წ. ვადაფორმბას. ამდენად, საქართველოს პატენტის გაცემის სამართლებრივი საფუძველები არ არსებობს.

ავთანდილ თავართილადეს საავტორო მოწმობაზე ვერ გაიცემა ვერც შემოტანილი პატენტი, ვინაიდან საავტორო მოწმობა მოქმედებდა ყოფილი საჭოთა კავშირის მიუღს ტერიტორიაზე, მათ შორის საქართველოს ფარგლებშიც და იგი უცხო ქვეყნის საავტორო მოწმობად არ ჩაითვლება. ამასთან, დაუდგენელია, ამჟამად დაკულია თუ არა საავტორო მოწმობაზე დასაკაცი უფლებები.

რაც შეეხება ავთანდილ თავართილადის მოთხოვნას, შორე გამოგონებასთან დაკავშირებით პატენტის გაცემის შესახებ, აღნიშნული მოთხოვნა უსაფუძელია. გამოგონებაზე „ნაპირების დამკაცი ნაგებობა ცარიელი კვლით... რომლის განაცხადის შეტანის პრიორიტეტული თარიღია 1991 წლის 30 ივლისი, ყოფილი სსრ კავშირის პატენტი გაცემული არ ყოფილა. ამდენად, „საქპატენტს... არ გაჩნია არკითარი სამართლებრივი საფუძველი ვასცეს საქართველოს პატენტი ან შემოტანილი პატენტი.

ავთანდილ თავართილადის წარმომადგენელმა საკასაციო საჩივრით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგდასახლო საქმეთა კოლეგიის 1999 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმბა. ამასთან, „საქპატენტისგან... მის გამოგონებებზე საქართველოს პატენტების ან შემოტანილი პატენტების გაცემა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა საკასაციო პალატა გაეყრო საქმის მასალებს, შეამოწმა გადაწყვეტილების კანონიერება და დასაბუთებლობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დამყოფილდეს. თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგდასახლო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება უნდა შეიკვალოს იმ ნაწილში, რომელთაც ავთანდილ თავართილადეს უარი უთქვა „საქპატენტის-გან... საავტორო მოწმობის საფუძველზე შემოტანილი პატენტის გაცემაზე გამოგონებისათვის „ნაპირების დაცვის ნაგებობა“. შემდეგ ვარეშობათა გამო:

„საქართველოს სასაბჭოო კანონის„ მე-4 მუხლის თანახმად, შემოტანილი პატენტი გაიცემა უცხოეთში დასაბჭოებულ იმ გამოგონებაზე, რომელზედაც ჩატარებულია ექსპერტურა სტენტირარინობის ცვლა კრიტერიუმის გათვალისწინებით. შემოტანილი პატენტი შეიძლება გაიცეს გამოგონების უცხოური პატენტის მფლობელის სახელზე, რომელიც პატენტმფლობელს ანიჭებს განსაკუთრებულ უფლებას გამოიყენოს, აწარმოოს ან გაყიდოს პროდუქცია, მაგრამ არ აძლევს უფლებას აუკრძალოს შესაძენ პირს ასეთი პროდუქციის საზღვარგარეთიდან შემოტანა.

საკასაციო პალატა ვერ გაიზარებს თბილისის საოლქო სასამართლოსა და მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებას, რომ ყოფილი სსრ კავშირის მიერ გაცემული საუბირო მოწმობა არცვლდება საქართველოს ტერიტორიაზე (როგორც სსრ კავშირის შემადგენელ ნაწილზე) და იგი არ შეიძლება ჩათვალოს უცხოურ დამკვეთ ღირებულებად.

საქართველოს კონსტიტუციის პირველი მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, „საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო, რაც დადასტურებულია 1991 წლის 31 მარტს ქვეყნის მიერ ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთის ასსრ-ში და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჩატარებული რეფერენდუმით და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით...“

ამდენად, საკასაციო პალატას მიანიძა, რომ ავთანდილ თაყაიშვილიაზე გამოგონებისათვის „ნაპირების დაცვის ნაგებობა, გაცემული საუბირო მოწმობა №1698349, რომელიც 1991 წლის 15 აგვისტოსაა რეგისტრირებული სსრ კავშირის გამოგონებათა სახელმწიფო რეესტრში, წარმოადგენს უცხოურ დამკვეთ ღირებულებას, უცხოურ პატენტს და, რადგან „სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის 1883 წლის 20 მარტის კონვენციის„ თანახმად, საუბირო მოწმობა უთანასწოებს პატენტს, უფადა და არ სჭირდება დაცვას, მასზე უნდა გაიცეს შემოტანილი პატენტი.

საკასაციო პალატა იზიარებს თბილისის საოლქო სასამართლოს მოსაზრებას, რომ უნაძიდან ავთანდილ თაყაიშვილიაზე გამოგონებისათვის „ნაპირების დამკვეთ ნაგებობა ცარიელი კედლით„ რუსეთის სასაბჭოო უწყების მიერ ვერ იქნა გაცემული პატენტი, დღესათვის, „საქართველოს სასაბჭოო კანონის„ მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად არ არსებობს სამართლებრივი საფუძველი შემოტანილი პატენტის გასაცემად.

ამასთან, საკასაციო პალატა კასაციის ფარგლებს მაქცევს იმ გარემოებას, რომ მას შეუძლია განაცხადი გამოგონებისათვის „ნაპირების დამკვეთ ნაგებობა ცარიელი კედლით„ თავიდან შემოტანოს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში „საქსატენტი„, იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის სასაბჭოო უწყების მიერ ინფორმაცია ამ გამოგონების შესახებ არ გამოქვეყნებულა.

საკასაციო პალატა, ასევე იზიარებს თბილისის საოლქო სასამართლოს მოსაზრებას, რომ ავთანდილ თაყაიშვილიაძის ვერც ერთ ზემოთ დასახელებულ გამოგონებაზე ვერ გაიცემა საქართველოს პატენტი, ვინაიდან „საქართველოს სასაბჭოო კანონის„ 77-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად ძალადაკარგულად ჩაითვალა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 16 მარტის №302 დადგენილება და ამდენად, ყოფილი სსრ კავშირის საუბირო რეგისტრის ან პატენტის საფუძველზე საქართველოს პატენტის გაცემის სამართლებრივი საფუძველები აღარ არსებობს.

ამდენად, საქართველოს უზენაეს სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას მიანიძა, რომ ავთანდილ თაყაიშვილიაძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს.

იხილეთ: იხილეთ რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მეორე ნაწილის გ) ქვეპუნქტით, 23-ე და 33-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 409-ე და 411-ე მუხლებით, საკასაციო პალატამ

გ ა ლ ა წ ყ ე ი ტ ა :

1. ავთანდილ თვართქილაძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.
2. დაეუკულოს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს „საქ-პატენტს“, ორი კვირის ვადაში კარონით დადგენილი წესით გამოსცეს ადმინისტრაციული აქტი ავთანდილ თვართქილაძეზე შემოტანილი პატენტის გაცემის თაობაზე გამოგონებისათვის „ნაპირების დაცვის ნაგებობა... რომელზეც გაცემულია საექტორო მიწმობა №1698349.
3. თბილისის საოლქო სასამართლოს 1995 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილება ძალაში დარჩეს იმ ნაწილში, რომლითაც ავთანდილ თვართქილაძეს უარი უთქვა პატენტის გაცემაზე გამოგონებისათვის „ნაპირების დამცავი ნაგებობა ცარიელი კედლი... რომელზეც ვერ მოესწრო პატენტის გაცემა.
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.



გ ა ნ რ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

№ 3კ-633 19 ოქტომბერი, 2000 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაცოტრების საჩუთა ძალატამ

შედევნი შესდგენლობით: შ. წიქეაბე (თამბუდომარე),
შ. გოგიშვილი,
ლ. გორელაშვილი

განიხილა შსს „კომუნყოფისერვისცენტრის“ ღირეცტორიის პირველი მოადგილის ტმარაშვილის კრძო საჩუთარი ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო კოლევკის 2000 წლის 10 თებერელის განჩინებზე, საქმეზე – ქობილისის ქარხანა „ელექტროავტომატის“ სარჩელის გამო ელექტროენერგის რეალიზაციისა და დისკრეტიზაციის სამმართლო სს „ქელასის“, შსს „რობას“, შსს „აქსის“, შსს „კომუნყოფისერვისცენტრის“ მმართ ინდივიდუალური საკუთრების მატენტის დაცვისა და მიყენებული ზიანის 90000 ლარის გადახდევინების შესახებ.

სალატამ

გ ა მ ო ა რ კ ე ვ ი ა :

ქობილისის ქარხანა სს „ელექტროავტომატი“ სარჩელი აღძრა ქუთაისის საოლქო სასამართლოში. მოსარჩელე განსარტადა, რომ 1997 წელს შეიბუშა, წარმოებაში დანერგა და სეროულად გამოეშა ელექტროენერგის შეყენან-გამასწორებელი აღმრიცხველი მოწყობილობა, რომელიც გამოიყენებს მოხმარებული ენერგის საყენასურის გადახდევლობასა და დატაცებას. მოწყობილობის წარმოებაზე მიღებული იქნა ზარისხის სერტაფიკატი და 1997 წლის 15 აპრილიდან 8 წლის ვალით გაყებული №322 მატენტი, როგორც ცნობილი გახდა, მოასუხე ორგანიზაციებმა, მოსარჩელესთან ყველგვარი შეთანხმების გარეშე ქ.ქუთაისში დაამონტაჟეს აღნიშნული მოწყობილობის იდენტური მოწყობილობა, რითაც მოსარჩელეს მიყენეს მატერიალური ზიანი, რომელიც შედგენდა 90000 ლარს. სს „ელექტროავტომატი“ თავის სარჩელში მოითხოვდა მიყენებული ზიანის ანაზღაურებას.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო კოლევკამ მხარეთა შირ წარმოდგენილი ურთიერთობიგების აქტის საყუველზე, გამოიტანა 2000 წლის 10 თებერელის განჩინება, რომლითაც დამტკიცებული იქნა მხარეთა მორიგება: ქუთაისის ელექტროენერგის რეალიზაციისა და დისკრეტიზაციის სამმართლო, სს „ქელასი“, შსს „რობას“, შსს „აქსი“ და „კომუნყოფისერვისცენტრი“, აღიარებდნენ მოსარჩელის პირიიტეტულ უფლებას შის შირ გამოყებული და დასატენტებული ელენერგის შეყენან-გამანაწილებელ აღმრიცხველ მოწყობილობაზე და მისეის გარანტია, რომ ქ.ქუთაისში საცხოვრებელი კორპუსებთან აღნიშნული მოწყობილობების მოსალოდნელ ნამოტანასა და მონტაჟეს მოახდენდნენ მხოლოდ დასატენტებული მოწყობილობის შეშეობით. სახელმწიფო ბაგი 2250 ლარის ოდენობით დაცოსრათ მოასუხეებს სოლიდარულად და სამოქალაქო საპროცესო კოლევკის 272-ე მუხლის „დ“ პუნქტის: თანახმად, მხარეთა მორიგების საყუველზე შეწყდა ამ საქმის წარმება.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო კოლეგიის 2000 წლის 10 თებერვლის განჩინებაზე შპს „კომუნყოფსერვისცენტრის“ დირექტორის პირველმა მოადგილემ ტ. ძიგრაშვილმა შეიტანა კრძო საჩივარი. იგი აღნიშნავდა, რომ შპს „კომუნყოფსერვისცენტრის“ მიერ სასამართლო კოლეჯიში წარმოდგენილი იქნა ოფიციალური მომართვა, რომლის საფუძველზე იგი არ ცნობდა სარჩელს, ვინაიდან „საქტერგის“ რეალიზაციისა და დისკრეტიზაციის ქუთაისის რეგიონალური სამმართველოს დაცემით შპს „კომუნყოფსერვისცენტრმა“, როგორც შემსრულებელმა, ძიოლი ზუსოაღნიშნული მოწყობილობისა და შესასრულებელ სამუშაოთა ნახაზები. ამდენად, კატენტიმულიტობლითან ანგარიშსწორებაზე ტექნიკურ და ეკონომიკურ შედეგებზე მახუხისმგებელია დამკვეთი და არა შემსრულებელი შპს „კომუნყოფსერვისცენტრი“.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტების საქითა პალატის 2000 წლის 21 აგვისტოს განჩინებით უმობრაოდ იქნა დატორტული ტ.ძიგრაშვილის კრძო საჩივარი. ვინაიდან კრძო საჩივარი შემობტანილია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით, პალატამ დაავალა საჩივრის შემობტან პირს 2000 წლის 18 სექტემბრის რათელით წარმოედგინა დაზუსტებული კრძო საჩივარი და მინდობილობა, რომელიც დადასტურებდა წარმომადგენლის უფლებამოსილებას კრძო საჩივრის შეტანაზე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კრძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოში წარმობებს შესაბამისად ამ სასამართლისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 396-ე მუხლის შესამე ნაწილით სასამართლო ავალებს საჩივრის შემბტან პირს შეავსოს ზარკეზი, რისთვისაც უნიშნავს მას ეადას. თუ ამ ეადამი ზარკეზი არ იქნება შეესებული, საკასაციო საჩივარი არ დაიშვება. ვინაიდან აღნიშნულ ეადამი შპს „კომუნყოფსერვისცენტრის“ დირექტორის პირველი მოადგილის ტ.ძიგრაშვილის მიერ არ იქნა შეესებული ზარკეზი, კრძო საჩივარი არ დაიშვება და უნდა დარჩეს განუხილველად.

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე, 396-ე, 401-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

შპს „კომუნყოფსერვისცენტრის“ დირექტორის პირველი მოადგილის ტ.ძიგრაშვილის კრძო საჩივარი ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქითა კოლეგიის 2000 წლის 10 თებერვლის განჩინებაზე დატორტულ იქნეს განუხილველად. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.



გ ა ლ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა
საქართველოს სახელით

№3/216

22 სექტემბერი, 2003წ., ქობულთა

ე.ე.საბურთალოს რაიონული სასამართლო

შემადგენლობა: მოსამართლე ნ.ზვიადაძე

სხდომის მდივანი: ი.პესია

მოსარჩელე: სს „ლალიის“ წარმომადგენელი ე.ე.ევახიშვილი

მომასწავლებელი: საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი გ.კვიციანი.

დავის საგანი: პატენტის ლაივად ცნობა.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი :

სს „ლალი“მ სასარჩელო განცხადებით საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის მიმართ პატენტის ლაივად ცნობის შესახებ მომართა ე.ე.საბურთალოს რაიონულ სასამართლოს და წარმომადგენელმა ე.ე.ევახიშვილმა განმარტა, რომ 2001წ. 17 დეკემბერს მოსარჩელემ „საქპატენტში“ შეიტანა განცხადება მოცულობითი სასაქონლო ნიშნის (ბოთლის) რეგისტრაციაში გატარების შესახებ.

2002წ. 5 სექტემბერს „საქპატენტმა“ სახელმწიფო ექსპერტიზის გადაწყვეტილებით საუბედოდ უარი უთხრა სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე იმ მოტივით, რომ სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი მოცულობითი ნიშანი იდენტურია შპს „ლალი“-ს კუთვნილი ნიშანსა, რომელზეც გაკეწულია პატენტი №132. ბოთლი, რომლის სასაქონლო ნიშნით რეგისტრაციაზე უარი უთხრა, სს „ლალიის“ მიერ შეუმუშავებელი იქნა ჯერ კიდევ 1996 წელს და რადგან იმ დროისთვის არ არსებობდა „საქპატენტი“ ბოთლი სასაქონლო ნიშნით რეგისტრირებული იქნა ფირმა „ეკარკში“, რომელიც წარმოადგენდა კერძო სამართლის იურიდიულ პირს და თავისი წესდების თანახმად ახორციელებდა „საქპატენტის“ მსგავს საქმიანობას, იმ განხილვაში, რომ იბოქტურად არსებული საავტორო, სამრეწველო ან სასაქონლო ნიშანი მხოლოდ რეგისტრირებულა მომასწავლებელს სასაქონლო კანონის მე-12 და მე-14 მუხლების მოთხოვნებიდან გამომდინარე არ ქონდა უფლება გაეცა პატენტი შპს „ლალი“-ს მიმართ. მოსარჩელე მოითხოვს ბათილად იქნეს ცნობილი ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ მიერ შპს „ლალი“-ს მიმართ 2002 წელს გაკეწული №132 პატენტი, თანხმად ზოგადი აღმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და საქართველოს „საქპატენტო კანონის“ 57-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნებიდან გამომდინარე.

მოსარჩელე სასარჩელო მოთხოვნას ასახულებს დამუკავშირების ნაშრომით „ინტელექტუალური საკუთრების სამართლის“ შესახებ, სადაც მოუთითებს (გვ.129 2000წ. გამოშვება) პაროზის კონვენციის მე-6 მუხლი ავალს მონაწილე ქვეყნებს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნების დაცვას, რომ თუ მოხდება ცნობილი ნიშნის მსგავსი ან იდენტური ნიშნის რეგისტრაცია ან გამოყენება, მაშინ ცხადი იქნება არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტი. მაგალითად, „ლალიის“ წყლების აღმნიშვნელი ნიშანი სხვამ, რომ გამოიყენოს უდავო იქნება ზიანი როგორც შესაკუთრისათვის ასევე

საზოგადოებისათვის.

მაოსუხე საქ. ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქსატენტის“ წარმომადგენელმა გვიმსაუბრა სარჩელი არ ცნო და გამარტა, რომ შპს „ლალი“-ს მიერ 2001 წლის 20 სექტემბერს „საქსატენტში“ წარდგინოლ იქნა განაცხადი სამრეწველო ნიშნულად ბოთლის რეგისტრაციის თაობაზე. საქართველოს „საატენტო კანონის“ მე-14 და არა როგორც მოსარჩელე მართობის, მე-12 მუხლის მიხედვით, სამრეწველო ნიშნის სიახლის დადგენა ხდება „საქსატენტში“ შეტანილი უფრო აღინდელი პრიორიტეტის მქონე განაცხადებთან შედარების გზით. „საქსატენტმა“ კანონის ზემოხსენებული მოთხოვნების შესაბამისად, შეადარა წარდგინოლ ბოთლი „საქსატენტში“ შეტანილ უფრო აღინდელი პრიორიტეტის მქონე განაცხადებს და, ვინაიდან მათ შორის არ აღმოჩნდა მსგავსი ნაყოფა, საქართველოს „საატენტო კანონის“ 39-ე მუხლის შესაბამისად მიიღო გადაწყვეტილება ატენტის გატებაზე. 41-ე მუხლის შესაბამისად 2002 წლის 10 იანვარს მოახდინა სამრეწველო ნიშნის რეგისტრაცია სამრეწველო საკუთრების რეესტრში და შპს „ლალი“-ს სახელზე გასცა ატენტი №14/132.

2001 წლის 17 დეკემბერს სს „ლალი“-მ „საქსატენტში“ შემოიტანა განაცხადი სასაქონლო ნიშნად ბოთლის რეგისტრაციის მოთხოვნით. „საქსატენტის“ ექსპერტიზამ განიხილა განაცხადი და „სასაქონლო ნიშნის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, 2002 წლის 5 სექტემბრის №1068 გადაწყვეტილებით უარი უთხრა მას რეგისტრაციაზე ვინაიდან, იგი იმ დროისთვის საქართველოში სხვის კერძოდ შპს „ლალი“-ს კუთვნილი დაკული სამრეწველო ნიშნის იდენტური იყო, რაც ზემოხსენებული ნიშნის თანახმად სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს. ამდენად, „საქსატენტის“ გადაწყვეტილება რომლის გაუქმებასაც მოსარჩელე ითხოვს „საქსატენტის“ კანონის სრული დაკეთი აქვს მოღებული, ამდენად, არარსებობს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლით გათვალისწინებული მისი გაუქმების საფუძველი.

რაც შეეხება ატენტის №14/132 გაუქმების მოთხოვნას იმ საფუძველით, რომ სამრეწველო ნიშნი არ აკმაყოფილებს სიახლის კრიტერიუმებს, თუ სასამართლო დაადგენს, რომ ბოთლს არ გააჩნდა საქართველოს „საატენტო კანონით“ მოთხოვნილი სიახლე, შესაძლებელი იქნება ატენტის გაუქმება სამრეწველო ნიშნის არაპატენტებარანობის საფუძველით.

შესაბამისად შპს „ლალი“ სასამართლო სხდომაზე ხელშეორედ არასასატიო მიზეზით არ გამოკხადდა და სასამართლომ საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის 26-ე მუხლის მეორე პუნქტის მოთხოვნებიდან გამომდინარე საქმე განიხილა მის დაუსწრებლად.

ს ა მ ო ტ ი ე ა კ ო ი ნ ა წ ი ლ ი :

მხარეთა ახსნა-განმარტებების მოხმების და საქმეში არსებული მასალების შეუყავისას სასამართლო თვლის, რომ სარჩელი საფუძველიანა და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო: ბოთლი, რომლის სასაქონლო ნიშნით რეგისტრაციაზე „საქსატენტმა“ უარი უთხრა მოსარჩელეს, წარმოადგენს სს „ლალი“-ს გამოკონებას. საქართველოს „საატენტო კანონის“ მე-18 მუხლის 1 პუნქტის თანახმად გამოკონების, სასაქონლო მოდელის, სამრეწველო ნიშნის ავტორად მიჩნევა ფიზიკური პირი, რომლის ინტელექტუალური და ნიშნულადებობის შრომის შედეგად შექმნა გამოკონება, სასაქონლო მოდელი ან სამრეწველო ნიშნი. ბოთლის მოდელი შემუშავებული იქნა სს „ლალი“-ს მიერ 1996 წელს უფრო დიდი მოცულობით, ხოლო შპს „ლალი“-მ მოახდინა ბოთლის მოცულობის შემცირება თუმცა ორივეს მოდელი ერთმანეთის იდენტურია, რაც დასტურდება მოწებების დათო და ხაზუნა კონკრეტული ახსნა-განმარტებებით. სს „ლალი“-ს მიერ ბოთლის მოდელი შექმნა ლაღის წყლების რეალუზებისათვის, რათა მომხმარებელს შესაძლებლობა ჰქონოდა განსხვავებინა ის, სხვა მსგავსი წყლების მწარმოებლებსაგან. საქართველოს „საატენტო კანონით“ დაკულია საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშანი. სს „ლალი“-მ არის საყოველთაოდ ცნობილი საზოგადოება, რომელსაც გააჩნია საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშანი და იგი დაკ-

ული უნდა იქნეს რეგისტრაციის გარეშე და თუ მის სასაქონლო ჩიშანს გამოიყენებს სხვა პირი მის ინტერესებს შესაძლებელია ზიანი. საქართველოს „საპატენტო კანონის“ 57-ე მუხლის 1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად პატენტი უნდა გაუქმდეს თუ დადგინდება, რომ პატენტის საგანი არ არის პატენტუნარიანი.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

ზ/აღნიშნულიდან გამოშინარე სასამართლომ იხელმძღვანელა რა სსკ-ს მე-8, 243-ე, 244-ე, 248-ე, 249-ე, 258-ე, 369-ე მუხლებით, აღმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1, მე-2, მე-12, 22-ე მუხლებით

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდეს და ბათილად იქნეს ცნობილი ინტელექტუალური სკუორების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ მიერ შპს „ლალი“-ს მიმართ 2002 წელს გაყებული პატენტი N/დ/132.
2. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო წესით ქობილისის საოლქო სასამართლოში, გადაწყვეტილების ასლის მხარეთათვის გადაცემის მომენტიდან ერთი თვის ვადაში თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მეშვეობით.

**გამომგონებაზე პატენტის გათქმა და გასტან დააქვერგებული
პროცედურების განხორციელება**



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელთ

№02ა/119-00

14 ნოემბერი, 2000წ., ქათილისი

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიამ
შემდეგი შესადგენლობით: **მ. ღობაძე (თავმჯდომარე),**
მ. ჯიყაშვილი,
გ. გულეანი

საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა გამოპონებულ ზურაბ გალაქტიონის ძე
ბაბუნაშვილის სარჩელი მოასსუხე საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს მიმართ ოჯრდ-
ოული მნიშვნელობის მქონე საქართველოს პატენტებისა და საპატენტო სოგულების ფაქტე-
ბის დადგენის შესახებ. სასამართლო კოლეგიამ

გ ა მ ო ა რ კ ე ბ ა :

ზურაბ ბაბუნაშვილის სარჩელი განსახილველად შემოვიდა თბილისის საოლქო სასამარ-
თლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიამ; სასამართლო კოლეგიას მიაჩნია
რომ მოცემული სარჩელი განეკუთვნება საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და ზგა-
დასახლო საქმეთა კოლეგიის განსჯად დაეთა კატეგორიას შემდეგ გარემოებათა გათვალის-
წინებით:

მოსარჩელე ზაბუნაშვილი სარჩელში სადავოდ ხდის რიგი საპატენტო სოგულებისა და
პატენტების კანონიერებას და ითხოვს მოასსუხე მხარეს, საქართველოს ეკონომიკის სამინ-
ისტროს დაევალოს მისთვის კანონის შესაბამისად შედგენილი საპატენტო სოგულების გაცემა.
სარჩელის მიხედვით მოასსუხედ მიწნეული საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო,
აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმანობის წესის შესახებ საქართველოს
კანონის მე-4 მუხლის თანახმად, საშთაგრობო დაწესებულება, ზოლო ადმინისტრაციულ საპრო-
ცესო კოდექსის მე-6 მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად საქართველოს საშთაგრობო დაწესე-
ბულების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების თარაზე სარჩელებს განიხ-
ილავს საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული და საგადასახლო საქმეთა კოლეგია.

ამდენად, სასამართლო კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემული სარჩელი ადმინისტრაციული
საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად განსახილველად უნდა გადაეცეს
თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და საგადასახლო საქმეთა კოლეგიას.

სასამართლო კოლეგიამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-285,
მუხლებით ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 26 მუხლის მე-2 პუნქტით და მე-6
მუხლის „ბ“ პუნქტით

ღ ა ა დ გ ე ბ ა :

ზურაბ ბაბუნაშვილის სარჩელი საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს მიმართ განსახ-
ილველად გადაეცეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და საგადასახლო

საქმთა კოლეგია.

განჩინების ასლი გადაეგზავნოს მოსარჩელეს.

გაინიშნება არ ეასაჩივრდება.



გ ა დ ა ნ ი შ ე ე ტ ი ლ ე ბ ა
საქართველოს სახელით

№3/12

21 თებერვალი, 2001 წ., ქობულხი

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმთა კოლეგიაში

შემდეგი შემადგენლობით: ი. ლევაშვილი (თავმჯდომარე),
მ. გლოველი,
ტ. შამაშიძე

ვახტანგ ცუცხლაძის მდივნობით

მოსარჩელე: ზურაბ ბაბუნაშვილი

მოასსუხე: საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს წარმომადგენლის - ზ. ნიხრაძის

შესამე პირის: საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ წარმომადგენლის - ზ. ნუგაიძის მონაწილეობით

განიხილა მოსარჩელე ზურაბ ბაბუნაშვილის სასარჩელო მასალები საქართველოს ეკონომიკის მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს მიმართ. სასამართლომ

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა ა :

მოსარჩელე ზურაბ ბაბუნაშვილმა სარჩელით მიმართა სასამართლოს, საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს მიმართ და მოითხოვა ბათილად იქნეს ცნობილი „საქპატენტის“ მიერ გაკერული საპატენტო სიგელები №2 (1479047), №3 (749379), №4 (1200894), №116 (1556623), №304 (1965859), №325 (1692306), №626 (1403792), №607 (1251848), №605 (688154), №488 (771282), №489 (717250), №606 (1237151) და დაეულოს მოასსუხეს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 16 მარტის №302 დადგენილების მე-7 მუხლისა და დადგენილებით მოღებული დებულების „გამოგონების შესახებ“ საუბრეულზე გამოსცეს განმცხადებლის №000055, №000056, №000085, №000093, №000849, №000851, №000862, №000863, №000892, №000928, №000929, №000864 განცხადებაზე ახალი ადმინისტრაციული აქტები საქართველოს პატენტების სახით.

2. დაეულოს მოასსუხეს საპატენტო სიგელის გამოგონებაზე „აგურა ჩაის მიღების ხაზი ზურაბ ბაბუნაშვილი“ ახალ გამოგონებაზე პატენტის აღწერალობისა და ახალი პატენტის შეესება და გაცემა.

3. გაუქმდეს №პ2002 პატენტი და დაეულოს მოასსუხეს განაცხადზე №A1998 №0003093 გასცეს საპატენტო სიგელი გამოგონებაზე. გაუქმდეს 10.02.1998 წლის №A1998 №0003093 განაცხადზე შეესებული გამოგონებაზე პატენტის აღწერალობა და დაეულოს მოასსუხეს, რომ გასცეს სწორად შეესებული ახალი აღწერალობა ჩაკრული ზემოთაღნიშნული საპატენტო სიგელის გამოგონებაზე ყდამი ისე, რომ ორივეს ერთად

გაანრღეს იურიდიული ძალა.

მოსარჩელე თავის მოთხოვნას ასახულებს შემდეგი გარემოებით. ყოფილი სსპკოთა კავშირის მიერ გაცემულ პატენტებზე, საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტროსა და მის შემადგენლობაში შემავალ საქართველოს რესპუბლიკის საპატენტო სამსახურს „საქპატენტის“ უნდა გაეცაო საქართველოს რესპუბლიკის პატენტები, ეკატერინოპოლის სახელმწიფო საპატენტო რეესტრში, რომელითაც მოსარჩელის განსაკუთრებული უფლება დატული იქნებოდა პატენტების დატულ გამოგონებაზე, პრიორიტეტის თარიღიდან 20 წლის მანძილზე.

მოსარჩელეს მიანია, რომ აღნიშნული საპატენტო სიგელები მას ანიჭებს სსრკ-ის პატენტების გამოგონებაზე მხოლოდ საავტორო უფლებას, რომელიც უფრო ადრე 1977-84 წლებში სსრკ-ის საპატენტო სამსახურში ვასცა საავტორო მოწმობების სახით. „საქპატენტის“ მიერ გაცემული საპატენტო სიგელებით მას არ შეუძლია დაიცვას აღნიშნულ გამოგონებებზე ჭინჭრივი უფლებები, აღძრას სარჩელები კონტრაფაქტორების მიართ. რომლებიც დაამხადებენ ან გამოიყენებენ აღნიშნული საპატენტო სიგელებით დატულ გამოგონებებს. აგრეთვე მოუთითებს, რომ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 532-ე მუხლის საფუძველზე საპატენტო სიგელებით დატულ გამოგონებებზე განსაკუთრებული უფლება ეკუთვნის სახელმწიფოს, ვინაიდან აღნიშნული მუხლი ადგენს: გამოგონების ავტორის თავისი არჩევანის მიხედვით შეუძლია მოითხოვოს თავისი ავტორობის აღძრება სახელმწიფო-ოპოზიის გამოგონებაზე განსაკუთრებული უფლების გადაცემით ან თავისი ავტორობის აღძრება გამოგონებაზე მისთვის განსაკუთრებული უფლების მიკეთვებით.

მოსარჩელეს მიანია, რომ „საქპატენტის“ მიერ გაცემული საპატენტო სიგელებით დატულ გამოგონებებზე არა აქვს მინიჭებული განსაკუთრებული იურიდიული უფლება და ისინი არ წარმოადგენს საავტორო უფლების დამადასტურებელ იურიდიულ დოკუმენტსაც. ვინაიდან საპატენტო სიგელის ფორმა არაა დამტკიცებული საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტროს კოლეგიის მიერ, მასზე არაა მიცემული სახელმწიფო სიმბოლიკა - ღერბი, რაც სახელმწიფოს სახელით გაცემული იურიდიული დოკუმენტაციითათვის აუცილებელია, მათზე არ არის დასაბუთებული სახელმწიფოს სახელით მოქმედი სამინისტრო, რომელიც დებულების „გამოგონების შესახებ“ უნდა იყოს საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტრო, ვინაიდან დებულებას 1994 წლის 25 მაისამდე ცვლილება არ განუცდია და ძალაში იყო. ასევე, უნდა იყოს აღნიშნული განაცხადის ნომერი, ბიულეტენში გამოქვეყნების თარიღი და ნომერი, მეცნიერებისა და ტექნიკის მინისტრის ხელწერა და რაც მთავარია საპატენტო სიგელზე არაა დასმული ბეჭედი, რომლის ფუნქციასაც ასრულებს ბეჭედისაგან დასხვადი დასეხვებული ჯალაღი. გადაღებული ფერად ქსეროქსზე, რომელზედაც გაკეთებულია წარწერა „საქართველოს საპატენტო უწყება“. „საქპატენტი“, რომელიც არ გამოდინარეობს დებულების „გამოგონების შესახებ“ მე-20 მუხლიდან. მოსარჩელეს მიანია, რომ საპატენტო სიგელები შეესებულები იყო დებულების მოთხოვნათა უხეში დარღვევით, რის გამოც ისინი ბათილად უნდა იქნეს ცნობილი და დაეცაოს საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს ვასცეს ახალი აღმინისტრაციული აქტები, საქართველოს პატენტების სახით.

მოპასუხე, საქართველოს ეკონომიკის მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრომ თავისი შესაგებელით განმარტა, რომ იგი არასათანადო მოპასუხეა, ვინაიდან „საქპატენტო“ რომელიც ადრე სამინისტროს დაქვემდებარებაში შედიოდა დღეისათვის წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს სასამართლო პროცესში და გამოვიდეს როგორც მოპასუხე, ამიტომ უნდა შეიცვალოს სათანადო მოპასუხე.

სასამართლო კოლეგიამ საქართველოს სამოქალაქო სასოცესო კოდექსის 85-ე მუხლის შესაბამისად შესთავაზა მოსარჩელე ზურაბ ბაბუნაშვილს თავდამირველი მოპასუხე შეცვალა სათანადო მოპასუხით - „საქპატენტით“. მოსარჩელემ უარი განაცხადა მოპასუხის შეცვლაზე. სასამართლოს კოლეგიას მიანია, რომ სარჩელი აღძრულია არასათანადო მოპასუხის

მიმართ შემდეგ გარემოებათა გამო:

მოსარჩელე თხოვეს სასაქონლო სივრცის ბათილად ცნობას და ახალი აღმინისტრაციული აქტის - საქონლის გაცემის საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ექსპორტის სამინისტროსაგან, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 16 მარტის №302 დადგენილების „გამოკონტროლების შესახებ“ დებულების დამტკიცებისა და სამოქმედო შემოღების თაობაზე“ და „გამოკონტროლების შესახებ“ დებულების საფუძველზე, რომლის მე-20-21 მუხლების თანახმად „რესპუბლიკაში სასაქონლო საქმიანობას ხელშეწყობის საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა და ტექნიკის სამინისტრო, რომლის შემადგენლობაში საქართველოს რესპუბლიკის სასაქონლო სამსახური („სასაქონლო“).

„საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტრო და მის შემადგენლობაში არსებული „სასაქონლო“ სამსახური შეიქმნა და ატარებენ სასაქონლო საქმიანობის ერთიან სასაქონლო პოლიტიკას“.

მოსარჩელე მიუთითებს, რომ ვინაიდან „სასაქონლო“ წარმოადგენს ეკონომიკის, მრეწველობისა და ექსპორტის სამინისტროში შესვალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, მის მიერ გაცემული დამკვეთი დოკუმენტები არ წარმოადგენენ სახელმწიფოს სახელით გაცემულ დამკვეთ დოკუმენტებს და ასეთი დოკუმენტების გაცემის ვალდებულება სახელმწიფოს სახელით ეკისრება სამინისტროს.

საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ექსპორტის სამინისტროს დებულებისა და „სასაქონლო“ დებულების გაცნობის შედეგად აღინიშნება, რომ „სასაქონლო“ უფლებამოსილია საქართველოს სახელით ინტელექტუალური საკუთრების სფეროში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე საქართველოს სახელით გასცეს დამკვეთი დოკუმენტები ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე „სასაქონლო“ უფლებამოსილია ინტელექტუალური საკუთრების სფეროში, დადგინდეს ვერ კიდევ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 16 მარტის №302 დადგენილება 22-ე, 56-ე და 57-ე მუხლებით.

მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტრო, ხოლო შემდგომ ეკონომიკის სამინისტრო ახორციელებდა კონტროლს „სასაქონლო“ საქმიანობაზე.

შემდგომში, საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს კოლეგიის 1996 წლის 23 სექტემბრის №35 ოქმით დამტკიცდა „საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტის დებულება“ და განისაზღვრა დეპარტამენტის დაქვემდებარებული ორგანიზაციები - მათ შორის საქართველოს რესპუბლიკის სასაქონლო სამსახური „სასაქონლო“.

საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 28 ივნისის №392 ბრძანებულებით დამტკიცდა საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „სასაქონლო“ დებულება, რომლის პირველი თავის პირველი მუხლით განისაზღვრა, რომ „საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „სასაქონლო“ არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებების სამართლებრივ უზრუნველყოფას ინტელექტუალური საკუთრების სფეროში.

დებულების მე-4 თავის პირველი მუხლის შესაბამისად „სასაქონლო“ უფლებამოსილია საქართველოს სახელმწიფოს სახელით გასცეს დამკვეთი დოკუმენტები ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე.

საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 26 ივნისის №272 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ექსპორტის სამინისტროს დებულების მე-9 თავის შესაბამისად სამინისტროს შემადგენლობაში შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „სასაქონლო“, რომლის საქმიანობაზე კონტროლს ახორციელებს სამინისტრო.

საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 23 დეკემბრის განკარგულებით ცვლილებით შეიქმნა საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 28 ივნისის №392 ბრძანებულებით დამტკიცებულ „სასაქონლო“ დებულებაში, რომლის თანახმადაც იგი წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომლის საქმიანობაზე კონტროლს ახორციელებს სახ-

ულწიფო მინისტრი.

საქართველოს სასატანტო კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად „საქსატრეტი“ არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში სამართლებრივად უზრუნველყოფს ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებებს. კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად „საქსატრეტის“ ფუნქციები და უფლებამოსილებანი განისაზღვრება დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

აღნიშნული კანონქველდებარე აქტებით და საქართველოს სასატანტო კანონით განსაზღვრულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „საქსატრეტის“ უფლებამოსილებანი ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში.

სასამართლო კოლეგიას მიანია, რომ მოსარჩელემ თავისი მოთხოვნები არასათანადო მოასხუხის მომართ წამოაყენა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის მე-2 წინადადების შესაბამისად „თუ მოსარჩელე არ არის თანახმა თავდაპირველი მოასხუხის სათანადო მოასხუხით შეკვლაზე, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით უარს ეტყვის მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე“.

სასამართლო კოლეგიამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, მე-6, 22-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე, 243-ე, 248-ე, 249-ე, 395-ე და 397-ე მუხლებით

გ ა დ ა წ ყ ე ბ ი ტ ა :

1. მოსარჩელე – ზურაბ ბაბუნაშვილის სარჩელი საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს მხარით არ დაკმაყოფილდა;
2. მოსარჩელეს გადახდეს სახელმწიფო ბაგი 420 ლარის ოდენობით. სახელმწიფო ბაგი ჩაირიცხოს საქართველოს ეროვნულ ბანკში კოდი 220101107 ანგარიშში №000141107 საერთო სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტი;
3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით საქართველოს უზენაესი სასამართლოს (ქობილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32), ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატაში. თბილისის საოლქო სასამართლოში საკასაციო საჩივრის შეტანით, მხარეთათვის გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.



გ ა დ ა წ ყ ე ვ ე ტ ი ლ ე ბ ა
საქართველოს სახელით

№ 33/აღ-55-კ-01

27 ივლისი, 2001 წ. ქობილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემაღდგენლობა: ბადრი მეტრეველი (თავმჯდომარე),
ნანა კლარჯიანი (მომხსენებელი),
ბესიკ კობერიძე

სხდომის მდივანი: თ. შუშიაშვილი

კასატორი: ზურაბ ბაბუნაშვილი (მოსარჩელე)

მოწინააღმდეგე მხარე (მოასხუხე): საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო, წარმომადგენელი – სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის

მთავარი სპეციალისტი ზ. ჩიხრაძე

შესაშუ პირი: საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქ-
პატენტი“, წარმომადგენელი - ზ. ნუჯარიძე

გასამიჯნობელი გადაწყვეტილება: თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული
სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2001 წლის 21 თებერვლის
გადაწყვეტილება

დავის საგანი: 1. საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს
სათანადო მოპასუხეობა; 2. სახელმწიფო ბათის 420 ლარის კასატორისათვის დაკისრების
კანონიერება.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი :

გამომგონებელმა ზ. ბაბუნაშვილმა 2000 წლის 2 ოქტომბერს სარჩულით მიმართა ქუ-
თაისის საოლქო სასამართლოს, საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსა და საქართველოს
ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ წინააღმდეგ ორიდი-
ნული მნიშვნელობის მქონე საქართველოს პატენტებისა და საპატენტო სიგელების ფაქტების
დადგენის შესახებ, რაც საქართველოს სამრეწველო საპროექტო კოდექსის მე-16 მუხლის
შესაბამისად არ იქნა მიღებული წარმოებაში ქ. ქუთაისის საოლქო სასამართლოს მიერ და
მოსარჩელეს განმარტა მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით სარჩელის აღძვრის წესი,
რის შედეგადაც გამოგონებელმა ზ. ბაბუნაშვილმა სარჩელი აღძრა თბილისის საოლქო
სასამართლოში მოპასუხე საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს მიმართ შეზღვევი
მოთხოვნით:

1. გამოგონებაზე „საქპატენტის“ მიერ გაცემული №2 (1479047), №3 (749379), №4
(1200894), №116 (1556623), №304 (965859), №325 (1692306), №626 (1403792), №607
(1251848), №605 (688154), №488 (771282), №489 (717250), №606 (1237151) საპატენ-
ტო სიგელების ბათილად ცნობა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60
მუხლის საფუძველზე, როგორც „გამოგონების შესახებ“ დებულების მოთხოვნათა უხეში
დარღვევითა და არაუღებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულისა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის, საქართველოს
რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 16 მარტის №302 დადგენილების მე-3
მუხლის, ამ დადგენილებით მიღებული „გამოგონების შესახებ“ დებულების მოთხოვნათა
დაკითი მოსარჩელე მოთხოვნა მოპასუხე - საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს დაე-
ვალის №000055, №000056, №000085, №000093, №0000849, №0000851, №0000842,
№0000863, №0000892, №0000928, №0000929 და №0000864 განაცხადებზე ახალი ადმინი-
სტრაციული აქტების - საქართველოს პატენტების გამოცემა.

2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე და 61-ე მუხლებისა და
„გამოგონების შესახებ“ დებულების შესაბამისად „აგურა ჩაის მიღების ხაზი-ზურბა
ბაბუნაშვილი“, ახალ გამოგონებაზე პატენტის აღწერილობისა და ახალი პატენტის შეესება-
გაქმის მოპასუხისათვის დაკისრება.

3. „ჩაის სახმობ-დამზარისებელი მანქანა - ზ. ბაბუნაშვილი“ გამოგონების განაცხადზე
არაუღებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული და სახელმწიფო საპატენტო რეესტრში
გაუტარებელი 2002 პატენტის გაუქმება და №A 1998 003093 განაცხადზე სახელმწიფოს
სახელთ გამოგონებაზე საპატენტო სიგელის გამოცემის მოპასუხე მზარისათვის დაეალდე-
ბულება, აგრეთვე ამ გამოგონებაზე „საქართველოს საპატენტო კანონის“ 76-ე მუხლის
შესაბამისად შეესებული ახალ აღწერილობის გაცემა.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამრეწველო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2000
წლის 14 ნოემბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროექტო კოდექსის მე-
6 მუხლის „ბ“ პუნქტისა და 26-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, ზ. ბაბუნაშვილის
რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებას სააპელაციო წესით გაასაჩივრა ზურაბ ბაბუნაშვილმა და მოითხოვა მისი გაუქმება და მოასახურებოდა 1996 წლის 12 იანვარს შეტანილი №002236 განაცხადებზე „აგურა ჩაის მიღების ხაზი ზურაბ ბაბუნაშვილი“ 1998 წლის 13 ნოემბრამდე პატენტის გაუცუქმლობისათვის მიყენებული მატერიალური ზიანის 10 000 ღირსის გადახდის დაკისრება. ასევე მოითხოვა მოასახურებოდა მხარის მიერ, „აგურა ჩაის მიღების ხაზი ზურაბ ბაბუნაშვილი-ს“ გამოგონებაზე გაუცუქმი №1505 სასატენტო სოვლის

ორიგული ძალის მქონე დოკუმენტად აღიარებს. საოლქო სასამართლოში ზ. ბაბუნაშვილმა უარი თქვა ხასკელაციო ხარისხის მოთხოვნაზე დოკუმენტის ნამდვილობის აღიარების ნაცდობში.

თბილისის საოლქო სასამართლოს აღმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სასჯელაციო ძალადგის 2003 წლის 29 მაისის განჩინებით ზურაბ ბაბუნაშვილის ხასკელაციო ხარისხები არ დაკმაყოფილდა. უკლებლად დარჩა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2001 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებები №2/225-01 და №2/226-01 საქმეზე.

სასამართლომ გადაწყვეტილების საფუძველად მოუთხოვა შემდეგ გარემოებებზე:

სასამართლომ არ გაიზარა სარჩელში მოთხოვნილ 12 გამოგონებაზე მოპასუხის მიერ ყალბი ხასკეტენტო სიგელის გაცემის გამო მიყენებული 10000 ლარი მატერიალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე აქლანტის მოთხოვნა იმ საფუძველზე, რომ არსებობდა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 1999 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილება, რომლითაც ზ. ბაბუნაშვილის აღნიშნული მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილება ძალაში იქნა აღტოვებული თბილისის საქალაქო სასამართლოს 1999 წლის 5 მარტის №154 განჩინებით. ამდენად, სასამართლოს განმარტებით, აქლანტის ამ მოთხოვნასთან დაკავშირებით არსებობდა კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც გაუქმებული არ ყოფილა, ხოლო დევა იმავე საგანზე იმავე მხარეებს შორის იმავე საფუძველზე არ დაიშვებოდა.

სასამართლომ დადგინდად მიიჩნია ის ფაქტი, რომ მოპასუხის მიერ 1992-1996 წლებში მიღებული, საქართველოს სამრეწველო საერთაშორისო 1998 წლის №1 ოფიციალური ბოლდენტში 12-27-ე ნომრით შეტანილი 16 ნორმატიული აქტისა და 1997 წლის 14 მაისის №8 და 1997 წლის 8 აგვისტოს №13 ბრძანებების ბაზაზე ცნობის შესახებ აქლანტის მოთხოვნა იყო ხანდაზმული, ვინაიდან სარჩელის აღიარების დროისათვის (1998 წლის 13 ნოემბერს) მოქმედ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 361-ე მუხლის მიხედვით, სარჩელი სადავო აქტის ბაზაზე ცნობის მოთხოვნით სასამართლოში შეიტანებოდა ერთი თვის ვადაში. მოქმედ აღმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის შესაბამისად, სარჩელი ნორმატიული აქტის ბაზაზე ცნობის მოთხოვნით სასამართლოს უნდა წარედგინოს უშუალოდ ზიანის მიყენებოდან 3 თვის ვადაში. სადავო აქტები კი, აქლანტის განმარტებით, მიღებისთანავე ლახავდნენ მის ინტერესებს და უშუალოდ აყენებდნენ ზიანს. აღნიშნულიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ სარჩელი აღიძრა მხოლოდ 1998 წლის 13 ნოემბერს, სასამართლოს განმარტებით, აქლანტმა გაუშვა 1992-1997 წლებში გამოცემული სადავო ნორმატიული აქტების გასაჩივრებისთვის სასამართლოში მომართვის ვადა.

სასამართლომ გაიზარა რაიონული სასამართლოს მსჯელობა იმის თაობაზეც, რომ გამოგონებაზე „აგურა ჩაის მიღების საზი ზურაბ ბაბუნაშვილი“ გაცემული №1505 საპატენტო სიგელი არ იყო ყალბი დოკუმენტი, რადგან ამავე მხარეებს შორის არსებულ დეკლარაციასთან დაკავშირებით კანონიერ ძალაში შესული თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 1999 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილებით დადგინდად იყო მიჩნეული, რომ „საპატენტის“ მიერ გაცემული საპატენტო სიგელები არ წარმოადგენდნენ ყალბ დოკუმენტებს.

სასამართლომ ასევე უსაფუძველად მიიჩნია აქლანტის მოთხოვნა 1996 წლის 12 იანვრის შეტანილ განაცხადზე „აგურა ჩაის მიღების საზი ზურაბ ბაბუნაშვილი“ საპატენტო სიგელის 1998 წლის 13 ნოემბრამდე გაუცემლობისათვის მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ, ვინაიდან სასამართლოს განმარტებით, პატენტის გაცემის დაგეგმვა გამოწვეული იყო გამოგონების ფორმულის და აღწერილობის დაზუსტებისა და გამოკვლევის საფასურის გადაუხდელობით, რამაც საპატენტის უწყებას ბრალი არ მიუძღოდა.

საოლქო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრა ზურაბ ბაბუნაშვილმა და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება, რომლითაც დაკმაყოფილდებოდა მისი მოთხოვნები: მოპასუხისთვის მის მიერ „საპატენტის“

კანცლარიაში 1992-1994 წლებში შეტანილ განცხადებაზე სსრკ-ის მიერ 1983-1989 წლებში გაცემული საავტორო მოწმობებისა და 1991 წლებში გაცემული სსრკ-ის პატენტების სანაცვლოდ საქართველოს რესპუბლიკის პატენტების გაუქმლობისათვის 15 000 ლარის გადახდის დაკისრება, ასევე საქართველოს საპატენტო უწყება „საქპატენტის“ ტიტულით 1992-1998 წლებში გამოცემული ფიქტიური და სამოქმედო შემოღებული საფასურის შესახებ ნორმატიული აქტებისა და ბრძანებების ბათილად ცნობა და მოასუსებისათვის 10 000 ლარის გადახდის დაკისრება.

კასაციური საკასაციო საჩივრებში მიუთითებს, რომ რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და განჩინება გამოტანილია არასათანადო მოქმედებით, საქართველოს ინდივიდუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ მიმართ, რომელსაც საპატენტო სიგელისა და პატენტის გაცემის უფლება არ ჰქონდა. გადაწყვეტილებაში დიფიქსირებული ნორმატიული აქტები და 1997 წლის 14 მაისის და 8 აგვისტოს №8 და №13 ბრძანებები ფიქტიურია და არ წარმოადგენენ სახელმწიფო ადმინისტრაციული დაწესებულების მიერ გაცემულ სამოქმედო შემოღებულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, ვინაიდან ისინი გამოცემულია არასახელმწიფო და რეგისტრაციაში გაუტარებელ საპატენტო უწყება „საქპატენტის“ სახელით მოქმედი ფიქტიური დაწესებულების მიერ, რომელიც არ არის შექმნილი სამართლებრივი ფორმით.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს, მოიხილა მხარეთა ახსნა-განმარტებები, შემოწმა საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და ვასაჩივრებელი განჩინების კანონიერებად დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ კასაციურ შურად ბაძუნაშვილის საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის მოტივით და უცვლელად დარჩეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და სავადასახლო საქმეთა სააქლაციო პალატის 2003 წლის 29 მაისის განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასაციონის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მის სასარჩლო განიხადებაზე რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და სააქლაციო სასამართლოს განჩინება გამოტანილია არასათანადო მოქმედებით მიმართ და რომ „საქპატენტის“ არ ჰქონდა უფლება გაეცა მისი გამოგონების განაცხადზე საპატენტო სიგელი და პატენტი. „საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან ინტელექტუალური საკითხების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ შესახებ საქართველოს პარლამენტის 1998 წლის 28 ივლისის №392-ე ბრძანებულების პირველი პუნქტი გაუქმდა საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტთან არსებული საქართველოს საპატენტო სამსახური „საქპატენტი“ და მის ბაზაზე შეიქმნა ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“. ამავე ბრძანებულების მე-2 პუნქტით ამტკიცდა ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ თანდართული დებულება, რომლის მე-4 თავის პირველი პუნქტის თანახმად, „საქპატენტი“ უფლებამოსილია საქართველოს სახელმწიფოს სახელით გასცეს დამკვეთ დოკუმენტები ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე.

საკასაციო პალატა ასევე ვერ გაიზიარებს კასაციონის მოსაზრებას, რომ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“ 1999 წლის 24 მარტს ვერ გასცემდა მის განცხადებაზე ვერც ნამდვილ და ვერც ყალბ საპატენტო სიგელს ან პატენტს იმ მიზეზით, რომ ეს ტიტული 2000 წლის 23 დეკემბერს მიიღო, რადგან როგორც აღინიშნა, ეს ორგანიზაცია საპატენტო სამსახურის „საქპატენტის“ ბაზაზე შეიქმნა საქართველოს პარლამენტის 1998 წლის 28 ივნისის №392 ბრძანებულებით, ხოლო 2000 წლის 23 დეკემბერს ამ ბრძანებულებაში საქართველოს პრეზიდენტის №534-ე ბრძანებულებით შევიდა ცვლილებები და დამატებები.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს კასაციონის შურად ბაძუნაშვილის საკასაციო საჩივრების დაკმაყოფილების

სამართლებრივი საუბრეები და შესაბამისად, უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის ხოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 29 მაისის განჩინება

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 404-ე, 410-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. კასატორის ზურაბ ბაბუნაშვილის საკასაციო სარჩეარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის ხოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 29 მაისის განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ სარჩევდება.

**„საქსატენტის“ სამიანობის იურიდიულ მომსახურებად და
დღგ-ით განაუთხინილ დაუბგრაჲ ოპერაციად გინგვა**



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელთ

№36/აღ-13-კს.

24 ოქტომბერი, 2000 წ. ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა
ძალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ო. ტაბუცაძე (თავმჯდომარე),
- ნ. კლარჯიშვილი,
- ნ. სხორტლაძე

6. კვიპლეთმულის მდინობით

კრძო საჩივრის ავტორის: საქართველოს საგადასახლო შემოსაულები სამინისტროს
საგადასახლო დეპარტამენტის მსხვილ გადამხელთა ინსექციის წარმომადგენლის ლ.
წილაურის

მოწინააღმდეგე შხარის: საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენ-
ტრის „საქსატენტი“ წარმომადგენლის ა. შიხაშვილის მონაწილეობით.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის
თანახმად, საქართველოს საგადასახლო შემოსაულები სამინისტროს საგადასახლო დეპარ-
ტამენტის წარმომადგენელთა მეორედ არასასატიო მიზეზით გამოუცხადებლობის გამო, მათ
გარეშე განიხილა საქართველოს საგადასახლო შემოსაულები სამინისტროს საგადასახლო
დეპარტამენტის მსხვილ გადამხელთა ინსექციის უფროსის ე. დავითოვის კრძო საჩივარი
საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახლო საქმეთა კოლეგი-
ის 2000 წლის 22 აგვისტოს განჩინების გაუქმების თაობაზე.

საკასაციო ძალატამ მოსამართლე ნ. კლარჯიშვილის მოხსენების, მხარეთა ახსნა-განმარ-
ტებების მოსმენის, საქმის მასალების, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინებისა და
კრძო საჩივრის გაცნობის შულგად

გ ა მ ო ა რ კ ე ბ ა :

საქართველოს საგადასახლო შემოსაულები სამინისტროს საგადასახლო სახელმწიფო
დეპარტამენტის მსხვილ გადამხელთა ინსექციის 2000 წლის 16 თებერვლის №52 და 3
მარტის №79 ბრძანებების საუთუელზე 10 მარტს შემოწმდა ინტელექტუალური საკუთრების
ეროვნული ცენტრის „საქსატენტის“ ბოუეუტთან ანგარიშსწორების სისწორე და უცხო ქვეყ-
ნის განაცხადებზე შესრულებული პოცედურებისათვის ბოუეუტის ხასარგებლოდ დავოცხა
614327 ლარის დღგ-ს გადახდა.

შემოწმებაძლე „საქსატენტი“ ხელმძღვანელობდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს
1997 წლის წერილებით №1-06/62/1051, №07-1-07/226/2926, რომლებმაც განმარტებულა,
რომ პატენტი და ლიცენზია წარმომადგენს არამატერიალურ ქონებას, რომელსაც მოიყავს
საქონელი, ამიტომ „საქსატენტზე“ გავრცელდება საგადასახლო კოდექსის 102-ე მუხლის
შულაეთი და „საქსატენტის“ მიერ არამატერიალური აქტივების (პატენტის, ლიცენზიის) ექს-
პორტი დღგ-ს ნულოვანი განაკეთით დაიხგრება.

საქართველოს საგადასახლო შემოსაულები სამინისტროს საგადასახლო დეპარტამენტის

2000 წლის 6 ივნისის №04-2-6/163/1624/661 წერილით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 252-ე მუხლის შესაბამისად, „საქსტენტს“ ფინანსური სანქციის, საურაისის სახით დამატებით დაეკისრა 349473 ლარის, სულ 963800 ლარის გადახდა.

2000 წლის 16 ივნისის საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტისა და მსხვილ გადასხედელთა ინსპექციის მიმართ სარჩელი აღძრა საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულმა ცენტრმა „საქსტენტმა“ და მოითხოვა:

ა). საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის მსხვილ გადასხედელთა ინსპექციის 2000 წლის 10 მარტის შემოწმების აქტის ბათილად ცნობა;

ბ). 963800 ლარის დღე-ს დავალიანებაზე მსხვილ გადასხედელთა ინსპექციის მიერ 2000 წლის 15 ივნისს „საქსტენტის“ მომსახურე – „საქართველოს ბანკსა“ და „გაერთიანებულ ქართულ ბანკში“ წარდგენილი №430 და 431 საინკასო დავალების ბათილობა.

გ). საქმეზე გამოტანილი ვადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე №430; 431 საინკასო დავალებების მოქმედების შეწყვეტა.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2000 წლის 16 ივნისის განჩინებით მოსარჩელის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით №430,431 საინკასო დავალებების მოქმედების შეწყვეტის შესახებ დაკმაყოფილდა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლისა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

2000 წლის 22 აგვისტოს „საქსტენტმა“ კვლავ მიმართა თბილისის საოლქო სასამართლოს და მოითხოვა მსხვილ გადასხედელთა ინსპექციის 2000 წლის 18 აგვისტოს №4558; 559 საინკასო დავალებების ბათილად ცნობა და სარჩელის უზრუნველყოფის სახით, ასევე, მოითხოვა ზემოაღნიშნული საინკასო დავალებების მოქმედების შეწყვეტა, რომლითაც 2000 წლის 10 მარტის სადავო აქტის საფუძველზე უნდა მომხდარიყო „საქსტენტის“ საბანკო ანგარიშებიდან დღე-ს ძირითადი დავალიანების – 580865 ლარის ჩამოწრა.

თბილისის საოლქო სასამართლოს კოლეგიამ 2000 წლის 22 აგვისტოს დაკმაყოფილა მოსარჩელის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ და საქმეზე ვადაწყვეტილების გამოტანამდე შეაჩერა №4558; 559 საინკასო დავალებების მოქმედება, იმავე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლისა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე.

შეორე დღესვე, 2000 წლის 23 აგვისტოს, მოსარჩელე „საქსტენტმა“, ისევ მიმართა თბილისის საოლქო სასამართლოს დამატებითი სარჩელით, რომელშიც მიუთითა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ თბილისის საოლქო სასამართლოს 2000 წლის 22 აგვისტოს განჩინების ასლების „საქსტენტის“ მომსახურე „საქართველოს ბანკსა“ და „გაერთიანებულ ქართულ ბანკში“ ჩაბარებამდე მსხვილ გადასხედელთა ინსპექციის ზეწოლით ბანკებმა განხორციელეს მის ანგარიშზე იმ მომენტისათვის რიცხული თანხების 66307,86 აშშ დოლარისა და 303,29 ლარის ჩამოწრა. იმავდროულად მსხვილ გადასხედელთა ინსპექციამ წარადგინა 2000 წლის 22 აგვისტოთი დათარიღებული ძალი საინკასო დავალებები №589 – „გაერთიანებულ ქართულ ბანკში“ და უნორმო საინკასო დავალება – „საქართველოს ბანკში“, 580865 ლარის დღე-ს ძირითადი დავალიანების დაფარვაზე. „საქსტენტი“ ამგვარადვე სარჩელის უზრუნველყოფის სახით ითხოვდა მსხვილ გადასხედელთა ინსპექციისათვის 2000 წლის 10 მარტის შემოწმების სადავო აქტის საფუძველზე ყოველგვარი საინკასო დავალებების წარდგენის აკრძალვას, რადგან სასამართლოს მიერ ვადაწყვეტილების გამოტანამდე საინკასო დავალების აღსრულება – მისი ანგარიშებიდან 580865 ლარის ჩამოწრა – უდიდეს ფინანსურ ზიანს მიყენებს „საქსტენტს“ და საერთოებს შეუქმნის მის ნორმალურ ფუნქციონირებას. ამასთან, შეუსაბამობა საინკასო დავალებებში მითითებულ დარიცხულ თანხებშიც, რადგან 2000 წლის 10 მარტის შემოწმების აქტით „საქ-

პატენტს" დაეკისრა დღგ-ს ძირითადი დაეკისრება 614327 ლარი, ხოლო 22 აგვისტოს ბოლო საინკასო დავალებებით დარიცხული დღგ-ს ძირითადი დაეკისრების თანხა შეიკავებს 580 865 ლარს, მაშინ, როდესაც 66307,86 აშშ დოლარი და 3030,29 ლარი „საქსატენტის“ ანგარიშებიდან უკვე ჩამოწრილია.

თბილისის სააღიკო სასამართლოს 2000 წლის 23 აგვისტოს განჩინებით დაკმაყოფილდა „საქსატენტის“ დამატებითი სასარჩელო განცხადებაში ჩამოყალიბებული შეუძლოებლობა საჩრელოს უზრუნველყოფის სახით 2000 წლის 22 აგვისტოს №589 და უნაბრო საინკასო დავალებების მოქმედებას შეწყვეტისა და 2000 წლის 10 მარტის სადავო შემოსწავების აქტის საფუძველზე, მსხვილ გადახდელთა ინსპექციისათვის შემდგომში საინკასო დავალებების წარდგენის აკრძალვის თაობაზე, შემდეგი მოტივებით:

სასამართლო კოლეგიას უკვე ორიჯერ ქონდა მსჯელობა მოცემული საქმის მოსამზადებელ სტადიაზე საჩრელოს უზრუნველყოფის სახით ანალოგიური ღონისძიების (საინკასო დავალების მოქმედების შეწყვეტა) განხორციელების თაობაზე და ორიჯე შემთხვევაში დაკმაყოფილდა მოსარჩელის შეუძლოებლობა, რადგან ანგარიშიდან სადავო თანხის – 580865 ლარის ჩამოწერა დიდ ზიანს მოუტანს მოსარჩელეს და არსებითად საჩრელოს დაკმაყოფილების შემთხვევაში კი მნიშვნელოვნად გააძვირებს „საქსატენტის“ სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულებას. ამასთან შეუსაბამობა შემოსწავების აქტით დარიცხულ დღგ-ს ძირითადი გადასახადის თანხასა და საინკასო დავალებაში მითითებულ თანხას შორის. ამიტომ კოლეგიამ აბეჯერდად მიზანშეწონილად ჩათვალა „საქსატენტის“ შეუძლოებლობის დაკმაყოფილება.

თბილისის სააღიკო სასამართლოს 2000 წლის 22-23 აგვისტოს განჩინებებზე, ექვსო საჩრელო შეიტანა მოასსუე – მსხვილ გადახდელთა ინსპექციამ, ითხოვს მათ გაუქმებასა და 580865 ლარის ბოუჯეტის სასარგებლოდ გადახდის მიზნით, საინკასო დავალებების ამოქმედებას შემდეგი საფუძველზე:

1. სასამართლო კოლეგიამ განჩინებების განმარტებით ნაწილში მოუთითა, რომ ხელმძღვანელობის საქართველოს საბოქალაქო სასროცესო კოდექსის 191-ე, 194-ე და 198-ე მუხლებით საჩრელოს უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ, რისი უფლებაც მას არ გააძნედა საქართველოს ადმინისტრაციული სასროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილიდან გამოძღონარე. საინკასო დავალება წარმოადგენს ადმინისტრაციულ აქტს. ამიტომ საქმის წარმოება უნდა მომდინარეობდეს საქართველოს ადმინისტრაციული სასროცესო კოდექსის მოხუდით, შესაბამისად, საინკასო დავალებების მოქმედების შეწყვეტაზე სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელებოდა საქართველოს ადმინისტრაციული სასროცესო კოდექსის 29-ე და 30-ე მუხლებით.

2. საქართველოს ადმინისტრაციული სასროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტის თანახმად სასამართლოს არ ქონდა №№558; 559 საინკასო დავალებების შეწყვეტის უფლება. მოწინააღმდეგე მხარე – საქართველოს ინტელექტუალური საკითხების ეროვნული ცენტრის – „საქსატენტის“, წარმომადგენელი ექვსო საჩრეოს არ იზარებს, თვლის, რომ საჩრელოს უზრუნველყოფის შესახებ სააღიკო სასამართლოს 2000 წლის 22-23 აგვისტოს განჩინებები კანონიერია. გამოტანილია საქართველოს საბოქალაქო და ადმინისტრაციული სასროცესო ნორმების დაცვით და მათი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს. ამასთან, განმარტავს, რომ საქმის გადაწყვეტაზე საჩრელოს უზრუნველყოფის ღონისძიების გაუტარებლობა და №№558; 559 საინკასო დავალებებით მათი ანგარიშიდან 580865 ლარის ჩამოწერა, რომ ნამდვილად დიდი ფინანსურ ზიანს მოაყენებს მოსარჩელის, უდავო ფაქტია. ასევე, ცხადია, ის ეკონომიკური შედეგები, რაც ამ ღონისძიების გამოუყენებლობას მოაყენებს, ეკრძოდ, საჩრელოს დაკმაყოფილების შემთხვევაში, ამაშიმდელი სეკესტრირებული ბოუჯეტის პირობებში, თუ საერთოდ შეუძლებელი არ გახდება თანხის დაბრუნება, მნიშვნელოვნად მაინც გაძვირდება გადაწყვეტილების აღსრულება. გარდა ამისა, მსხვილ გადახდელთა ინსპექციამ უკანონოდ, ბანკებზე ზეწოლით უკვე მოახდინა „საქსატენტის“ საბანკო ანგარიშიდან 66307,86 დოლარისა და 303,29 ლარის ჩამოწერა და ახალი საინკასო დავალებები წარადგინა „საქსატენტის“ მომსახურე ბანკებში. სადავო საინკასო

დავლებებსა და შემოსების აქტივ დარიცხულ დღე-ს გადასახლის თანხას შორის არის მნიშვნელოვანი სხვაობა. რაც საინკასო დავალებების კანონიერებას ჰაიკვოდ ხდის. ყოველივე ზუსტად აღნიშნულის გათვალისწინებით სასამართლოს უკონდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 30-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამეც საუფლებელი საინკასო დავალებების შესაჩერებლად. მის განმარტებით კანონიერია და თხოვს უცვლელად დატოვებას.

საკასაციო პალატა მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, კერძო საჩივრის დასაბუთებულობისა და საუფლებლიანობის შემოწმების, გასაჩივრებული განმარტებისა და საქმის მასალების შესწავლის შედეგად თქვით, რომ კერძო საჩივრის დატყუარებულებაზე მსხვილად გადამხდელთა ინსპექციის უარი უნდა ეთქვას უსაუფლებლობის გამო და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახლო საქმეთა კოლეგიის 2000 წლის 22-23 აგვისტოს განჩინება ხარხელის უზრუნველყოფის შესახებ. შემდეგ ვარებობათა გამო:

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით საინკასო დავალებების მოქმედების შეჩერებაზე თბილისის საოლქო სასამართლოს კოლეგიას გამოტარალი აქვს ხუთი განჩინება: 2000 წლის 16 ივნისს, 23 ივნისს, 22 აგვისტოს, 23 აგვისტოსა და 25 აგვისტოს. ხუთივე განჩინება მართებულად ეუფლება საქართველოს სამქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლსა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტს. ამავე კოდექსის 29-ე მუხლის მე-2 ნაწილი, მართალია, | ნაწილით დადგენილი ზოგადი წესისაგან განსხვავებით თვალისწინებს გადასახდების გადახდასთან დაკავშირებული წარდგენით, მაგრამ კოლეგიის მიერ მოითხოვული მე-3 ნაწილის თანხმად, მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაშიც მხარე უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს ადმინისტრაციული აქტის შეჩერების მოთხოვნით. ამდენად, №№ 558; 559 საინკასო დავალებების მოქმედების შეჩერების მოთხოვნაზე „საქსატრენის“ პროცესუალური უფლება გათვალისწინებულია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-3 ნაწილით, რომელშიც ასევე მოითხოვლია ამ მოთხოვნის დატყუარებულების პირობებიც. კერძოდ, ამავე კოდექსის 30-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მხარის მოთხოვნით სასამართლოს შეუძლია გადასახდებთან დაკავშირებული აქტის მოქმედება შეაჩეროს მხოლოდ მკაცრად განსაზღვრულ 3 შემთხვევაში:

1. თუ არსებობს დასაბუთებული ეჭვი ადმინისტრაციული აქტის კანონიერების თაობაზე;
2. თუ მისი გადადებული აღსრულება არსებით ზიანს აყენებს მხარეს;
3. თუ შეუძლებელს გახდის მისი (მხარის) კანონიერი უფლების ან ინტერესის დაცვას.

აქტის შეჩერების პირველ აუცილებელ პირობის (ადმინისტრაციული აქტის კანონიერების თაობაზე დასაბუთებული ეჭვი) საფუძვლად ხოლქო სასამართლოს კოლეგიამ 2000 წლის 16 და 23 ივნისის განჩინებებში სწორად მოითითა მსხვილად გადამხდელთა ინსპექციის მხრიდან საგადასახლო კოდექსის 243-ე მუხლის უგულებელყოფაზე. კერძოდ, ამ მუხლის პირველი ნაწილის თანხმად, გადასახდის სადავო თანხა შესაძლებელია გადახდოლი იქნეს სასამართლოში სარჩელის აღჭერის მოუხდევად, მაგრამ პირველი ნაწილის ბოლო წინადადების მიხედვით: „ჯარიმა და სადავო საურაეები ამოიღება სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე“. მსხვილად გადამხდელთა ინსპექციის მიერ №№ 430; 431 საინკასო დავალებები 2000 წლის 15 ივნისს წარდგენილი იქნა 963800 ლარის გადახდაზე, რომელიც მოიცავდა 2000 წლის 10 მარტის შემოსების სადავო აქტივ დარიცხულ დღე-ს ძირითადი გადასახდის თანხას - 614327 ლარს და საგადასახლო კოდექსის 252-ე მუხლის პირველი ნაწილით დარიცხულ ფინანსურ საწკიას - 349473 ლარს. ამდენად, საგადასახლო კოდექსის 243-ე მუხლის ოგნორირებით წარდგენილი №№ 430; 431 საინკასო დავალებების შეჩერება, საკასაციო პალატის აზრით, უდავოდ კანონიერი იყო.

საკასაციო პალატა, ასევე, მართლზომიერად მიიჩნევს, კოლეგიის მიერ 2000 წლის 18 აგვისტოს №№ 558; 559 საინკასო დავალებების შეჩერებას საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 30-ე მუხლის პირველი ნაწილის ამავე პირობის საფუძველზე.

ენიდან თვით საინკასო დავალებამა მითითებული, რომ „გადიხვეწიება შემოსულების აქტით დარიცხული დღგ-ს ძირითადი დავალიანება 580865 ლარი“. თავად შემოსულების აქტით კი „საქსტენტის“ დარიცხვა დღგ-ს გადასახადი 614327 ლარი. იმ ფაქტს, რომ საგადასახადო სამსახურის მიერ „საქსტენტის“ შემოსულებაზე შედგა მხოლოდ ერთი, 2000 წლის 10 მარტის აქტი, კერძო საჩივრის აქტივობა აღარცაა. ამდენად, №558; №559 საინკასო დავალებებში მითითებულ დღგ-ს თანხას – 580865 ლარსა და შემოსულების სადავო აქტზე მითითებულ იგივე თანხას შორის – 614 327 ლარი, არის პრინციპული განსხვავება. აქედან გამომდინარე, საინკასო დავალებების კანონიერებაზე საოლქო სასამართლოს ექვი საუფუძლიანთა და საინკასო დავალებების მოქმედება შეკრებილია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 30-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად და არ არსებობს კოლეჯის 22-23 აგვისტოს განჩინებების გაუქმების საუფუძლები.

საკასაციო პალატა თვლის, რომ უდავოა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 30-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული აქტის შეკრების შემდეგ 2 საუფუძელი, კერძოდ; ის, რომ №№558; 559 საინკასო დავალებების საუფუძელზე „საქსტენტის“ ანგარიშთან 580865 ლარის ჩამოწერა მოსარჩელის უუჭველად დიდ ზიანს მიყენებს და მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში ჩაყენებს. ქვეყნის ბიუჯეტის სექსტრისა და მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ასევე, ნათელია, რომ საინკასო დავალებების აღსრულება სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას – „საქსტენტის“ კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვას.

ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ „საქსტენტის“ შუამდგომლობები სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით №№558; 559 საინკასო დავალებების მოქმედების შეწყობაზე კანონიერია, საოლქო სასამართლოს კოლეჯის ქორდა. ადმინისტრაციული აქტის შეკრებისათვის კოდექსით გათვალისწინებული საბიუჯეტო პირობა, საოლქო სასამართლო კოლეჯის განჩინება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 30-ე მუხლის პირველი ნაწილის იმპერატიული მოთხოვნათა შესტი დავით არის გამოტანილი. კოლეჯის საპროცესო ნორმები არ დაურღვევია, ამიტომ კერძო საჩივარს დაკმაყოფილებაზე უარი უნდა ეთქვას უსაუფუძლოდობის გამო და უკუვლად უნდა დარჩეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული საპროცესოსა და საგადასახადო საქმეთა კოლეჯის 2000 წლის 22 აგვისტოს განჩინება დავის გადაწყვეტამდე №№558; 559 საინკასო დავალებების მოქმედების შეწყობის თაობაზე.

ამასთანავე, საკასაციო სასამართლო მითითებს საქართველოს საგადასახადო შემოსულების სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის მსხვილ გამამხდელთა ინსპექციას საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის მიხედვითაც „სასამართლოს აქტები სავალდებულოა ეყლა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე“. საქართველოს კონსტიტუცია, როგორც უზენაესი კანონი, პირდაპირ მოქმედებს და მასში განმტკიცებული პრინციპების დაცვა თანაბრად სავალდებულოა როგორც მოქალაქეთათვის, ასევე სახელმწიფო ორგანოსა და საჯარო მოსამსახურეთათვის, მათ შორის მსხვილ გამამხდელთა ინსპექციის თანამდებობის პირთათვისაც და რაიმე თვითნებობა ან სასამართლოსადმი დაუმორჩილებლობა, ასევე მისი აქტების შეუსრულებლობა შესაბამის სამართლებრივ შედეგებს იწვევს.

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419, 420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ა მ ა :

1. საქართველოს საგადასახადო შემოსულების სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის მსხვილ გამამხდელთა ინსპექციის უფროსის ე. დავითურის კერძო საჩივარი

არ დასაყოფილებს.

2. უცვლელად დარჩეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2000 წლის 22-23 აგვისტოს განჩინებები.

3. უზენაესი სასამართლოს განჩინება სამოლოა და არ განსაზღვრება.



გ ა დ ა წ ყ ე ე ტ ი ლ ე ბ ა
საქართველოს სახელთ

№3/17-2001

31 იანვარი, 2001წ., ქობილის

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატამ

შემდეგი შესაძგენლობით: **ითხოვრა (თაყვალმარე),
ილევამუილი,
ტ.ზამხახიძე**

ე. იქიხიასის მდივნობით

მოსარჩელე: საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ წარმომადგენლების დეპარტამენტი, ზნეუარიძის, რატიკაძის, ა.შინაშვილის.

მომასხუხე: საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის წარმომადგენლების ე.ხანიშვილის, ადასამიძის; საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს მსხვილ ვადამხელთა ინსპექციის წარმომადგენლის ლ.წიფილაურის მონაწილეობით.

განიხილა მოსარჩელე საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სარსელი, მომასხუხე – საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის და მსხვილ ვადამხელთა ინსპექციის მიმართ. მოსარჩელე ითხოვს:

1. „საქპატენტის“ საქმანობა მონეულ იქნეს საგადასახადო კოდექსის 107-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის მეხამე აბზაცში მითითებულ იუროდოლ მომსახურებად, რომლის უცხოურ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე განეეის ადგილად ითილება მომსახურების მიძღები მუდმივი დაწესებულების ადგილსამყოფელი, რომელთანაც ეს მომსახურება უფრო მეტადაა დაკავშირებული და აღნიშნული კოდექსის 96-ე მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადების თანახმად ჩათვალოს, რომ „საქპატენტის“ მიერ განეული ამგვარი ოქერაციები, როგორც საქართველოს ფარგლებს გარეთ განეული მომსახურება არ განეუთენება დღე-ით დასაბგერ ოქერაციებს.

2. საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის მსხვილ ვადამხელთა ინსპექციის 2000 წლის 10 მარტის შემოწმების აქტი ბათილად იქნეს ცნობილი იმ ნაწილში, რომლითაც „საქპატენტის“ მიერ უცხოურ განსახადებაზე განეული მომსახურება მიუთენებულა დღე-ით დასაბგერ ოქერაციად და „საქპატენტის“ დათისრებული აქეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 614327 ლარის გადახდა.

3. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს საგადასახადო დეპარტამენტის თაყვალმარის პირველი მოადგილის ათავართილაძის 2000 წლის 6 ივნისის №04-2-ბ/16.3/1624/66: წერილი (გადაწვეტილება) და მის საფუძველზე „საქპატენტისათვის“ საერატის სახით 349479 ლარის დათისრება.

4. ბათილად იქნეს ცნობილი 2000 წლის 10 მარტის შემოწმების აქტის საფუძველზე

სს „საქართველოს ბანკს“ და „გაერთიანებული ქართული ბანკის“ მთავრობის ფილიალში წარდგენილი №430, №431, №558, №559, №589 და უნებრო სანკასო დაეაღებები.

5. დაუბრუნდეს „საქსტრანს“ 2000 წლის 18 აგვისტოს №558 და №559 სანკასო დაეაღებების საფუძველზე უკანონოდ ჩამოჭრილი 66307,87 აშშ დოლარი და 303,29 ლარი.

ა დ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი :

მოსარჩელემ, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულმა ცენტრმა „საქსტრანს“ 2000 წლის 16 ივნისს სარჩელი აღძრა თბილისის სალქო სასართლოში საქართველოს საგადასახლო შემოსავლების სამინისტროს საგადასახლო დეპარტამენტისა და მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის მამართ და მოითხოვა:

1. საქართველოს საგადასახლო შემოსავლების სამინისტროს საგადასახლო დეპარტამენტის მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის 2000 წლის 10 მარტის შემოწმების აქტის სათილად ცნობა იმ ნაწილში, რომლითაც „საქსტრანსის“ მიერ უცხოურ განცხადებაზე გაწეული მომსახურება მიკუთვნებულია დღე-ით დასაბეგრ, ოპერაციად და დაკისრებული აქვს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 614327 ლარის გადახდა.

2. საქართველოს საგადასახლო შემოსავლების სამინისტროს საგადასახლო დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ათაკარტიქლადის 2000 წლის 6 ივნისის №04-2-6/163/1624/66/ წერილის (გადაწყვეტილების) და მის საფუძველზე „საქსტრანსისთვის“ საურავის სახით 349479 ლარის დაკისრების სათილად ცნობა.

3. საქართველოს საგადასახლო შემოსავლების სამინისტროს საგადასახლო სახელმწიფო დეპარტამენტის მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის 2000 წლის 15 ივნისის №430 და №431 სანკასო დაეაღებების სათილად ცნობა.

4. საქართველოს საგადასახლო კოდექსის 107-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე „საქსტრანსის“ საქმანობის ორიდოულ მომსახურებად ცნობა, რომელზეც უნდა გაერკეულდეს ამავე კოდექსის 96-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

სასამართლო განხილვისათვის მომზადების სტადიაზე მოსარჩელემ გაზარდა სასარჩელო მოთხოვნა და მოითხოვა 2000 წლის 10 მარტის შემოწმების აქტის საფუძველზე წარდგენილი №558, №559, №589 და უნებრო სანკასო დაეაღებების სათილად ცნობა, 2000 წლის 18 აგვისტოს №558 და №559 სანკასო დაეაღებების საფუძველზე უკანონოდ ჩამოჭრილი 66307,87 აშშ დოლარის და 303,29 ლარის დაბრუნება, სასამართლოს მოთვარ სხდომაზე კი მოსარჩელემ დაზუსტა თავისი სარჩელი იგვარად, რომ მოითხოვა „საქსტრანსის“ საქმანობა მიჩნეულ იქნეს საგადასახლო კოდექსის 107-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის შესამე აბაკში მითითებულ ორიდოულ მომსახურებად, რომლის უცხოურ ფიზიკურ და ორიდოულ პირებზე გაწევის ადგილად ითილება მომსახურების მოქები მუდმივი დაწესებულების ადგილსამყოყელი, რომელთანაც ეს მომსახურება უფრო მეტადაა დაკავშირებული და აღნიშნული კოდექსის 96-ე მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადების თანხმად ჩითივალის, რომ „საქსტრანსის“ მიერ გაწეული ამავე ოპერაციები, როგორც საქართველოს ფარგლებს გარეთ გაწეული მომსახურება არ განეკუთვნება დღე-ით დასაბეგრ ოპერაციებს. მოსარჩელემ არ მოითხოვა მასზე საქართველოს საგადასახლო კოდექსის 102-ე მუხლის საფუძველზე დღეს სლოიანი განაკეთის გაერკელება.

მოსამხედებმა, საქართველოს საგადასახლო შემოსავლების სამინისტროს საგადასახლო დეპარტამენტმა და ამავე სამინისტროს მსხვილ გადამხდელთა ინსპექციამ სარჩელი არ სცნეს და უარი განაცხადეს მის დაქმყოფილებაზე იმ მოტივით, რომ „საქსტრანსის“ მიერ უცხოურ ორიდოულ და ფიზიკურ პირების განცხადებაზე გაწეული საქმანობა არ წარმოადგენს საგადასახლო კოდექსის 107-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტის შესამე აბაკში მითითებულ ორიდოულ მომსახურებას და რომ ეს საქმანობა წარმოადგენს კოდექსის 107-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტით გათვალისწინებულ ეკონომიკურ საქმანობას და საქართველოს საგადასახლო კოდექსის 96-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესამხმისად წარმოადგენს დღე-ით დაბეგრის ობიექტს.

ს ა მ ი ტ ი ე ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

სასმართლომ თავისი შინაგანი რწმენით შეაფასა საქმეზე მოპოვებული მტკიცებულებები, იხელმძღვანელა საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-17 მუხლის 1 ნაწილით, მე-7 მუხლის 1 ნაწილით, 90-ე მუხლით, 96-ე მუხლის მეორე ნაწილით, 107-ე მუხლით, საქართველოს სასაქონლო კანონით, საქართველოს კანონით სასაქონლო ნიშნების შესახებ, ჩარმატული აქტების შესახებ კანონით, საქართველოს ეკონომიკის მინისტრის 1997 წლის 27 ივლისის №51 ბრძანებით „სამრეწველო საკუთრების ობიექტებზე უფლებების დაცვის საოპერაციების დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 28 ივნისის №332 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქსატენტის“ დებულებით, მიიჩნია, რომ სარჩელი უსაფუძვლოა და არ უნდა დაეკმაყოფილებს შემდეგ გარემოებათა გამო:

2000 წლის 10 მარტის საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის შემოწმების საფუძველზე, მოსარჩელეს – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს „საქსატენტს“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დამატებით დაერიცხა 614327 ლარი დღე საურაეი და არ დაერიცხა ჯარიმა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 254-ე მუხლის მე-4 პუნქტის გათვალისწინებით. მოსარჩელისათვის დამატებით დღე-ს დარიცხვის საფუძველზე გახდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 107-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტით გათვალისწინებული საქართველოს ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება, 1997 წლის ოქტომბრიდან 1999 წლის დეკემბრის ჩათვლით პერიოდში, რაც შემდეგში გამოიხატა: „საქსატენტის“ მიერ მსხვილ გადამხდელთა ინსპექციაში წარმოდგენილ დღე-ს დელარაციებში დასაბეგრი ბრუნების დიფერენცირებულია როგორც 20%-იანი განაკვეთით დასაბეგრი ბრუნვა. საქართველოს იურიდიულ და ფიზიკურ პირებისაგან დადგენილი საფასურით მიღებულ ოანსების მიმართ და ნულთან განაკვეთით დასაბეგრი ბრუნვა, უცხო ქვეყნის იურიდიული და ფიზიკური პირების სახელით პატენტრწმუნებულების განაცხადებზე გაწეული პროცედურებისათვის გადახდილი თანხების მიმართ.

2000 წლის 10 მარტის შემოწმების აქტი დარიცხულ თანხასთან დაკავშირებით, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულმა ცენტრმა „საქსატენტმა“ გაასაჩივრა შემდგომ საგადასახადო ორგანოში, საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საგადასახადო დესპარტამენტში. დესპარტამენტის პირველი მოადგილის ათავართქილადის 2000 წლის 6 ივნისის წერილის შესაბამისად საგადასახადის გადამხდელის საჩივარი არ დაეკმაყოფილა როგორც უსაფუძვლო და არაკანონიერი, „საქსატენტის“ მიერ გაწეული საქმიანობა მიწვეულ იქნა საგადასახადო კოდექსის 107-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტით გათვალისწინებული საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ საქმიანობად. გარდა ამისა შემდგომმა საგადასახადო ორგანომ მიიჩნია, რომ „საქსატენტის“ მიმართ საგადასახადო კოდექსის 252-ე მუხლის შესაბამისად არ იყო გამოყენებული ფინანსური სანქცია – საურაეი და მსხვილ გადამხდელთა ინსპექციას დაეკალა ძირითადი გადასახადის თანხებზე საურაეტის დარიცხვა.

შემდგომში დიფერენცირების და საგადასახადო კანონმდებლობის საფუძველზე საქართველოს მსხვილ გადამხდელთა ინსპექციამ 2000 წლის 15 ივნისს გამოსცა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, საიდან დაეკალა (განკარგულა) საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქსატენტის“ მიმართ დღე-ს დელარაციების სულ 963800 ლარის გადახდების თაობაზე (ძირითადი თანხა 614327 ლარი, საურაეი 349473 ლარი).

სასმართლოს მიიჩნია, რომ საგადასახადო ორგანოს მიერ მოსარჩელეს სწორად დაერიცხა დღე-სა და საურაეტის გადახდები შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქსატენტი“ არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებების სამართლებრივ უზრუნველყოფას ინტელექტუალური საკუთრების სფეროში. „საქსატენტი“ უფლებამოსილია საქართველოს სახელით გასცეს დამკვეთ დოკუ-

მენტები ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე, ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიიღოს გადაწყვეტილებანი, რომელთა შესრულება აუცილებელია ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის, წარმოადგინოს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციაში.

„საქსატენტი“ თავისი ძირითადი ფუნქციების განხორციელებისას ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან იღებს დადგენილი წესით განსაზღვრულ საფასურებს. საფასურები და სხვა შემოსავლები ირიცხება „საქსატენტის“ ანგარიშზე, რომელსაც განაჯავებს მხოლოდ „საქსატენტი“ (საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 28 ივნისის №392 ბრძანებულებით დამტკიცებული ინტელექტუალური საკუთრების ერთეული ცენტრი „საქსატენტის“ დებულება; შეტანილია ცვლილებები საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 23 დეკემბრის №534 ბრძანებულებით; თავი I, მუხლი I; თავი III; თავი IV მუხლი 1,2; თავი V მუხლი 3).

ამდენად, ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში „საქსატენტი“ ასრულებს სახელმწიფოსაგან კანონმდებლობის საფუძველზე დელეგირებულ საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებებს, გამოსცემს ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტებს, რის გამოც „საქსატენტის“ მიერ უცხო ქვეყნის იურიდიული და ფიზიკური პირების უფლებების სამართლებრივი უზრუნველყოფა და ამ სფეროში განხორციელებული საქმიანობა არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც საქართველოს საგადასახადო კოდექსის 107-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის მესამე აბზაცში მითითებული იურიდიული მომსახურება. მართალია, საქართველოში მოქმედი არც ერთი ნორმატიული აქტი არ იძლევა იურიდიული მომსახურების ცნების განმარტებას, მაგრამ სასამართლოს აზრით, იურიდიული მომსახურება – შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ თანასწორუფლებიანი სუბიექტების ურთიერთშეთანხმების საფუძველზე და ემსახურებოდეს მხოლოდ თავად მომსახურების მიმღების ინტერესს. მაშინ, როდესაც „საქსატენტის“ საქმიანობა ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში გამოიხატება ხელისუფლებითი ფუნქციების განხორციელებაში და „საქსატენტი“ უფლებამოსილია კანონმდებლობის საფუძველზე არ დააკმაყოფილოს პირის გაანცხადი ინტელექტუალური საკუთრების ობიექტზე დამკვეთი ლოკენტის გაცემის თაობაზე, ე.ა. არ მოახდინოს პირის ინტერესის სამართლებრივი უზრუნველყოფა.

საგადასახადო კანონმდებლობით, დამატებული ღირებულება წარმოადგენს საქონლის (მომსახურების და სამუშაოების) ღირებულების იმ ნაწილს, რომელსაც მწარმოებელი ამტკებს მესამე პირებისაგან შექმნილი იმ ნედლეულის, მასალების, სამუშაოებისა და მომსახურების ღირებულებას, რომლებიც გამოიყენება წარმოების პროცესში. ღირებულება გადამხდელთა ფიზიკური და იურიდიული პირები. მათ შორის არაფიზიკური ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც საქართველოში ახორციელებენ საქმიანობას მუდმივი დაწესებულების მეშვეობით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 90-ე, 92-ე მუხლის მეორე ნაწილი).

დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგრის ობიექტა დასაბეგრი ოპერაცია ანუ პირის მიერ საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) მიწოდება, მათ შორის უსასყიდლოდ, თუ ისინი ითვლება განხორციელებულად საქართველოს ტერიტორიაზე (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 96-ე მუხლის მეორე ნაწილი).

ამდენად, დაბეგრის ობიექტის წარმოშობის ცვალებადი ნიშანს წარმოადგენს ტერიტორიულობის პრინციპი, რადგან დაბეგრის ობიექტი შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე.

„საქსატენტის“ საქმიანობა განხორციელებული უცხო ქვეყნის იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის ჩაითვლება საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულად, კონკრეტულად მომსახურების მუდმივი დაწესებულების ადგილსამყოფელი ყველთვის საქართველოა. როგორც ადრე მოქმედი სასაქონლო ნიშნების შესახებ დებულებით, ისე ამჟამად მოქმედი საქართველოს სასატენტო კანონით, სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონით: პირი, რომელსაც საქართველოს ტერიტორიაზე არ გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ან უცხო ქვეყნის იურიდიული პირი, ან მისი წარმომადგენელი „საქსატენტთან“ ურთიერთობას წარმოადგენს მხოლოდ საქართველოში ატესტირებული და რეესტრში რეგისტრირებული პატენტრწმუნებულის

მეშვეობით და პატენტრწმუნების მეშვეობით ახორციელებს მთლიანად ან ნაწილობრივ ინტელექტუალური საკუთრების დაცვას საქართველოს ტერიტორიაზე.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-17 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად უცხოური ფიზიკური პირის ან უცხოური საწარმოს მუდმივ დაწესებულებად საქართველოში ითვლება გადასახადის გადასხდელის დაწესებულება, რომლის მეშვეობითაც ის მთლიანად ან ნაწილობრივ ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას, რწმუნებული პირის საქმიანობის ჩათვლით.

- პირად, საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრული უცხოური ფიზიკური პირის ან უცხოური საწარმოს მუდმივი დაწესებულება საქართველოში პატენტრწმუნებულია და „საქ-პატენტის“ მიერ რწმუნებულისათვის საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) მიწოდება ჩაითვლება საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულად. აღნიშნულიდან გამომდინარე, „საქპატენტის“ საქმიანობის „ოურიდულ მომსახურებად“ აღიარების შემთხვევაში კი ასეთი საქმიანობა საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულად ჩაითვლება.

საგადასახადო კანონის შეესაბამება საქართველოს ეკონომიკის მინისტრის 1999 წლის 27 ივლისის (ძალაშია 1999 წლის 1 ოქტომბრიდან) №51 ბრძანება „სამრეწველო საკუთრების ობიექტებზე უფლებების დაცვის საფასურების დამტკიცების შესახებ“, რომლის თანახმადაც სამრეწველო საკუთრების ობიექტებზე უფლებების დაცვის საფასურები განსაზღვრულია დამატებული ღირებულების გათვალისწინებით. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მინისტრის ბრძანება არის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომელიც მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და საგადასახადო შესასრულებლად, როგორც საგადასახადო ორგანოსათვის, ისე გადასხდელისათვის.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით „საქპატენტის“ საქმიანობა უცხო ქვეყნის ფიზიკური და ოურიდული პირების ინტელექტუალური საკუთრების დაცვის უზრუნველყოფის სფეროში საგადასახადო ორგანოების მიერ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 96-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად სწორად იქნა მიჩნეული საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) მიწოდებად, ე.ი. დამატებული ღირებულების გადასახადი დასაბეგო ობიექტად და არ არსებობს სარჩელის დაკმაყოფილების როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი საფუძველი. ამასთან, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 252-ე მუხლის შესაბამისად მოსარჩელეს სწორად დაერიცხა საურავი ვადაგასულ საგადასახადო გადასხდელებზე და კოდექსის 254-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე სწორად არ დაერიცხა ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმა, რადგან გადასახადის თანხის შემცირება მოხდა შესაბამისი ორგანოების მიერ მიცემული არასწორი წერილობითი მოითხოვნის საფუძველზე. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის საფუძველზე, დარიცხული თანხების ოდენობაზე მოსარჩელის დასაბუთებული მოთხოვნის არარსებობის გამო, სასამართლომ საქმე განიხილა მხოლოდ სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში, იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მეორე ნაწილით, მე-4, მე-12, 22-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე, 250-ე, 395-ე და 397-ე მუხლებით და

გ ა დ ა წ ვ ე ბ ა :

1. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.
2. მოსარჩელეს გადასხდეს სახელმწიფო ბაი 5000 ლარის ოდენობით. სახელმწიფო ბაი ჩაირიცხოს საქართველოს ეროვნულ ბანკში ანგარიშზე №000141107, კოდი 220101107 | სახაზინო სამსახური.
3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატაში (ძმები ზუბალაშვილების №32) გადაწყვეტილების მხარეთათვის ჩამარებიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საოლქო სასამართლოში საჩივრის შეტანით.

საქართველოს ინტელექტუალური საკუორების ეროვნული ცენტრის „საქსატენტის“ სასარჩელო მოთხოვნა.

1. „საქსატენტი“-ს საქმიანობა მიჩნეულ იქნეს საგადასახადო კოდექსის 107-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის მე-3 აბზაცში მოითხოვულ იურიდიულ მომსახურებად, რომლის უცხოურ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გაწევის ადგილად ითვლება მომსახურების მიმღები მუდმივი დაწესებულების ადგილსამყოფელი, რომელთანაც ეს მომსახურება უკრო მეტადაა დაკავშირებული და აღნიშნული კოდექსის 96-ე მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადების თანახმად ჩაითვალოს, რომ „საქსატენტის“ მიერ გაწეული ამგვარი ოპერაციები, როგორც საქართველოს ფარგლებს გარეთ გაწეული მომსახურება, არ განეკუთვნება დღე-თი დასახვერ ოპერაციებს.

2. საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის მსხვილ გადახდელთა ინსპექციის 2000 წლის 10 მარტის შემოწმების აქტი ბაზლიად იქნეს ცნობილი იმ ნაწილში, რომლითაც „საქსატენტი“-ს მიერ უცხოურ განაცხადებზე გაწეული მომსახურება მიკუთვნებულა დღე-თი დასახვერ ოპერაციად და „საქსატენტს“ დაკისრებული აქვს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 614327 ლარის გადახდა.

3. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ათაქართილადის 2000 წლის 6 ივნისის №04-2-6/163/1624/661 წერილი და მის საფუძველზე „საქსატენტი“-სათვის საურავის სახით 349479 ლარის დაკისრება.

4. ბაზლიად იქნეს ცნობილი 2000 წლის 10 მარტის შემოწმების აქტის საფუძველზე სს „საქართველოს ბანკს“ და სს „გაერთიანებული ქართული ბანკის“ მთავრობის ფილიალში წარდგენილი №430, №431, №558, №559, №589 და უნაზრო სანიკასო დავალებები.

5. დაუბრუნდეს „საქსატენტს“ 2000 წლის 18 ავისტოს №558 და №559 სანიკასო დავალებების საფუძველზე უკანონოდ ჩამოჭრილი 66307,87 აშშ დოლარი და 303,29 ლარი.

საქმის მასალების გაკნობის, მხარეთა მოსმენის და საქმეზე სპეციალისტებად მოწვეული პირების განამარტებების შემდეგ მიმართა, რომ სარჩელი საფუძველანა და იგი უნდა დატყა-ოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„საქსატენტის“ საქმიანობა მიჩნეული უნდა იქნეს სამართლებრივ (იურიდიულ) მომსახურებად, აღნიშნული მოსაზრება ეყარება „საქართველოს სასატენტიო კანონს“, საქართველოს კანონს „სასატენტიო ნიშნების შესახებ“ და საქართველოს საგადასახადო კოდექსს. კრძობ „საქართველოს სასატენტიო კანონის“ მე-8 მუხლის თანახმად: „საქსატენტი“ არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ინტელექტუალური საკუორების დაცვის სფეროში სამართლებრივად უზრუნველყოფს ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებებს“. აღნიშნული მუხლით განისაზრება „საქსატენტის“ საქმიანობის სფერო, რომ სამართლებრივად უზრუნველყოფს ფიზიკური და იურიდიული პირები ინტელექტუალური საკუორების დაცვის სფეროში, თავისთავად გასარკვევა – თუ რა იგულისხმება სამართლებრივად უზრუნველყოფაში. კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით კი „საქსატენტის“ სამართლებრივი უზრუნველყოფა არარეზიდენტ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან მიმართებაში არარეზიდენტ (უცხოელ) ფიზიკურ და იურიდიულ პირებს „საქსატენტი“ უწევს მომსახურებას, ვინაიდან ამავე კანონის მე-4 მუხლის თანახმად „გამოგონების უცხოური პატენტის მულობის სახელზე შეიძლება გაიცეს შემოტანილი პატენტი. შემოტანილი პატენტი გაიცება უცხოეთში დასატენტიებულ იმ გამოგონებაზე, რომელზედაც ჩატარებულია ექსპერტიზა პატენტუნარიანობის ყველა კრტერიუმის გათვალისწინებით. შემოტანილი პატენტი პატენტმულობის ანტიტებს განსაკუორებულ უფლებას გამოიყენოს, აწარმოოს ან გაყიდოს პროდუქცია, მაგრამ არ აძლევს უფლებას აუკრძალოს შესამე პირს ასეთი პროდუქციის საზღვარგარეთიდან შემოტანა“.

აღიშნული მუხლის შინაარსიდან ჩემთვის გასაგებია ხდება, რომ არარეზიდენტ (უცხოური) ფიზიკურ და იურიდიულ პირს უკვე აქვს პატენტის იგი „პატენტულობელი“ და „საქ-პატენტის“ მიერ გააცემს მხოლოდ შემოტანილი პატენტის ე.ი. უკვე დაპატენტებულია საზღვარგარეთ, საზღვარგარეთეა ნატარული სრული ექსპერტიზა. „საქპატენტის“ მიერ გაიცემს მხოლოდ შემოტანილი პატენტის შემოტანილი პატენტის გაცემა ჩემი აზრით განხილული უნდა იქნეს იურიდიულ მომსახურებად, ვინაიდან თავად პატენტის გაცემა უცხოელ პირებზე არის მომსახურება, მაგრამ ვინაიდან გაცემული პატენტი სამართლებრივად უზრუნველყოფს პატენტის მფლობელის განსაკუთრებულ უფლებებს დაცვას ამიტომ საქპატენტის საქმიანობა არარეზიდენტ პირებთან უნდა განვიხილოთ როგორც სამართლებრივი მომსახურება. ამასთან უნდა დადგინდეს „საქპატენტის“ მიერ გაწეული იურიდიული მომსახურება უცხო ქვეყნის ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის განკუთვნიება იცვარ მომსახურებას, როსტილი დღე-ღამე იტარება თუ არა.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 96-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: „დღევანდისადაც იურიდიული პირის მიერ საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) მიწოდება, მათ შორის უსასყიდლოდ, თუ ისინი ითვლება განხორციელებულად საქართველოს ტერიტორიაზე ამ კოდექსის 106-ე ან 107-ე მუხლების მიხედვით, ამ კარის შესაბამისად გათვალისწინებული საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) მიწოდების ვარაუდ, ამავე პუნქტის მე-2 წინადადების თანახმად: „დასაფრთხილებს არ განეკუთვნება, ამ კოდექსის 107-ე მუხლის მიხედვით საქართველოს ფარგლებს გარეთ მომსახურების გაწევა ან შესრულება“. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 107-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტი განსაზღვრავს თუ რა ითვლება სამუშაოს შესრულების ან მომსახურების გაწევის ადგილად. „მომსახურების მიხედვით მუდმივი დანერგვების ადგილსამყოფელი, რომელთანაც ეს მომსახურება უფრო მეტადაა დაკავშირებული“. ჩემი აზრით უდავოა, რომ „საქპატენტის“ მიერ გაწეული მომსახურება დაკავშირებულია უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან და ამდენად მომსახურება გაწეულად უნდა ჩაითვალოს საზღვარგარეთ არარეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირების ადგილსამყოფელის მიხედვით საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-14 მუხლის თანახმად.

საქმეში არსებული მასალებით და საქმის ზუსტი მოსმენის დროსაც მომსახურების მიერ სარჩელზე შესაგებების ჩამოყალიბებისას მომსახურების მოხილვა „საქპატენტის“ საქმიანობასთან მიმართებაში ერთმნიშვნელოვნად იყო „მომსახურება“; საქართველოს საგადასახადო კოდექსის 107-ე მუხლის „ე“ პუნქტით განსაზღვრული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების ადგილი, რომელიც ასრულებს სამუშაოს ან ეწევა მომსახურებას.

3. სასარგებლო მოდელის პატენტის მოქმედების ვადა განისაზღვრება 8 წლით „საქპატენტში“ განაცხადის შეტანის დღიდან.

4. სამრეწველო ნიმუშის პატენტის მოქმედების ვადა განისაზღვრება 15 წლით „საქპატენტში“ განაცხადის შეტანის დღიდან.

მუხლი 6

1. გამოგონების სამართლებრივი დაცვის ფარგლებს განსაზღვრავს გამოგონების ფორმულა.

2. სასარგებლო მოდელის სამართლებრივი დაცვის ფარგლებს განსაზღვრავს სასარგებლო მოდელის ფორმულა.

3. სამრეწველო ნიმუშის სამართლებრივი დაცვის ფარგლებს განსაზღვრავს საკუთრივ ნიმუშის ან მის გამოსახულებაში წარმოდგენილი დამახასიათებელი არსებითი ნიშნების ერთობლიობა.

მუხლი 7

1. გამოგონებისა და სასარგებლო მოდელზე, რომლებიც შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს მიერ გასაიდუმლოებულია ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის თვალსაზრისით, პატენტი გაიცემა მხოლოდ მათი განსაიდუმლოების შემდეგ, ამ კომპეტენტური ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

2. გასაიდუმლოება დასაშვებია ორი წლის ვადით, რაც პატენტის მოქმედების ვადის განმავლობაში შეიძლება გაგრძელდეს ყველი შემდგომი ორი წლით.

3. საიდუმლო გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის სამართლებრივი დაცვისა და გამოქვეყნების წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

თავი II. საქსატენტი

მუხლი 8

„საქსატენტი“ არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში სამართლებრივად უზრუნველყოფს ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებებს.

მუხლი 9

„საქსატენტთან“ ფუნქციონირებს სასაელაყო პალატა, რომელიც იხილავს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტზე უფლების მოპოვების პროცედურასთან დაკავშირებულ დავას.

მუხლი 10

1. „საქსატენტის“ ფუნქციები და უფლებამოსილება განისაზღვრება მისი დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.
2. „საქსატენტს“ ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი, რომელსაც თანახლებაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი.

მუხლი 11

1. „საქსატენტის“ ფინანსური წყაროებია ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე განაცხადების ფორმალურ მოთხოვნებსა და არსობრივ ექსპერტიზასთან, დამკვეთი დოკუმენტების გაყვასთან, რეგისტრაციასთან და ძალაში შეტანასთან, აკლაციასთან და ძირითად საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა პროცედურების დადგენილი წესით განსაზღვრული საფასურები. აგრეთვე საინფორმაციო, საკონსულტაციო-კლექციითი და სხვა სახის მომსახურებით მიღებული შემოსავლები.
2. საფასური და სხვა შემოსავალი ირიცხება „საქსატენტის“ ანგარიშზე, რომელსაც განკარგავს მხოლოდ „საქსატენტი“. „საქსატენტის“ მიერ წლის განმავლობაში გამოუყენებელი თანხები გადადის მომავალი წლის ანგარიშზე.
3. დასაშვებია „საქსატენტისთვის“ სახსრების, მათ შორის, გრანტების დადგენილი წესით გამოყოფა სახელმწიფო ბიუჯეტიდან.
4. „საქსატენტი“ ყოველი წლის 1 დეკემბრისათვის აწმადებს მომავალი წლის ბიუჯეტს, რომელშიც ასახული უნდა იყოს „საქსატენტის“ ყველა ხარჯი და მისი დაფარვის წყარო.
5. „საქსატენტის“ ბიუჯეტს ამტკიცებს „საქსატენტის“ გენერალური დირექტორი.

თავი III. პატენტუნარაჩობა

მუხლი 12

1. პატენტით შეიძლება დაცულ იქნეს ისეთი გამოგონება, რომელიც პატენტუნარაჩობა და აკმაყოფილებს ნიახლის, საგამომგონებლო ღონისა და სამრეწველო გამოყენებადობის კრიტერიუმებს.
2. გამოგონება ახალია, თუ იგი ცნობილი არ არის ტექნიკის არსებული ღონით.
3. გამოგონებას აქვს საგამომგონებლო ღონე, თუ განაცხადის შეტანის თარიღისათვის ან, თუ მოთხოვნა საკონვენციო პრიორიტეტი, ამ პრიორიტეტის თარიღისათვის, იგი საეცალისტიკისათვის ცხადია არ გამოძღინარეობს ტექნიკის არსებული ღონიდან.
4. გამოგონების სამრეწველო გამოყენებადობა ნიშნავს მისი დაზღვევის ან მისით სარგებლობის შესაძლებლობას მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, განმრთელობის დაცვისა და საქმიანობის სხვა სფეროებში.
5. ტექნიკის არსებულ ღონეს განსაზღვრავს ყველა ის მონაცემი, რომელიც საყოველთაოდ გახდა ცნობილი წერილობით, ზეპირი აღწერით. საჯარო გამოყენებით ან სხვა გზით განაცხადის შეტანის თარიღამდე ან, თუ მოთხოვნა საკონვენციო პრიორიტეტი, ამ პრიორიტეტის თარიღამდე.

6. გამოგონების სახლის დადგენისას ტექნიკის ღონეს, სხვა საინფორმაციო წყაროს გარდა, მიკუთვნება „საქსატენტში“ გამოგონებასა და სასარგებლო მოდელზე შეტანილი ყველა განაცხადი, თუ მათ აქვთ უფრო ადრინდელი პრიორიტეტი, სახსლე დგინდება მხოლოდ ერთი საინფორმაციო წყაროს განხილვის საფუძველზე.

7. საგამოგონებლო ღონის დადგენისას ტექნიკის ღონეს არ მიეუთვნება „საქსატენტში“ განახლებულად წარდგენილი განაცხადები გამოგონებასა და სასარგებლო მოდელზე.

8. ტექნიკის არსებული დოზით ცნობილი ნივთიერებებსა და ნარკები შეიძლება მიწვეულ იქნეს პატენტურაზანად, თუ ისინი გამოიყენება აქამდე უცნობი დანიშნულებით.

მუხლი 13

1. პატენტით შეიძლება დაყულ იქნეს ისეთი სასარგებლო მოდელი, რომელიც წარმოადგენს გაუმჯობესებულ მოწყობილობას, ნივთიერებას ან ხერხს და რომელიც აკმაყოფილებს სახლისა და სამრეწველო გამოყენებადობის კრიტერიუმებს.

2. სასარგებლო მოდელი ახალია, თუ იგი ცნობილი არ არის ტექნიკის არსებული ღონით.

3. სასარგებლო მოდელის სამრეწველო გამოყენებადობა ნიშნავს მისი დამზადების ან მისი სარგებლობის შესაძლებლობას მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვისა და სპორტის სხვა სფეროებში.

4. ტექნიკის არსებულ ღონეს განახლებურად ყველა ის მონაცემი, რომელიც საყოველთაოდ გახსია ცნობილი წერილობით, ზეპირი აღწერით, აგრეთვე, საჭიროებლობა გამოყენებით და რომელიც შეეხება იმავე დანიშნულების მოწყობილობებს, ნივთიერებებსა და ხერხებს განაცხადის შეტანის თარიღამდე ან, თუ მოითხოვება საკონვენციო პრიორიტეტი, ამ პრიორიტეტის თარიღამდე.

5. სასარგებლო მოდელის სახლის დადგენისას, ტექნიკის ღონეს სხვა საინფორმაციო წყაროს გარდა, მიკუთვნება „საქსატენტში“ გამოგონებასა და სასარგებლო მოდელზე შეტანილი ყველა განაცხადი, თუ მათ აქვთ უფრო ადრინდელი პრიორიტეტი. სახსლე დგინდება მხოლოდ ერთი საინფორმაციო წყაროს განხილვის საფუძველზე.

მუხლი 14

1. პატენტით შეიძლება დაყულ იქნეს ისეთი სამრეწველო ნიშნები, რომელიც წარმოადგენს ნაკეთობის მხატვრულ-კონსტრუქციულ გარეგან სახეს და რომელიც აკმაყოფილებს სახლისა და სამრეწველო გამოყენებადობის კრიტერიუმებს.

2. სამრეწველო ნიშნები ახალია, თუ მისი არსებითი ნიშნების ერთობლიობა, რომელიც განახლებურად ნაკეთობის ესთეტიკურ თვისებურებებს, საყოველთაოდ არ არის ცნობილი წერილობით, ზეპირი აღწერით, საჯარო გამოყენებით ან სხვა გზით „საქსატენტში“ განაცხადის შეტანის თარიღამდე ან, თუ მოითხოვება საკონვენციო პრიორიტეტი, ამ პრიორიტეტის თარიღამდე.

3. სამრეწველო ნიშნის სახლის დადგენისას მხედველობაში მიიღება „საქსატენტში“ შეტანილი ყველა განაცხადი, თუ მათ აქვთ უფრო ადრინდელი პრიორიტეტი.

4. სამრეწველო ნიშნის სამრეწველოდ გამოყენებადობა, თუ შესაძლებელია მისი მრავალჯერადი დამზადება.

მუხლი 15

ინფორმაციის გახსნა გამოგონების, სასარგებლო მოდელის, ან სამრეწველო ნიშნის ავტორის მიერ (ან სხვა პირის მიერ, რომელსაც განაცხადის შეტანის თარიღისათვის პატენტის მფლობის უფლება აქვს, ან შესაძლო პირის მიერ, რომლისთვისაც ეს ინფორმაცია ავტორისა ან პირდაპირ ან არაპირდაპირ გზით ხელმისაწვდომი გახდა), რაც სხვა შემთხვევაში იმოქმედება განაცხადში წარმოდგენილი ობიექტის პატენტურაზანობაზე, არ მიახდენს გაუქმებას.

ა) გამოგონების პატენტურაზანობაზე, თუ ინფორმაცია გახსნილია 12 თვის განმავლობაში მისზე განაცხადის შეტანის თარიღამდე ან, თუ მოითხოვება საკონვენციო პრიორიტეტი.

იტეტი, ამ პრიორიტეტის თარიღამდე;

ბ) სასარგებლო მოდელის ან სამრეწველო ნიმუშის პატენტარაიანობაზე, თუ ინფორმაცია გახსნილია ნ თვის განმავლობაში მათზე განაცხადის შეტანის თარიღამდე ან, თუ მოითხოვება საკონვენციო პრიორიტეტი, ამ პრიორიტეტის თარიღამდე.

მუხლი 16

გამოგონებად ან სასარგებლო მოდელად არ მიიჩნევა:

- ა) აღმოჩენა, სამეცნიერო თეორია, ან მათემატიკური მეთოდი;
 - ბ) მხატვრული კონსტრუირების შედეგი;
 - გ) ალგორითმები და პროგრამები გამოძიებული მანქანებისათვის;
 - დ) აღზრდის, სწავლების მეთოდი და სისტემა; ენის გრამატიკული სისტემა, აგრეთვე, გონებრივი ოპერაციების შესრულების მეთოდები, ოპსიების, გათამაშების წესები;
 - ე) შეურუბრობის ორგანიზაციის და მართვის მეთოდი;
 - ვ) ნაგებობათა, შენობათა, ტერიტორიათა დაკვეთების პროექტი და სქესი;
 - ზ) ინფორმაციის წარდგენა,
- თუ განაცხადში წარმოდგენილია ამ მუხლის „ა-ზ“ ქვეუბნებში ჩამოთვლილი ობიექტები.

მუხლი 17

პატენტი არ ვაიცემა:

- ა) გამოგონებაზე, სასარგებლო მოდელს ან სამრეწველო ნიმუშზე, რომელიც იწვევს არაპროფიტურ, ამორალურ და/ან ანტისაზოგადოებრივ ქმედებს;
- ბ) გამოგონებაზე ან სასარგებლო მოდელზე, რომელიც ეხება ადამიანებისა და ცხოველებისათვის გათვალისწინებული შეურაცხობის ქირურგიულ, თერაპიულ და დიაგნოსტიკურ ხერხებს. ეს წესი არ ვრცელდება მიწოდებულზე, ნივთიერებებზე, რომლებიც გამოიყენება აღნიშნულ ხერხებში;
- გ) გამოგონებაზე, რომელიც ეხება მცენარეთა და ცხოველთა ჯიშებს, აგრეთვე მცენარეთა და ცხოველთა ჯიშის გამოყენის უპირატესად ბიოლოგიურ ხერხებს. ეს წესი არ ვრცელდება მიკრობიოლოგიურ ხერხებსა და ამ ხერხეთა მიღებულ პროდუქტებზე;
- დ) სასარგებლო მოდელზე, რომელიც ეხება მცენარეთა და ცხოველთა ჯიშებს, აგრეთვე მცენარეთა და ცხოველთა ჯიშის გამოყენის უპირატესად ბიოლოგიურ ხერხებს, მიკროორგანიზმთა შტამებს, მცენარეთა და ცხოველთა უჯრედების კულტურებს, ბიოტექნოლოგიისა და გენური ინჟინერიის ობიექტებს, ქიმიური ხერხით მიღებულ ნივთიერებებს;
- ე) სამრეწველო ნიმუშზე, რომელიც ეხება:
 - ეა) შენობათა ან სხვა უძრავ ნაგებობათა გარეგან სახეს, გარდა მცირე არქიტექტურული ფორმებისა;
 - ებ) თხევადი, აირისებრი, ფხვიერი და სხვა არამდგრადი ფორმის მქონე ობიექტებს;
 - ეგ) ნაკეთობებს, რომელთა გარეგანი სახე განპირობებულია არსებითი ნიშნების მხოლოდ ტექნიკური ან ფუნქციური დანიშნულებით;
 - ედ) უშუალოდ ნაბეჭდ პროდუქციას.

თავი IV. ავტორი და პატენტმფლობელი

მუხლი 18

1. გამოგონების, სასარგებლო მოდელის, სამრეწველო ნიმუშის ავტორად მიიჩნევა ფიზიკური პირი, რომლის ინტელექტუალური და შემოქმედებითი შრომის შედეგად შეიქმნა გამოგონება, სასარგებლო მოდელი ან სამრეწველო ნიმუში.
2. ავტორობა უვადოდ დაცული განუსხივებელი უფლებაა.
3. თუ ავტორი მოითხოვს „საქსატენტო“ ელდებულა არ გამოაცხადონ მისი სახელი.
4. თუ გამოგონება, სასარგებლო მოდელი, სამრეწველო ნიმუში შეიქმნა რამდენიმე პირის

ერთობლივი შემოქმედებით შრომის შედეგად, თითოეული მათგანი მიიწვევა თანავეტორად.

5. ურთიერთობაში თანავეტორთა შორის განისაზღვრება მათ შორის დადებული ხელშეკრულებით.

მუხლი 19

1. ავტენტის მიღების უფლება აქვს ავტორს ან მის უფლებამონაცემს.

2. რამდენიმე პირის შემოქმედებით შრომის შედეგად შექმნილ გამოგონებაზე, სასარგებლო მოდელსა და სამრეწველო ნიმუშზე ავტენტის მიღების უფლება აქვს როგორც ყველა ავტორს ერთობლივად, ასევე ცალკეულ მათგანს სხვა დანარჩენი ავტორების მიერ ავტენტის მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში.

მუხლი 20

1. მუშაკის მიერ შექმნილ გამოგონებაზე, სასარგებლო მოდელსა ან სამრეწველო ნიმუშზე, როგორც დაკავშირებულია სამსახურებრივი მოვალეობის ან საეციალური დავალების შესრულებასთან და რომელიც ითვალისწინებს საგამოგონებლო საქმიანობას, ავტენტის მიღების უფლება ეკუთვნის სამუშაოს მიმცემს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. თუ ავტენტი სამუშაოს მიმცემს ეკუთვნის, მაშინ მუშაკს უფლება აქვს, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, სამუშაოს ნიმუშისა და დამატებით მიიღოს გამოგონების გამოყენების ფარდი გასამრავლო.

2. თუ გამოგონების, სასარგებლო მოდელის ან სამრეწველო ნიმუშის შექმნა დაკავშირებული არ არის მუშაკის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის ან საეციალური დავალების შესრულებასთან, ავტენტის მიღების უფლება ეკუთვნის მუშაკს. ამ შემთხვევაში სამუშაოს მიმცემს განაცხადის შეტანის დღიდან ეკუთვნის ლიცენზიისა და ავტენტის შესყიდვის უპირატესი უფლება.

3. თუ გამოგონება, სასარგებლო მოდელი, სამრეწველო ნიმუში შექმნილია სახელმწიფო დაკვეთით ან ორგანიზაციისა შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების პროცესში, ავტენტის მიღების უფლება განისაზღვრება დაკვეთის ან ხელშეკრულების პირობით.

მუხლი 21

1. მუშაკი ვალდებულია სამუშაოს მიმცემს დაუყონებლივ შეატყობინოს წერილობით მის მიერ შექმნილი გამოგონების, სასარგებლო მოდელის ან სამრეწველო ნიმუშის შესახებ.

2. თუ სამუშაოს მიმცემი, რომელსაც მუშაკმა აცნობა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან ან დავალებასთან დაკავშირებით შექმნილი გამოგონების, სასარგებლო მოდელის ან სამრეწველო ნიმუშის შესახებ, შეტყობინების მიღების დღიდან სამი თვის განმავლობაში „საქსატენტში“ არ წარადგენს განაცხადს, მაშინ მუშაკს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ავტენტი.

მუხლი 22

1. თუ „საქსატენტში“ ერთსა და იმავე გამოგონებაზე, სასარგებლო მოდელსა ან სამრეწველო ნიმუშზე სხვადასხვა დროს არის წარდგენილი ორი ან რამდენიმე განაცხადი, ავტენტი გაიცემა პირველ განაცხადზე.

2. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული განაცხადები „საქსატენტში“ ერთსა და იმავე დღეს არის წარდგენილი, ავტენტი გაიცემა განმცხადებელთა შეთანხმებამთ მითითებულ პირზე (პირებზე). თუ შეთანხმების მიღწევა ვერ მოხერხდა, ავტენტის გაცემის საკითხს გადაწყვეტს სასამართლო.

თავი V. განაცხადის წარდგენა

მუხლი 23

1. განაცხადს „საქსატენტში“ წარადგენს ავტორი, სამუშაოს მოძიებრი ან მათი უფლებამოსიანელები.
2. თუ გამოგონება, სასარგებლო მოდელი ან სამრეწველო ნიმუში ორი ან მეტი პირის ერთობლივი (თანაზიარი) შემოქმედებითი შრომის შედეგად არის შექმნილი, ისინი განაცხადს ერთიერთშეთანხმების საფუძველზე ერთობლივად წარადგენენ იმ შემთხვევაშიც კი, როცა თითოეული მათგანის შემოქმედებითი წილი გამოგონების შექმნაში განსხვავებულია.
3. თუ რომელიმე ავტორი უარს ამბობს განაცხადის შეტანაზე, განაცხადის წარდგენის უფლება ენიჭება დანარჩენ ავტორებს.
4. განაცხადი შეიძლება წარდგერილ იქნეს პატენტრწმუნებულის მეშვეობით.
5. განაცხადის წარდგენა ხდება „საქსატენტში“ საგანაცხადო მასალების უშუალოდ შეტანით ან სხვა გზით.

მუხლი 24

1. განაცხადი გამოგონების ან სასარგებლო მოდელის პატენტის მისაღებად უნდა შეიტყუდეს:
 - ა) განცხადებას პატენტის მიღების თაობაზე, რომელშიც მითითებულია გამოგონების ან სასარგებლო მოდელის ავტორი და ის პირი, რომელიც მოითხოვს პატენტის მიღებას;
 - ბ) გამოგონების ან სასარგებლო მოდელის აღწერილობას;
 - გ) გამოგონების ან სასარგებლო მოდელის ფორმულას;
 - დ) ნახაზებს, თუ ისინი აუცილებელია გამოგონების ან სასარგებლო მოდელის არსის ასახსნელად;
 - ე) რეკერატს, რომელიც არ გამოიყენება ტექნიკის ღონის დასადგენად და გააჩნია მხოლოდ საინფორმაციო ხასიათი;
 - ვ) სხვა დოკუმენტებს, თუ ისინი აუცილებელია გამოგონების ან სასარგებლო მოდელის ასახსნელად.
2. განაცხადი სამრეწველო ნიმუშის პატენტის მისაღებად უნდა შეიტყუდეს:
 - ა) განცხადებას პატენტის მიღების თაობაზე, რომელშიც მითითებულია სამრეწველო ნიმუშის ავტორი და ის პირი, რომელიც მოითხოვს პატენტის მიღებას;
 - ბ) სამრეწველო ნიმუშის გამოსახულებას ან თვით ნიმუშის ნაკეთობას;
 - გ) აუცილებლობისას სამრეწველო ნიმუშის აღწერილობას, ნახაზებს და სხვა მასალებს.

მუხლი 25

1. ყოველ განაცხადს „საქსატენტში“ წარდგენის დღიდან ერთი თვის განმავლობაში უნდა დაერთოს ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზისათვის დადგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი საბუთი.
2. თუ განაცხადი წარდგენილია პატენტრწმუნებულის მეშვეობით, საგანაცხადო მასალებს განაცხადის შეტანის დღიდან ერთი თვის განმავლობაში უნდა დაერთოს განაცხადებლის მიერ გაცემული მინდობილობა.
3. თუ განაცხადი წარდგენილია ავტორის უფლებამოსიანელების მიერ, საგანაცხადო მასალებს განაცხადის შეტანის დღიდან ერთი თვის განმავლობაში უნდა დაერთოს უფლებამოსიანელების დამადასტურებელი საბუთი.

მუხლი 26

1. განაცხადს პატენტის მიღების თაობაზე წარდგენილი უნდა იყოს სახელმწიფო ენაზე. სხვა საგანაცხადო მასალები - ნებისმიერ ენაზე.
2. „საქსატენტში“ საგანაცხადო მასალების სხვა ენაზე წარდგენის შემთხვევაში განმცხადებელმა მიწოდების დღიდან ორი თვის განმავლობაში უნდა უზრუნველყოს ქართული თარ-

გამნის წარდგენა.

3. გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის აღწერილობა წარდგენილი უნდა იყოს დადგენილი წესით და ისეთი სისრულით, რომ შესაძლებელი დარგის სპეციალისტისათვის შესაძლებელი იყოს მისი განხორციელება.

4. თუ განაცხადი ეხება ბიოლოგიურ რეპროდუქციონზე მასალას, რომელიც შეიძლება აღიწეროს განაცხადში ისეთი სისრულით, რომ სპეციალისტისათვის ცხადი იყოს მისი განხორციელების შესაძლებლობა, ან, თუ ეს ბიოლოგიური მასალა არ არის საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, განაცხადს თან უნდა ერთოდეს დეპოზიტარიუსის მიერ გაცემული ბიოლოგიური მასალის დეკლარაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.

5. გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის ფორმულა შედგენილი უნდა იყოს დადგენილი წესით, ასახავდეს მის არსს და უუძენებოდეს აღწერილობას. გამოგონების ფორმულა შეიძლება შედგებოდეს ერთი ან რამდენიმე მუხლისაგან. სასარგებლო მოდელის ფორმულა უნდა შედგებოდეს ერთი მუხლისაგან.

6. სამრეწველო ნიმუშის გამოხატულება უნდა იძლეოდეს გარკვენი სახის სრულ და დეტალურ წარმოდგენას.

7. სამრეწველო ნიმუშის აღწერილობა უნდა შეიცავდეს მისთვის დამახასიათებელ არსებით ნიშნებს.

მუხლი 27

განაცხადი „პატენტში“ შეტანილად ჩაითულება იმ დღიდან, როდესაც წარდგენილია შემდეგი მასალები:

ა) გამოგონებასა და სასარგებლო მოდელზე – განცხადება პატენტის მისაღებად, აღწერილობა, ფორმულა და ნახაზები, თუ ისინი აუცილებელია გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის არსის ასახსნელად;

ბ) სამრეწველო ნიმუშზე – განცხადება პატენტის მისაღებად, სამრეწველო ნიმუშის გამოხატულება ან ნაკეთობა.

მუხლი 28

1. განაცხადი გამოგონებასა და სასარგებლო მოდელზე პატენტის მისაღებად უნდა ეხებოდეს ერთ გამოგონებას ან სასარგებლო მოდელს, მაგრამ შეიძლება მოიცავდეს ერთი საგამობრუნებელი იდეით გაერთიანებულ გამოგონებათა ჯგუფს.

2. განაცხადი სამრეწველო ნიმუშზე პატენტის მისაღებად უნდა ეხებოდეს ერთ სამრეწველო ნიმუშს, მაგრამ შეიძლება მოიცავდეს ერთ ან რამდენიმე ნაკეთობას (ვარიანტს), ნაკეთობათა ნაკრებს (კომპლექტს), თუ ისინი გაერთიანებულია ერთი მხატვრულ – კონსტრუქციული იდეით.

მუხლი 29

1. განმცხადებელს უფლება აქვს:

ა) დაეოს წარდგენილი განაცხადი მასში შემავალ ნაწილებად და წარადგინოს გამოცალკეებული განაცხადი;

ბ) შეცვალოს წარდგენილი განაცხადის აღწერილობა, ფორმულა და ნახაზები;

გ) გარდაქმნას განაცხადი გამოგონებაზე განაცხადად სასარგებლო მოდელზე და პირიქით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა-ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გამოცალკეებული განაცხადის საგანსა და ცვლილებებს უნდა შეიცავდეს ადრე წარდგენილი განაცხადი. ამ პირობით მას უნარჩუნდება ადრე შეტანილი განაცხადის შეტანის თარიღი.

3. გამოცალკეებული განაცხადის წარდგენა, ცვლილების შეტანა და განაცხადის გარდაქმნა დასაშვებია პატენტის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილების გამოტანამდე.

მუხლი 30

1. განაცხადებელი, რომელსაც სურს ისარგებლოს საკონვენციო პროორიტეტით, ვალდებულია განაცხადი გამოაგონებას ან სასარგებლო მოდელზე წარადგინოს „საქსატენტში“ პარიზის კონვენციის წევრ ქვეყანაში ადრე შეტანილი განაცხადის შეტანის თარიღიდან თორმეტი, ხოლო სამრეწველო ნიმუშზე – ექვსი თვის განმავლობაში.

2. განმცხადებელმა, რომელსაც სურს ისარგებლოს საგამოყენო პროორიტეტით, ვალდებულია განაცხადი გამოაგონებაზე სასარგებლო მოდელს ან სამრეწველო ნიმუშზე წარადგინოს „საქსატენტში“ პარიზის კონვენციის წევრ ქვეყანაში მოწყობილ ოფიციალურ ან ოფიციალურად მიჩნეულ გამოფენაზე გამოაგონების, სასარგებლო მოდელის ან სამრეწველო ნიმუშის ექსპონირება თარიღიდან ექვსი თვის განმავლობაში. საგამოყენო და საკონვენციო პროორიტეტი ერთმანეთის ვადას არ ავრძელებს.

3. თუ განმცხადებელმა მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო აღინშნულ ვადებში ვერ შეძლო განაცხადის შეტანა „საქსატენტში“ საკონვენციო ან საგამოყენო პროორიტეტის მოთხოვნით, ამ მუხლის პირველ პუნქტში მოთითებული ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს ორი თვისა.

4. განმცხადებელმა, რომელსაც სურს ისარგებლოს საკონვენციო ან საგამოყენო პროორიტეტის უფლებით, ამის შესახებ უნდა მოითხოვოს „საქსატენტში“ განაცხადის წარდგენისთანავე ან განაცხადის წარდგენიდან ორი თვის განმავლობაში და თან დაურთოს ასეთი მოთხოვნის უფლების დამადასტურებელი საბუთი. ან წარადგინოს იგი „საქსატენტში“ საკონვენციო ან საგამოყენო პროორიტეტის მოთხოვნიდან არა უგვიანეს სამი თვისა.

5. პროორიტეტი შეიძლება დადგინდეს:

ა) დამატებითი მასალების წარდგენის თარიღით, თუ განმცხადებელმა ისინი გააფორმა დამოუკიდებელი განაცხადის სახით და წარადგინა „საქსატენტში“ სამი თვის განმავლობაში მას შემდეგ, რაც მიიღო შეტყობინება, რომ დამატებითი მასალები არ მიიღება მხედველობაში, რადგან ისინი ეკლავიან განცხადებელი ობიექტის არსს;

ბ) „საქსატენტში“ იმავე განმცხადებლის უფრო ადრინდელი განაცხადის შეტანის თარიღით, რომელშიც გახსნილია ამ გამოაგონების, სასარგებლო მოდელის ან სამრეწველო ნიმუშის არსი. თუ განაცხადი, რომლითაც მოითხოვება ასეთი პროორიტეტი, შეუღდა გამოაგონებაზე ან სასარგებლო მოდელზე უფრო ადრინდელი განაცხადის შეტანის თარიღიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ხოლო სამრეწველო ნიმუშზე უფრო ადრინდელი განაცხადის შეტანის თარიღიდან ექვსი თვის განმავლობაში. ამასთან, უფრო ადრინდელი განაცხადი გატანოლად ითვლება;

გ) ადრე შეტანილი რამდენიმე განაცხადის საფუძველზე, ყოველი მათგანისათვის ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის პირობების დაცვით.

6. პროორიტეტი არ დადგინდება იმ განაცხადის შეტანის თარიღით, რომელზედაც უკვე მოთხოვნილია უფრო ადრინდელი პროორიტეტი და რომელზედაც საქმის წარმოება შეწყდა.

მუხლი 31

1. საქართველოში შექმნილ გამოაგონებაზე ან სასარგებლო მოდელზე განაცხადის უცხო ქვეყნის სასატენტო უწყებაში წარდგენამდე განმცხადებელი ვალდებულია შეიტანოს განაცხადი „საქსატენტში“ და სთხოვოს მას უცხო ქვეყანაში დასატენტების ნებართვა.

2. „საქსატენტში“ ვალდებულია ექვსი თვის განმავლობაში აცნობოს განმცხადებელს თვისი გადაწყვეტილება გამოაგონების ან სასარგებლო მოდელის უცხო ქვეყანაში დასატენტების თაობაზე. თუ ამ ვადაში განმცხადებელს გადაწყვეტილება არ ეცნობა, მას შეუძლია წარადგინოს განაცხადი უცხო ქვეყანაში დასატენტებლად.

თავი VI. სასატენტო ექსპერტიზა და პატენტის გაცემა

მუხლი 32

1. „საქსატენტში“ ატარებს სასატენტო ექსპერტიზას, რის საფუძველზედაც გამოაქვს

გადაწყვეტილება პატენტის გაცემის თაობაზე.

2. ექსპერტიზის მსვლელობისას „საქპატენტს“ შეუძლია მოითხოვოს განმცხადებლის-თან დამატებით მასალების წარდგენა ან განაცხადში ცვლილების შეტანა, რომელთა გარეშე შეუძლებელია განაცხადის განხილვის გაგრძელება.

მუხლი 33

1. „საქპატენტს“ წარდგენილი განაცხადის შეტანის თარიღს ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის საფასურის გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარდგენის შემთხვევაში დასატრებს ერთი თვის ვადაში.

2. თუ გამოვიჩნდა, რომ წარდგენილ განაცხადს აქვია ამ კანონის 27-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საგანაცხადო მასალა, „საქპატენტი“ განმცხადებელს სთხოვს აღნიშნული მასალების წარდგენას შეტყობინების მიღების დღიდან ერთი თვის განმავლობაში.

3. თუ განმცხადებელი შეასრულებს ამ მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნას, მაშინ განაცხადის შეტანის თარიღად ჩითვლება აღნიშნული მოთხოვნის შესრულების თარიღი. თუ განმცხადებელი ვერ შეასრულებს ამ მოთხოვნას, განაცხადი შეტანილად არ ჩითვლება.

4. თუ გამოგონების ან სასარგებლო მოდელის აღწერილობაში მოითხოვება ნაბაზები, რომლებზე არ იყო წარდგენილი განაცხადში, „საქპატენტი“, ამ მუხლის პირველი პუნქტით ვადაში მოითხოვს განმცხადებლისაგან მათ წარდგენას. თუ განმცხადებელი ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში შეასრულებს ამ მოთხოვნას, მაშინ განაცხადის შეტანის თარიღად ჩითვლება აღნიშნული ნაბაზების მიღების დღე. თუ განმცხადებელი ვერ შეასრულებს ამ მოთხოვნას, განაცხადის შეტანის თარიღად ჩითვლება განაცხადის მიღების თარიღი, ხოლო ნებისმიერი აღნიშნულ ნაბაზებზე ამოღებულად ჩითვლება.

მუხლი 34

1. ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა ტარდება განაცხადის შეტანის თარიღის დადასტურების დღიდან ერთი თვის განმავლობაში.

2. განაცხადზე საქმის წარმოება წყდება, თუ განაცხადი არ აკმაყოფილებს ფორმალური ექსპერტიზის მოთხოვნებს.

მუხლი 35

1. თუ დადასტურდა, რომ განაცხადი გამოგონებაზე აკმაყოფილებს ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზას, „საქპატენტი“ აწარმოებს კვლევას განაცხადში აღწერილი გამოგონების ტექნიკის ღონის დასადგენად, რის საფუძველზედაც ატარებს სიახლის ექსპერტიზას და ადგენს დოკუმენტურ დასკვნას.

2. „საქპატენტი“ დადგენილი წესით განსაზღვრული საფასურის გადახდისას უზრუნველყვს კვლევის ჩატარებას ექვსი თვის განმავლობაში.

3. განაცხადი გამოგონებაზე, რომელზედაც განმცხადებელმა არ გადაიხადა კვლევისათვის დადგენილი წესით განსაზღვრული საფასური, განიხილება როგორც განაცხადი სასარგებლო მოდელზე.

მუხლი 36

1. „საქპატენტი“ უგზავნის განმცხადებელს დოკუმენტურ დასკვნას ტექნიკის ღონის შესახებ. განმცხადებელს შეუძლია დასკვნის მიღებიდან ორი თვის განმავლობაში წარადგინოს „საქპატენტში“ გამოგონების ფორმულის ახალი რედაქცია, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს გამოგონების აღწერილობის არსობრივ ფარგლებს, ან წარადგინოს წერილობითი ასახვა.

2. თუ დოკუმენტური დასკვნის მიღებიდან ორი თვის განმავლობაში განმცხადებელმა არ წარადგინა შესწორება ან დასაბუთებული შეასუსება და განაცხადი აკმაყოფილებს სიახლის კრიტერიუმის მოთხოვნებს, „საქპატენტს“ გამოაქვს წინასწარი გადაწყვეტილება გამოგონების პატენტის გაცემის თაობაზე.

მუხლი 37

1. გამოგონების პატენტის გაცემის თაობაზე წინასწარი გადაწყვეტილების საფუძველზე დადგენილი წესით განსაზღვრული საფასურის გადახდისას „საქპატენტი“ აქვეყნებს მონაცემებს საქართველოს სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში (შუბღვომში – ბიულეტენი) და გამოაქვს საგანაცხადო მასალებს გასაცნობად.
2. ბიულეტენში მონაცემების გამოქვეყნებოდან სპი თვის განმავლობაში დაინტერესებულ პირს, დადგენილი წესით განსაზღვრული საფასურის გადახდის შემთხვევაში, შეუძლია „საქპატენტში“ შეიტანოს პატენტინარიანობის კრიტერიუმების უარყოფასთან დაკავშირებული დასაბუთებული შედეგება პატენტის გაცემის თაობაზე.
3. „საქპატენტი“ შესაძლოა პირის მიერ ამ ვადაში წარდგენილ შედეგების მასალებს უგზავნის განმცხადებელს, რომელსაც შეუძლია ორი თვის განმავლობაში წარუდგინოს „საქპატენტს“ წერილობითი პასუხი ან შეცვალოს გამოგონების ფორმულა.
4. თუ განმცხადებელმა ამ ვადაში არ წარადგინა „საქპატენტში“ დასაბუთებული შექმნის ან არ შეიტანა ცვლილება გამოგონების ფორმულაში, „საქპატენტი“ ორი თვის ვადაში განიხილავს შესაძლო პირის შედეგებს და გამოაქვს შესაბამისი გადაწყვეტილება პატენტის გაცემის თაობაზე.

მუხლი 38

1. თუ დადასტურდა, რომ განაცხადი სასარგებლო მოდელზე აკმაყოფილებს ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზას, „საქპატენტი“ ერთი თვის განმავლობაში ატარებს ექსპერტიზას სახელზე მის მიერ რეგისტრირებული განაცხადებისა და გაცემული პატენტების გათვალისწინებით.
2. თუ დადასტურდა, რომ განაცხადი სასარგებლო მოდელზე აკმაყოფილებს სახელის ექსპერტიზის მოთხოვნებს, „საქპატენტს“ გამოაქვს გადაწყვეტილება სასარგებლო მოდელის პატენტის გაცემის თაობაზე.

მუხლი 39

თუ დადასტურდა, რომ განაცხადი სამრეწველო ნიმუშზე აკმაყოფილებს ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზას, მაშინ „საქპატენტს“ გამოაქვს გადაწყვეტილება პატენტის გაცემაზე.

მუხლი 40

„საქპატენტი“ გამოგონების, სასარგებლო მოდელისა და სამრეწველო ნიმუშის პატენტის გაცემის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, დადგენილი წესით განსაზღვრული საფასურის გადახდის შემთხვევაში, აქვეყნებს მონაცემებს ბიულეტენში. ვარდა ამისა, „საქპატენტი“ აქვეყნებს გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის აღწერილობას.

მუხლი 41

1. პატენტის გაცემის თაობაზე მონაცემების გამოქვეყნების შემდეგ, დადგენილი წესით განსაზღვრული საფასურის გადახდის შემთხვევაში, „საქპატენტი“ ახორციელებს გამოგონების, სასარგებლო მოდელის ან სამრეწველო ნიმუშის რეგისტრაციას სამრეწველო საკუთრების რეესტრში (შუბღვომში – რეესტრი) და გასცემს პატენტს.
2. პატენტის ფორმას და რეესტრში შესატან მონაცემებს ადგენს „საქპატენტი“.
3. ნებისმიერ პირს უფლება აქვს დადგენილი წესით გაეცნოს რეესტრს.
4. პატენტის ძალაში შესაბამისებლად გადაიხლება დადგენილი წესით განსაზღვრული წლიური საფასური.

მუხლი 42

1. „საქპატენტს“, გამოაქვს უარყოფითი გადაწყვეტილება გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის პატენტის გაცემის თაობაზე მილიანად ან მათ ნაწილზე, თუ განაცხადი:
ა) ეხება ისეთ ობიექტებს, რომლებიც ამ კანონის მე-16 მუხლის შესაბამისად არ მიიჩნეა

გამოგონებზე და სახარვეზო მოდელზე;

ბ) ეხება გამოგონებასა და სახარვეზო მოდელს, რომლებზედაც ამ კანონის მე-17 მუხლის შესაბამისად პატენტის არ გაცემს;

გ) არ აქცეფილებს სახილველ პატენტუნარიანობის მოთხოვნების კორექციონს;

დ) არ აქცეფილებს ამ კანონის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებს;

ე) შეიცავს ფორმულას, რომელიც არ გამოხდინარეობს აღწერილობიდან;

ვ) თავისი აღწერილობისა და ფორმულით არ იძლევა ამ კანონის 35-ე მუხლით გათვალისწინებული დღევანდის მატერიალს შესაძლებლობას;

ზ, შეიცავს ერთი დამოუკიდებელი მუხლით წარმოდგენილი გამოგონების ფორმულას, რომელშიც აღწერილია ერთზე მეტი გამოგონება და რომელიც არ იქნა დაყოფილი „საქ.-სატენტის“ მოთხოვნით ან განმცხადებლის ინიციატივით;

თ) ეხება გამოგონების პირველად აღწერილობიდან გამოკლკეებულ განაცხადს, რომლის არსი არ არის მოცემული პირველად აღწერილობაში.

2. თუ უარყოფითი გადაწყვეტილება ეხება მხოლოდ განაცხადის ნაწილს, მაშინ ფარ-მული შესაბამისი მუხლები ამოიღება.

მუხლი 43

„საქსატენტის“ გამოაცხადებულ უარყოფითი გადაწყვეტილება საჩრევნელი ნიმუშის პატენტის გაცემის თაობაზე, თუ განაცხადი ეხება ისეთ ნიმუშს, რომელზედაც ამ კანონის მე-17 მუხლის შესაბამისად პატენტის არ გაცემს.

მუხლი 44

განაცხადზე ზაქმის წარმუბა წყდება დადგენილი წესით განსაზღვრული საფასურების გადახდულობის შემთხვევაში.

მუხლი 45

განმცხადებლის უფლება აქვს გამოქვეყნებამდე გამოიხიზოვოს განაცხადი.

მუხლი 46

1. განმცხადებელს უფლება აქვს მოითხოვოს პროცედურული ვადების გაგრძელება დად-გნალი წესით.

2. განმცხადებელს, მის მიერ პროცედურული ვადების დარღვევის შემთხვევაში, უფლება აქვს მოითხოვოს „საქსატენტისაგან“ ამ ვადების აღდგენა დადგენილი წესით.

მუხლი 47

1. პატენტზე განაცხადის ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის, საპატენტო ექსპერ-ტის პროცედურული, პატენტის გაცემის, ძალაში შესანარჩუნებელი წლიური და სხვა იურიდიული მნიშვნელობის ქმედებებისათვის გადაიხდება საყასური, საფასურის იღებობა და მისი გადახდის პირობები განისაზღვრება დადგენილი წესით.

2. დასაშუბა საყასურების გადახიზვევა სერთამორისო ნორმების, კროვეული ვალუტის, კურხის ცვლილებისა და მრედაციის გათვალისწინებით.

თავი VII. საპატენტო უფლებებით სარგებლობის ფარგლები

მუხლი 48

1. პატენტმფლობელს აქვს განსაკუთრებული უფლება თავისი შეხვედულებისამებრ გამოეცნოს გამოგონება, სახარვეზო მოდელი, საჩრევნელი ნიმუში, დააშუბლოს პატენტით დაცული პროდუქტი, ჩართოს იმიექტი სარეკლამო ბრუნვაში, მისი გამოქვეყნებით მიიღოს შემოსავალი, ან არცადაღოს აღნიშნული ქმედებები.

2. პატენტმფლობელი, თავისი შეხვედულისამებრ, განკარგავს გამოგონებას, სახარვეზო

მოდელს სამრეწველო ნიმუშს. მას შეუძლია გაეყოს ან ხსნა ეზით გაიხსიოს ატენტი, დადგინდეს წესით გასცეს ლიცენზია.

მუხლი 49

თუ ატენტსმფლობელის განსაკუთრებული უფლება ურყველება ატენტზე, რომლის ხაზანა ახალს პროდუქტის მოღების ხერხი. მაშინ საწინააღმდეგოს დატკიცებაზე ხსნა პირის მიერ დამზადებული ნებისმიერი მსგავსი პროდუქტი ითვლება ამ ხერხით მიღებულიად.

მუხლი 50

თუ ატენტის მფლობელი რამდენიმე პირსა, მაშინ:

- ა) ატენტის გახხვისება ან ლიცენზიის გაცემა ნებადართულია მხოლოდ ყველა ატენტსმფლობელის თანხმობით;
- ბ) ატენტსმფლობელს უფლება აქვს ატენტით დატული ობიექტი გამოიყენოს საკუთარ წარმოებაში ხსნა ატენტსმფლობელთა თანხმობის გარეშე.

მუხლი 51

განაცხადის გამოქვეყნების დღიდან ატენტის გაცემამდე განმცხადებელს პირობითად ენოქება იგივე უფლებები, რაც მას მიიქვებული ექნებოდა ატენტით. თუ ატენტი არ იქნა გაცემული, მაშინ აღნიშნული უფლებები წარმოქმნილად არ მთმნება.

მუხლი 52

ატენტიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლების დარღვევა არ მთმნება:

- ა) ატენტსმფლობელის მიერ ან მისა ნებათით დამზადებული ნაწარმის სამოქალაქო ბრუნვაში ჩართვის შემდგომ გავრცელება ან სხვაგვარად გამოყენება;
- ბ) გამოგონების, სასარგებლო მოდელის ან სამრეწველო ნიმუშის კრძალი წესით გამოყენება ან არადი ხარუებლობისათვის, რადესაც ამგვარი ჭრდება არ ისახავს კოერციულ მიზნებს;
- გ) გამოგონების, სასარგებლო მოდელის ან სამრეწველო ნიმუშის გამოყენება რომელიმე ქვეყნის ხაზგაუთ ხომალდზე, საერენ ან სახსილოთი სატრანსპორტო საშუალებებზე, მათი საკარავლოს სტიქიურიზაზე შემთხვევით ან დროებით ყოფნის დროს. ასეთ შემთხვევაში გამოგონება, სასარგებლო მოდელი და სამრეწველო ნიმუში უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ ამგვარ სატრანსპორტო საშუალებებზე და არა მქნარსუბისათვის;
- დ) გამოგონების, სასარგებლო მოდელის ან სამრეწველო ნიმუშის გამოყენება სტიქიური უბედურების, კატასტროფის, ეპიდემიისა და ხსნა ხვანებო ვითარების დროს.

მუხლი 53

თუ რომელიმე პირი გამოგონებაზე, სასარგებლო მოდელსა ან სამრეწველო ნიმუშზე „საკატენტიზო“ განაცხადის შეტანის თარიღამდე, ან იმ პირული განაცხადის შეტანის თარიღამდე, რომელიც პირობის კონვენციით დადგენილი პირობიტების მოთხოვნის საფუძველია, ეწითლსინდისიერად სარგებლობდა ამ გამოგონებით, სასარგებლო მოდელით ან სამრეწველო ნიმუშით, ან განახორცილა მოხაზადებული ხაზმარეზი მისი გამოყენებისათვის, მას უფლება აქვს დიდიოდულურად გამოიყენოს იგი ატენტის მოქმედების რუხებდავად (წინასარვესლობის უფლება).

მუხლი 54

1. ატენტსმფლობელის მიერ წლიური საფასურის გადახდებლობა იწყებს ატენტის მოქმედების შეწყვეტას.
2. თუ ატენტსმფლობელმა სასატიო მიზეზით არ გადახნადა წლიური საფასური, მას უფლება აქვს შეამტკობლოს აღმას „საკატენტიზის“ წინაშე ატენტის მოქმედების აღდგენის თაობაზე.
3. შეამტკობლობა აღიძურება ხაზი იყის განსაკუთრებაში, დადგენილი საშეღავათო ვადის

გასვლის შემდეგ და გადაწყვეტილება აღდგენის შესახებ შეიტანეს რეესტრში.

4. პატენტის მოქმედების აღდგენის შესახებ დადებითი გადაწყვეტილების გამოტანისას პატენტი აღდგინდება ჩათვლას, თუ აღნიშნული გადაწყვეტილების გამოტანიდან სამი თვის განსაკუთრებით გადახდილი იქნება წლიური სუფასური.

მუხლი 55

ნებისმიერ პირს, რომელმაც საქართველოს ტერიტორიაზე პატენტის ძალის დაკარგვის დღიდან მის აღდგენასდგე ყოველწინდისიერად გამოიყენა ან განახორციელა მოხმარებული საბრუნოები იმ გამოგონების, სასარგებლო მოდელის ან სამრეწველო ნიმუშის გამოყენებისას, რომელიც პატენტის საგანს შეადგენს, უფლება აქვს განაგრძოს მისი გამოყენება ბენეფიციარისთვის. ამ უფლების გადაცემა დასაშვებია მხოლოდ სანარჩოსთან ერთად (შემდგომსარგებლობის უფლება).

მუხლი 56

პატენტი ძალის კარგავს „საქპატენტში“ პატენტმფლობელის მიერ ხაკუთარ პატენტზე წერილობითი უარის შეტანის შემთხვევაში.

მუხლი 57

1. პატენტი უქმდება, თუ დადგინდა, რომ:

- ა) პატენტის საგანი არ არის პატენტუნარიანი;
- ბ) პატენტი არ აღწერს გამოგონებას, სასარგებლო მოდელს და სამრეწველო ნიმუშს ისეთი სისრულით, რომ შესაძლებელი იყოს მისი განხორციელება;
- გ) პატენტის საგანი ვანეკუთვნება ისეთ ობიექტებს, რომლებზედაც ამ კანონის თანახმად პატენტი არ გაიცემა;
- დ) პატენტის საგანი სცილდება იმ განაცხადის შინაარსის ფარგლებს, რომლის მოსუფიუთაც დადგინდა პროორიტეტი, ან პატენტი გაეუქმლა გამოცდულად, ცხებელი განაცხადის საუფუქელზე და მისი საგანი სცილდება პირველი განაცხადის შინაარსის ფარგლებს;
- ე) თუ პატენტმფლობელს არ აქვანდა უფლება პატენტზე ამ კანონის მე-20 ან 21-ე მუხლების შესაბამისად.

2. პატენტმფლობელის მიერ შემოტანილი პატენტით დაყული გამოგონების გამოყენებლობა საქართველოს ტერიტორიაზე პატენტის გაყცხიდან სამი წლის განმავლობაში იწყვეს შემოტანილი პატენტის გაუქმებას. ამასთან, გამოყენებად არ ჩათვლება შემოტანილი პატენტით დაყული გამოგონების საუფუქელზე დამზადებული პროდუქციის იმპორტი საქართველოში.

მუხლი 58

პატენტის სრულ ან ნაწილობრივ ბათილად ცნობას უაუქცუთი ძალა აქვს პატენტზე განაცხადის შეტანის თარიღიდან.

თავი VIII. ლიცენზია გამოგონების, სასარგებლო მოდელის, სამრეწველო ნიმუშის გამოყენებაზე

მუხლი 59

1. პატენტის მფლობელს ან მის უფლებამონაცკულეს (ლიცენზიარი) უფლება აქვს გასცეს სხვა პირზე (ლიცენზიარი) ლიცენზია.
2. ლიცენზია შეიძლება იყოს მარტივი ან განსაკუთრებული.
3. მარტივი ლიცენზია ლიცენზიარს უტოკებს პატენტოდან გამოდღინარე ყველა უფლებას.
4. განსაკუთრებული ლიცენზია ლიცენზიარს უარგავს ანალოგიური პირობებით სხვა ლიცენზიების გაყემას უფლებას.

მუხლი 60

1. პატენტმფლობელს ან მის უუღლესმონაცველს შეუძლია განაცხადოს და ლიცენზირების რეჟიმ და თხოვნით მომართოს „საქსატენტს“ რეესტრში შესახადის ჩანაწერის შეტანის თაობაზე იმ შემთხვევაში, თუ პატენტზე, რომელზედაც ცხადდება ღია ლიცენზია, არ არის გაკეული განსაკუთრებული ლიცენზია.
2. ღია ლიცენზია შეიძლება იყოს მხოლოდ მარტივი.
3. ღია ლიცენზირების რეჟიმ უფლებას აძლევს ნებისმიერ პირს გამოიყენოს პატენტით პატენტმფლობელიან შეთანხმებული პირობებით. თუ შეთანხმების მადევე არ ხერხდება, გამოყენების პირობები ადგენს სასამართლო.
4. ღია ლიცენზირების რეჟიმის გამოცხადებისას საპროცედურო საფასურის თანხა ორჯერ შეიძლება.
5. პატენტმფლობელს შეუძლია ნებისმიერ დროს მომართოს „საქსატენტს“ ღია ლიცენზირების რეჟიმის გაუქმების თაობაზე. თუ სალიცენზიო ხელშეკრულება არ დადებულია ან აღარ მოქმედებს, ან ლიცენზიის ყველა მფლობელი თანახმა, მაშინ „საქსატენტს“ აკმაყოფილებს აღნიშნულ თხოვნას.

მუხლი 61

1. გამოგონებასა და სასარგებლო მოდელზე შეიძლება გაიცეს იძულებითი ან ოფიციალური ლიცენზია. იძულებითი ან ოფიციალური ლიცენზია გაიცემა საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული იძულებითი ლიცენზირების კომისიის გადაწყვეტილებით.
2. იძულებითი ლიცენზია შეიძლება იყოს მხოლოდ მარტივი. იგი გაიცემა პატენტის გაკეუმის თარიღიდან ოთხი წლის შემდეგ, ნებისმიერი დაინტერესებული პირის მოთხოვნით.
3. იძულებითი ლიცენზიის მოთხოვნა, რაც აუცილებელია საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ზემოთ აღნიშნული ვადის განმავლობაში გამოიანება ან სასარგებლო მოდელი არ გამოიყენებოდა საქართველოს ტერიტორიაზე ან გამოიყენებოდა არასაკმარისად, აგრეთვე თუ შეუძლებელია მათი გამოყენება სხვა, უფრო ადრინდელი პატენტის დარღვევის გარეშე.
4. იძულებითი ლიცენზია შეიძლება გაკეულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მანამდე დაინტერესებული პირი ცდილობდა ნებართვის მიღებას პატენტმფლობელისაგან ან მისი უუღლესმონაცველისაგან გონიერული პირობებით და გონიერულ ვადაში, მაგრამ მისი მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა.
5. ოფიციალური ლიცენზია, იძულებითი ლიცენზიის საირსახეობა და გაიცემა შესახადის სახელმწიფო ორგანოს მოთხოვნით, თუ დასაბუთებულ იქნა ეროვნული თავდაცვის, აღმართის განმართობის დაცვის ან ქვეყნის ეკონომიკის ინტერესებისათვის პატენტის გამოყენების აუცილებლობა. ოფიციალური ლიცენზია შეიძლება გაიცეს ამ მუხლის მე-2 პუნქტში მოთხოვნილი ოთხწლიანი ვადის გასვლამდე.
6. ოფიციალური ლიცენზიის გაკევა პატენტმფლობელის ან მისი უუღლესმონაცველის თხოვნით შეიძლება გადაიდოს, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლით, იმ პირობით, რომ პატენტმფლობელი იყისრებს საკუთარი წარმოებით დაკმაყოფილოს სახელმწიფოსა და საზოგადოების მოთხოვნილება.
7. პატენტის გამოყენება ოფიციალური ლიცენზიის საფუძველზე შეიძლება განახორციელოს როგორც სახელმწიფოში, ისე კერძო პირმა, რომელსაც დასახელებს ლიცენზიის გაკეუმის მოთხოვნი კომპეტენტური სახელმწიფო ორგანო ან სასამართლო.
8. ოფიციალური ლიცენზიის გაკეუმის თაობაზე გადაწყვეტილებით დგინდება გამოყენების სფერო, მოქმედების ვადა, ლიცენზიარისა და ლიცენზიატის უფლება-მოვალეობანი და ანაზღაურების ოდენობა.

მუხლი 62

1. სალიცენზიო ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს წერილობით. იგი მხარეთა შუამხმებით შეიძლება დადგინდეს წესით რეგისტრაციაში გატარდეს „საქსატენტში“ ხელშე-

რულების დადებიდან არა უგვიანეს ორი თვისა.

2. ლიცენზიაში შეტანილი არსებითი ცვლილებები მხარეთა სურვილით შეიძლება დადგინდეს წესით რეგისტრაციაში გატარდეს „საქპატენტში“ ამ ცვლილებების შეტანიდან არა უგვიანეს ერთი თვისა.

3. მონაცემები გაცემული ლიცენზიისა და მათში ცვლილებების შეტანის შესახებ ქვეანდაქსა ბიულეტენში.

თავი IX. გამოგონებელთა შუავათები და პრივილეგიები

მუხლი 63

1. გამოგონების ავტორის განაცხადის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე უფლება აქვს გამოგონებელს მიაკუთვნოს თავისი სახელი ან საციალური დასახელება.

2. საქართველოს გამოგონებელთა საზოგადოების შუამდგომლობის საფუძველზე განმცხადებელი შეიძლება გათავისუფლდეს საფასურის გადახდისგან, გარდა პატენტის ძალაში შესანარჩუნებელი წლიური საფასურისა.

მუხლი 64

გამოგონების, სასარგებლო მოდელის ან სამრეწველო ნიმუშის ავტორებისათვის სხვა შუავათები და პრივილეგიები დგინდება საქართველოს კანონმდებლობით.

თავი X. პატენტრწმუნებულნი

მუხლი 65

1. პირი, რომელსაც საქართველოს ტერიტორიაზე არ გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, ან უცხო ქვეყნის იურიდიული პირი, ან მისი წარმომადგენელი „საქპატენტთან“ ურთიერთობას წარმართავს რეგისტრირებული პატენტრწმუნებულის მეშვეობით.

2. პატენტრწმუნებულის უფლებამოსილება დასტურდება განმცხადებლის მიერ გაცემული მინდობილობით.

მუხლი 66

მოთხოვნებს პატენტრწმუნებულის მიმართ, ატესტაციისა და რეგისტრაციის პირობებს აღგნის დებულება პატენტრწმუნებულთა შესახებ, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

მუხლი 67

მონაცემები პატენტრწმუნებულის შესახებ „საქპატენტს“ შეაქვს რეესტრში. ნებისმიერ პირს უფლება აქვს დადგინდეს წესით გაეცნოს რეესტრს.

თავი XI. საპატენტო დავა და მასუხისმგებლობა

მუხლი 68

განმცხადებელს, დარტყერესებულ პირს „საქპატენტის“ მიერ გადაწყვეტილების გამოტანის დღიდან 3 თვის განმავლობაში უფლება აქვს საპატენტო ექსპერტიზის გადაწყვეტილება გაასაჩივროს „საქპატენტის“ სააპელაციო პალატაში.

მუხლი 69

1. პატენტმფლობელს უფლება აქვს პატენტიდან გამოზიდინარე უფლებების დარღვევის თაობაზე წარადგინოს სარჩელი.

2. განსაკუთრებული ლიცენზიის მფლობელს უფლება აქვს პატენტიდან გამოზიდინარე უფლებების დარღვევის თაობაზე აღძრას სარჩელი, თუ პატენტმფლობელი პატენტის დარღ-

ევის შესახებ შეტყობინების მიღებიდან გონივრული კადის განმავლობაში თვითონ არ წარადგინეს სარჩელის სასამართლოში.

მუხლი 70

დაპატენტებული გამოგონების, სასარგებლო მოდელის, სამრეწველო ნიმუშის პატენტმფლობელის ნებართვის გარეშე დამზადება, გამოყენება, ჩართვა საოქალაქო ბრუნვაში ან სხვაგვარად სარგებლობა, შთი არის განზრახ გამჟღავნება (ვარდა ავტორისა) „საქპატენტის“ მიერ გამოგონების, სასარგებლო მოდელის, სამრეწველო ნიმუშის შესახებ მონაცემების გამოქვეყნებამდე, საიდუმლო გამოგონების, სასარგებლო მოდელის გამჟღავნება, ავტორობის მითვისება იწვევს პასუხისმგებლობას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 71

გასაიდუმლოებულ გამოგონებაზე საზღვარგარეთ დასაპატენტებლად განაცხადის წარდგენა იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი XII. საერთაშორისო განაცხადი

მუხლი 72

1. ამ თავის წესები გამოიყენება იმ საერთაშორისო განაცხადების მიმართ, რომლებიც „საქპატენტში“, წარდგენილია საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულების შესაბამისად.
2. საერთაშორისო განაცხადზე „საქპატენტი“ საქმეს აწარმოებს საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულების, ამ კანონისა და სხვა ნორმატიული აქტებისა და დებულებების გათვალისწინებით.

მუხლი 73

1. საერთაშორისო განაცხადი, რომელშიც გამოგონებაზე ან სასარგებლო მოდელზე ეროვნული პატენტის მისაღებად აღნიშნულია საქართველო, ტოლფასა „საქპატენტში“ შეტანილი განაცხადისა და საერთაშორისო განაცხადის შეტანის დღიდან განიხილება, როგორც ეროვნული განაცხადი.
2. საერთაშორისო განაცხადი, რომელშიც აღნიშნულია საქართველო და რომელიც გამოქვეყნებულია საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულების 21-ე მუხლის თანახმად, იმავე უფლებების მქონეა, რასაც ითვალისწინებს ამ კანონის 51-ე მუხლი.

მუხლი 74

1. საქართველოს მოქალაქეებისათვის ან საქართველოში საცხოვრებელი ადგილის მქონე პირთათვის „საქპატენტი“ მოქმედებს, როგორც საერთაშორისო განაცხადების „მიმღები უწყება“.
2. „საქპატენტში“, როგორც „მიმღები უწყებაში“. საერთაშორისო განაცხადის შეტანა ხდება ინგლისურ ან რუსულ ენაზე. ამასთან, უფლებამოსილი საერთაშორისო ორგანიზაციებში ან უწყებებში გადაგზავნის საფასური გადახდილი უნდა იქნეს „საქპატენტში“ საერთაშორისო განაცხადის შეტანიდან ერთი თვის განმავლობაში.

მუხლი 75

1. „საქპატენტი“ მოქმედებს, როგორც „აღნიშნული უწყება“ იმ საერთაშორისო განაცხადების მიმართ, რომლებშიც გამოგონების ან სასარგებლო მოდელის ეროვნული პატენტის მისაღებად აღნიშნულია საქართველო.
2. „საქპატენტი“ მოქმედებს როგორც „არჩეული უწყება“, იმ საერთაშორისო განაცხადების მიმართ, რომლებშიც გამოგონების ან სასარგებლო მოდელის ეროვნული პატენტის მისაღებად აღნიშნულია საქართველო, იმ შემთხვევაში, თუ გამოგონებელი საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულების მეორე თავის პირობების თანახმად იჩივებს საქართველოს.

თავი XIII. გარდამავალი დებულებანი

მუხლი 76

განაცხადებზე, რომლებზედაც ამ კანონის ამოქმედების მომენტისათვის მიზნინარეობს საპატენტო ექსპერტიზა, საქმის წარმოება პატენტის გაქმნის ჩაივლით გაგრძელდეს „ვაშაგონების შესახებ დებულების დამტკიცებისა და სამოქმედო შემოღების თაობაზე“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 16 მარტის 302 და „სამრეწველო ნიშნების შესახებ დებულების დამტკიცებისა და სამოქმედო შემოღების თაობაზე“ 1992 წლის 15 მარტის 303 დადგენილებების მიხედვით.

თავი XIV. დასკვნითი დებულებანი

მუხლი 77

1. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 3 თვის გასვლისთანავე.
2. ამ კანონის ამოქმედებასთან ერთად, გარდამავალი დებულებების გათვალისწინებით, ძალადაკარგულად ჩაითვალოს „ვაშაგონების შესახებ დებულების დამტკიცებისა და სამოქმედო შემოღების თაობაზე“ და „სამრეწველო ნიშნების შესახებ დებულების დამტკიცებისა და სამოქმედო შემოღების თაობაზე“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 16 მარტის 302 და 1992 წლის 15 მარტის 303 დადგენილებები.
3. საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან შეიქმნას იძულებითი ლიცენზიების კომისია.
4. დაეიწიოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის ინსპექციასა და „საქპატენტს“ შეიქმნას ნორმატიული აქტი საიდუმლო გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის სამართლებრივი დაცვისა და გამოყენების წესის შესახებ.
5. დაეიწიოს „საქპატენტს“:
 - ა) შეიქმნას და დადგენილი წესით დაამტკიცოს დებულება სააქვეყნო პატენტის შესახებ;
 - ბ) შეიქმნას დებულება პატენტრწმუნებულების შესახებ და დასამტკიცებლად წარუდგინოს საქართველოს პრეზიდენტს.

მუხლი 78

ამ კანონის ამოქმედებამდე გაცემული პატენტები უთანაბრდება ამ კანონის მიხედვით გაცემულ პატენტებს.

№ 1791-III. მიღებულია – 05.02.1999 წ.